# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 აპრილი 2000 №61 (1083) | ფასი 50 თეთრი


## ბათუმამდე: არის დინამოს გოლი!

ჯერ ვიტყვით, ვინმემ რამე დაიქადნა და მერე არ შეასრულაო, მაგრამ მატყუარების საერთაშორისო დღეს დაწყებულმა მეხუთე ტურმა საქართველოს სტადიონებზე მიტყუებული 10 ათასი გულშემატკივარი მაინც მოტყუებული დატოვა.
დიდად მოულოდნელი არაფერი მომხდარა.
ეს კი არა, მეორე ეტაპის პირველი ტურიდანვე მოსალოდნელი და მოსახდენი მოხდა: ერთადერთმა გოლის უნახავმა გუნდმა, თბილისის „დინამომ" როგორც იქნა გაიტანა და თანაც ორჯერ.
ჩემპიონის (საჩემპიონოს თუ არა, მერე გამოჩნდება) გოლებს სათავე მეორე ბუნდესლიგიდან „დინამოში" დაბრუნებულმა რევაზ არველაძემ დაუდო.
მოლოდინისამებრ მოიგეს „ტორპედომაც" და „ბათუმმაც", რომელთა ხვალინდელ ბრძოლაში უნდა გაირკვეს, ვინ გააგრძელებს საჩემპიონო მარათონში მონაწილეობას.

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

## 5 ტური

### «ა» ზონა

1 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| იბერია | 0 |
| სიონი | 2 |
| ტორპედო | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| კოლხეთი | 0 |
| დილა | 0 |
| ბათუმი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 28 |
| დინამო | 5 | 1 | 4 | 0 | 2:0 | 24 |
| ბათუმი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:0 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 2 | 0 | 4:1 | 23 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 18 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 17 |
| იბერია | 5 | 1 | 0 | 4 | 2:15 | 12 |
| დილა | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | 10 |

### «ბ» ზონა

1 აპრილი, კვირა

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| სამგურალი | 1 |
| მერანი | 1 |
| თსუ | 0 |
| გორდა | 2 |
| ხობი | 0 |

3 აპრილი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| თბილისი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 1 | 0 | 7:1 | 22 |
| მერანი | 5 | 4 | 1 | 0 | 5:1 | 21 |
| გორდა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 18 |
| თსუ | 5 | 3 | 0 | 2 | 5:2 | 17 |
| სამგურალი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| თბილისი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:6 | 10 |
| ხობი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:12 | 8 |
| არსენალი | 4 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

რაგბი. ევროპის ეროვნებათა თასი. „ა" ჯგუფი. მეოთხე ტური

## საქართველო 20:23 რუმინეთი

30 000 მაყურებელი. 2 აპრილი. თბილისი. 15 საათი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

რუმინელები აუტისასაც უფრო მარჯვენი იყვნენ

# რუმინეთი: ქართველთა ბედისწერა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს შინ თამაში არ წაეგო. კვირასაც ბორჯღალოსნებმა გამარჯვებისთვის თავი არ დაზოგეს, მაგრამ მსოფლიოს თასზე დიდ რაგბს ნაზიარებმა პეტრე მიტუმ და მისმა თანაგუნდელებმა ევროპის ეროვნებათა თასი ცხვირწინ აგვაცალეს და გაისამდე ბინა რუმინეთში დაუდეს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# როგორი ამინდია მეოთხედფინალში?

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მადრიდში თურმე წვიმს. წვიმა ინგლისელების სტიქიააო, ამბობს მიმომხილველთა ნაწილი და დღეს საღამოს „რეალთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" სასარგებლო შედეგს წინასწარმეტყველებს. ცხადია, ინგლისის ჩემპიონი ესპანეთის დედაქალაქს მხოლოდ ბუნების იმედად არ ეწვია, ის, როგორც ბოლო დროს იტყვიან ხოლმე, უპირველესად გამარჯვებულის მენტალიტეტს და, რასაკვირველია, ოსტატობას ეყრდნობა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ მეტოქის ვინაობას. ის თასის შვიდგზის მფლობელი „რეალი" გახლავთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლო, ვთქვათ, თვის შედეგებს გადამეტებული ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. მთავარია, რა მოხდება „სანტიაგო ბერნაბეუზე". პორტუს კი „ბაიერნი" სტუმრობს და, ბუნებრივია, ტრავმებით შეთხელებულ მასპინძლებთან სულ მცირე ფრედ თამაშს აპირებს. თუმცა, „პორტუ" ის გუნდია, რომელსაც, მისი პრეზიდენტის სიტყვებს თუ ვენდობით, ბოლო 18 წელიწადში ერთხელ არ წაუგია ორთაბრძოლა, რომლის პირველი მატჩიც შინ გაუმართავს.

იხილეთ მეათე გვერდი




REUTERS

„მანჩესტერ იუნაიტედი" „რეალთან" სათამაშოდ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ემზადება

საქართველოს 11 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 5 ტური

# რაა? დონე?

მცხეთა
1 აპრილი
16 საათი
არმაზი
1 000 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:0 კოლხეთი**

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, თოდუა, ჭანკოტაძე, საჯაია, მორჩილაძე (დილმელაშვილი 72), ი. ხაჭაპურიძე (დ. დოლიძე 68), ზ. გვაზავა, ყიფიანი, ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე (რ. გოცირიძე 68), ლ. მელქაძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჯ. მუჯირი, კოტორაშვილი, ვ. გოჩაშვილი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე (გ. ჩიტაია 90), კიკლიაშვილი, ხუჭუა (კედელაშვილი 86), ე. გვასალია, მ. ქობულაძე, ლალანიძე (დავითნიძე 75)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია, ქუნთელია, პაპავა, ანჯაფარიძე
**გაფრთხილება:** ტორჩინავა (87)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (ხურამი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან**

**ზოგიერთებს** რომ ჰკითხო, ჩემპიონატის დონე ამაღლდაო, გეტყვიან. არგუმენტებსაც მოიშველიებენ, აგერ ბატონო, გინდ „ა“ ზონის ცხრილში ჩაიხედე, გინდ „ბ“ ზონისაშიო, თუმცა ვინც ამას ამბობს, უკაცრავად და დონე და ინტრიგა ვერ გაურჩევია ერთმანეთისგან. იმას, რომ საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონატი დაძაბულად მიმდინარეობს, ვერავინ უარყოფს, მაგრამ ერთია დაძაბულობა და მეორე ხარისხი. რა დონე, რის დონე, თუნდაც მეორე ეტაპის მეხუთე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ავიღოთ: „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთი“. ბოდიში ორივე გუნდთან და მე თუ მკითხავთ, შაბათს მცხეთაში სულაც არ ყოფილა ფეხბურთი, სამაგიეროდ, იყო ბურთის უაზრო, უთავბოლო გორება. კი ბატონო, უტევდნენ ვიტელები, „კოლხეთი“ კი უმეტესწილად თავს იცავდა და კონტრშეტევებზე თამაშობდა, მაგრამ არც „ვიტ ჯორჯიას“ შეტევებს ერქვა შეტევა და ფოთელთა კონტრშეტევას — კონტრშეტევა.

პირველ ტაიმში აღსანიშნავი ის იყო, რომ თითქმის არაფერი ყოფილა აღსანიშნავი — მხოლოდ სამ მომენტს გამოვარჩევთ. მე-5 წუთზე ქვაჩახია წინდაუხედავად გამოვარდა კარიდან, ლაშა ნოზაძემაც დაასწრო მეკარეს და თავზე გადაუგდო ბურთი, თუმცა ეს იმგვარად გააკეთა, შალამბერიძეს ცარიელ კარში მიმავალი ბურთის კუთხურზე გადაგდება არ გასჭირვებია. მერე ჭურაძეც შეცდა — უკან დაბრუნებულ ბურთს მოქნეული ფეხი ააცილა და კართან ძლივს მიუსწრო. 41-ე წუთზე კი მთელი შეხვედრის მანძილზე პირველი და ბოლო გააზრებული შეტევა გათამაშდა. მორჩილაძემ მეურვე ჩამოიშორა და ნოზაძეს ორ კაცში გაუჭრა პასი, ლაშამ საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს უყურადღებოდ მიტოვებული ხაჭაპურიძე დახვდა, რომელმაც ერთი შეხებით გაისწორა, მეორეთი კი სტუმართა კარს ზემოთ დაარტყა.

მეორე ტაიმის დასაწყისმა „ვიტ ჯორჯიას“ ქომაგებს (მათ შორის, ფანკლუბის წევრებსაც) იმედი გაუჩინა — პირველივე წამებზე მცველების შეცდომის შედეგად ქორიძე ქვაჩახიას წინ მარტოდ აღმოჩნდა, მაგრამ რატომღაც დარტყმა არ გამოუვიდა, ბურთს ფეხი ოდნავ წაჰკრა და მეკარესაც იგი ხელებში მიუგორდა. ამის შემდეგ მატჩის ბოლო წუთებამდე სახიფათო მომენტი აღარ შექმნილა. „ვიტ ჯორჯია“ ქაოსურად უტევდა. ძალიან ცუდად გამოიყურებოდა შეტევაში ქორიძე-მელქაძის დუეტი. განსაკუთრებით ვიტელთა ბომბარდირმა გიორგი ქორიძემ ითამაშა ცუდად. კოტრიკაძემ 68-ე წუთამდე აცალა თავდამსხმელს, მერე კი, რომ შეატყო, არაფერი გამოდიოდა, იგი გოცირიძით შეცვალა, თუმცა ამას მასპინძელთა თამაშზე დიდად არ უმოქმედია, ისევე, როგორც არაფერი შეცვლილა მინდორზე დოლიძისა და დილმელაშვილის შეყვანით. ბოლო საგოლე მომენტი 86-ე წუთზე შეიქმნა. დოლიძემ კარში დაარტყა, თუმცა პასი უფრო გამოუვიდა, ნოზაძემ ბურთს ფეხი კი დაუხვედრა, მაგრამ მიზანს საკმაოდ ააცილა.

ფოთელებმა კი რა? მათ 90 წუთის განმავლობაში მასპინძელთა კართან რეალური საფრთხე ერთხელაც ვერ შექმნეს, თუმცა მაინც კმაყოფილნი დარჩნენ. გია ტყებუჩავას შეგირდებმა სტუმრად ევროტურნირის საგზურის მაძიებელ „ვიტ ჯორჯიასთან“ ქულა მოიპოვეს და ამითაც გაიხარეს. არადა, უფრო მეტის მიღწევაც შეეძლოთ — ცოტა ძლიერი და შეტევაში ოდნავ ყურადღებიანი გუნდი ვიტელებს საკუთარი კარის სიახლოვეს „მატაობასა“ და ქუსლურ პასებს არ აპატიებდა.


ლევან მელქაძე, ვალერი ტორჩინავა და ჯონი შალამბერიძე

# იმერეთი ბოლნისში

ბოლნისი
1 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 2:4 ტორპედო**

0:1 იონანიძე (6), 0:2 მეგრელაძე (13), 0:3 იონანიძე (54), 1:3 მოსეშვილი (60), 1:4 ჯანაშია (62), 2:4 მახვილაძე (90ს.კ.)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, ნ. მინდიაშვილი (ელბაქიძე 76), მ. სამხარაძე, ისიანი, მაზანიშვილი, მ. გოგოლაძე, მოსეშვილი (თ. სამხარაძე 67), კ. გოგოლაძე, ბ. შენგელია
*სათადარიგონი:* სვანიძე, ა. ბოკერია, ფ. არჩვაძე
**ტორპედო:** ჭანტურია, თურმანიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი (მაღლაკელიძე 63), ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე (მ. ბობოხიძე 56), გოგიაშვილი, ახვლედიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (იმედაძე 60), იონანიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაჩიბერაძე, ასათიანი, მედოევი
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**ხვიჩა სანიკიძე ბოლნისიდან**

**ბოლნისმა** თბილად მიიღო „ტორპედო“. ალა და ფანები თითქოს წინასწარ იყვნენ შეგუებულნი „სიონის“ დამარცხებას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი გუნდი ვოლკოვის, შაკიაშვილის, სოლოღაშვილის გარეშე და ერთდროულად 5 ტრავმირებული ფეხბურთელით თამაშობდა. „ტორპედოს“ სიძლიერისა და მომავალი ჩემპიონობის სწამთ და სჯერათ ბოლნისში...

მატჩამდე ალა ასათიანი მიეჭრა სტუმრებს და ჩემი მოგვარე გამაცანითო, ამბობდა ხმამაღლა. გადაეხვია ახალბედა მალხაზ ასათიანს. ხუთწუთიანი საუბრის შემდეგ კი ესეც ჰკითხა — მოგება გინდათ დღევანდელ შეხვედრაში? ტორპედოელს გაეღიმა, აუცილებლადო — უპასუხა. ხომ იცი, მე როგორც ვიტყვი, ისე იქნება — ხუმრობდა ალა — თუმც დღეს „სიონმა“ უნდა გაიმარჯვოს, რადგან თქვენ „დინამოს“ ვერ მოუგეთო...

გავიდნენ თუ არა გუნდები მოედანზე, დავით ყიფიანს გაუმარჯოსო, გაისმა ტრიბუნიდან. მატჩის დაწყებიდან 10 წუთში იმერეთის ბავშვთა ნაკრები ავტობუსით მოადგა „თემურ სტეფანიას“. მეორე დღეს ბავშვთა ლიგის პირველი მატჩი უნდა ეთამაშათ ქვემო ქართლის ნაკრების წინააღმდეგ. პირდაპირ გეტყვით, 1 აპრილი კი იყო, მაგრამ ბოლნისში იმერეთში გეგონებოდათ თავი, ისევე როგორც შარშანდელ გაზაფხულზე, როცა „სიონი“ მასპინძლობდა „დინამოს“ და ხალხი „ტორპედო ჩემპიონ!“-ს გაიძახოდა...

სტუმრებმა პირველ თხუთმეტ წუთში მოითავეს საქმე. გოგიაშვილმა საჯარიმოში მარჯვნიდან შესულ ჯანაშიას გადააწოდა ბურთი, ამან ქუსლით დაუტოვა იონანიძეს. ჩემპიონატის ბომბარდირმა ცაციათი დაბალი დაურტყა დალაქიშვილს და ანგარიში გახსნა — 0:1.

მე-13 წუთზეც გოგიაშვილმა წამოიწყო საგოლე კომბინაცია. მარჯვენა ფლანგზე გადასცა პასი ახვლედიანს. ბადრიმ დაბალი გაგზავნა საჯარიმოში, ბურთი მეგრელაძემ დაიჭირა, დასარტყმელად გაისწორა და ანგარიში ორამდე გაზარდა — 0:2.

„ტორპედოს“ მე-10 წუთზეც შეეძლო გატანა. გოგიაშვილი-ჯანაშიას კომბინაციისას ამ უკანასკნელს მეკარემ აუღო.

მე-17 წუთზე გოგიაშვილმა დაარტყა საჯარიმო სახიფათოდ და ოდნავ ააცილა. 3 წუთში მრავალსვლიანი იერიში განახორციელეს სტუმრებმა. კარიდან 4 მეტრის მოშორებით მდგარ იონანიძეს თავური გაუცუდდა.

ამის შემდეგ „ტორპედო“ ოდნავ მოეშვა და „სიონმაც“ ორი სახიფათო შეტევა განახორციელა. 28-ე წუთზე შენგელია 3 სტუმარს დაუსხლტა, მაგრამ საჯარიმოში შესულმა მიზანში ვერ მოარტყა. რამდენიმე წუთში კვლავ შენგელიამ შეძლო კართან მიახლოება და ბურთი კარგ პოზიციაში მყოფ გოგოლაძეს დაუგორა. გოგოლაძემ დაახლოებით 9 მეტრიდან უხეიროდ დაარტყა და ჭანტურია ნახტომში დაეუფლა ბურთს.

შესვენების მერე ქუთაისელები სრულად ბატონობდნენ მოედანზე. მარჯვენა ფლანგზე ჯანაშიამ აუტიდან ზუსტად გადაუგდო ბურთი გოგიაშვილს და მეკარესთან პირისპირ დატოვა. გოგიაშვილი კარს მიუახლოვდა, დალაქიშვილს გვერდი აუარა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა და ბურთი შორეულ კუთხესთან მდგარ იონანიძეს მიუგორდა — 0:3.

მე-60 წუთზე „სიონის“ გამთამაშებელმა, ექსტორპედოელმა გიორგი მაზანიშვილმა მოედნის ცენტრიდან იუველირის სიზუსტით საჯარიმოში ორ მცველს შორის მყოფ მოსეშვილს დაასვა ბურთი ფეხზე. ბოლნისელი ეფექტურად დაუსხლტა ტორპედოელებს და პირისპირ გასულმა ჭანტურიასაც აჯობა — 1:3. მაზანიშვილთან, მართლაც ჩინებული პასის ავტორთან, ჯანაშია მივიდა და ხელი ჩამოართვა.

ეს იყო და ტრიბუნებიც გამოცოცხლდა, თუმცა...

ორ წუთში სტუმრებმა კვლავ მარჯვენა ფლანგიდან წამოწყებული შეტევით იხეირეს. ახვლედიანმა გაინავარდა, ორ ბოლნისელს შუა გაძვრა და საჯარიმოში შესულმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მყოფი ჯანაშია მოძებნა. მან კი ბურთი ცხრიანში გაგზავნა — 1:4.

მატჩის შემდეგ ტორპედოელთა მეკარემ დანანებით თქვა — ბოლოს ორი ბურთი როდის გავუშვით, აღარც კი მახსოვსო. ისე, ჭანტურიას არც პირველ და მეორე გაშვებულში მიუძღვოდა წვლილი, მაგრამ მისი პოზიცია სავსებით გასაგები გახლდათ.

დემეტრაძემ რომ იეროს მადრიდში ავტოგოლი გაატანინა, გეხსომებათ. სწორედ ამგვარი რამ შეემთხვა ტორპედოელ მახვილაძეს სიონელი ისიანის წყალობით. ბოლნისელის მარცხენა ფლანგიდან ჩამოწოდებულის კუთხურზე მოგერიება სცადა და ბურთი ძელს შიგნიდან გაეხახუნა — 2:4. მატჩში ერთადერთი და ისიც დასანანი შეცდომის გამო მახვილაძემ თავში წაიშინა ხელები. თანაგუნდელებმაც უმალ გაამხნევეს, არაუშავსო.

როგორ გულთბილადაც მიიღეს, ისევე გააცილეს ბოლნისელებმა „ტორპედო“ და საჩემპიონოდ გზა დაულოცეს. ქუთაისელები წამოვიდნენ და „იმერეთი“ დატოვეს.

და კიდევ: 1 აპრილს „იმერულ ბოლნისში“ ერთი ორჯერ პლასტმასის ცარიელი ბოთლი გადააგდეს მოედანზე, რაც ძალიან არ მოუხდა „თემურ სტეფანიას“ ხალხმრავალ ტრიბუნებს...

# საამო არის საცქერლად...

რუსთავი
2 აპრილი
16 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 2:0 ხობი**

1:0 ვ. კილასონია (16), 2:0 გ. კილასონია (44)
**გორდა:** ბედიაშვილი, ბურნაძე, ბექაური, ბერიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, ა. ბუკია (მ. სახვაძე 46), კ. ალადაშვილი (სილაგაძე 75), ზ. ლაბაძე (კიტეიშვილი 67)
*სათადარიგონი:* გონგაძე; ბაჩილავა, მჭედლიძე
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, ოდიშარია, ვ. ალანია, დანელია (ჯიქია 46), ბულუხია, გ. გიორგაძე, ვ. ჩიტაია, ლ. ბუკია (ვართაგავა 61), ჭიჭინაძე, ზაზა აიანდი (მ. ტყებუჩავა 77)
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; აბაკელია, ხურცილავა
**გაფრთხილება:** ბექაური (41), ლაბაძე (61), ნიქაბერიძე (71), ალადაშვილი (72), აიანდი (72)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
**სფფ-ს ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

**მიმზიდველი** თამაში ნამდვილად არ ყოფილა „ფოლადზე“. ფოლადივით მაგარ, უბალახო მოედანზე ორმა ჩვეულებრივმა ქართულმა გუნდმა ძალიან ჩვეულებრივად აგორა ბურთი, მაგრამ სულმნათ ვაჟას სათაურში მოყვანილ სიტყვებს შემთხვევით არ დავსესხებივარ.

ძნელად თუ მოიძებნებიან ჩვენს ჩემპიონატში ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ისე ხმაშეწყობილად თამაშობდნენ, როგორც ამას ძმები კილასონიები აკეთებენ. ერთი შეხედვით აბსურდულადაც მოგეჩვენებათ, მაგრამ ფაქტია, გუშინწინდელ მატჩში გიორგიმ მატჩის განმავლობაში თოთხმეტი პასი გააკეთა, აქედან 12 შემთხვევაში მისი ადრესატი ვარლამ კილასონია იყო. შედეგად უფროსი კილასონია შვიდჯერ აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაში, სამჯერ კი — მეკარესთან პირისპირ. თავის მხრივ ვარლამმა მოხდენილი გადაცემებით, ძმა სამჯერ შეჰყარა სტუმართა მეკარეს, ხუთჯერ კი ხელსაყრელ პოზიციაშიც დასტოვა. მოკლედ, ძმების წყალობით კვირის რუსთავულ მატჩში თვალმა წყალი დალია...

პირველ ეტაპზე ხობში გამანადგურებლად, (1:5) მარცხნაჭამი მასპინძლები სრულფასოვანი რევანშისთვის გავიდნენ მოედანზე. სტადიონზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი (ჩვენი პირველობისთვის ნამდვილად ასეა) მაყურებელიც სტუმართა გაცამტვერებას და ბევრ გოლს მოითხოვდა რჩეული გუნდისგან, თუმც მატჩი „ხობმა“ ერთობ მობილიზებულად დაიწყო, საწყის ათ წუთში ბურთიც მოსაწონად აგორა და მასპინძელთა კარს თუ ბევრიც ვერ დააკლო, მეტოქე თავის საჯარიმოსაც არ მიაკარა, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სტუმრები ფაქტობრივად უსაქმოდ დარჩნენ. თითქმის დამონტაჟების დღიდან წყობიდან გამოსულ ფოლადისეულ ტაბლოს რომ ემუშავა, მე-16 წუთზე 1:0-საც დაწერდა — მოედნის ცენტრში გია კილასონიამ ორ მეურვესთან ჭიდილში შეინარჩუნა ბურთი, მარჯვენა ფრთისკენ გაიხედა, დასარტყმელადაც მოემზადა, პასი კი მოულოდნელად შუაში, მეტოქის ნახევრისკენ გააკეთა. იქ კი ვარლამ კილასონიას სიჩქარე უკვე აკრეფილი ჰქონდა და პირისპირ შეყრილ ნიქაბერიძეს აუღებელი ბურთი დაურტყა. გოლს ოციოდე მეტრიდან მელაძის ძლიერად გასროლილი მოჰყვა, ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუარა ხარიხას. ტაიმის შუაწელში ვარლამმა ძმის პასი მეტოქის საჯარიმოს მარცხენა კიდესთან მიიღო და ძირს დაუშვებლად გადაგზავნა ბურთი კარში. ნიქაბერიძე მომზადებული დაუხვდა ამ დარტყმას. „გორდა“ მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და შესვენებაზეც ორბურთიანი უპირატესობით გაემართა — პირველი ნახევრის ბოლოსწინა წუთზე ამჯერად ვარლამ კილასონიამ გასწია ძმის ასისტენტობა და საჯარიმოს ხაზიდან გია კილასონიას დარტყმული ბურთი ალანიას ფეხის გავლით ნიქაბერიძის კარის ბადეში აღმოჩნდა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „გორდა“ მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაზრდიდა თავის უპირატესობას, მაგრამ „ხობმა“ კარი მშრალად შეინახა, რაც უპირველესად ჩინებულად მოთამაშე მამუკა ნიქაბერიძის დამსახურებაა, ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, თუ რამდენჯერ გადაარჩინა სტუმართა მეკარემ თავისი გუნდი ასპროცენტიან გოლს, მასთან პირისპირ მასპინძლები მეორე ტაიმის განმავლობაში ექვსჯერ (!) აღმოჩნდნენ, ოთხ შემთხვევაში კარის ძელმაც გადაარჩინა გოლს „ხობი“. სტუმრებმა კი თავის მხრივ მთელი შეხვედრის განმავლობაში ორჯერ დაარტყეს რუსთაველთა კარის მიმართულებით. ჯერ ჩიტაიას საჯარიმო დარტყმა აუღო ბედიაშვილმა, შემდეგ კი, მატჩის მიწურულს, საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილ ჭიჭინაძეს არ გაატანინა გოლი. „გორდამ“ ამ გამარჯვებით საგრძნობლად აიმაღლა რჩეულთა შორის დარჩენის შანსი, მათ გუშინწინდელ მოწინააღმდეგეს კი ჯგუფიდან გავარდნისგან სასწაულიღა თუ იხსნის.

# თბილისს სასწაული გადაარჩენს?

| | |
|---|---|
| თბილისი<br>3 აპრილი<br>16 საათი<br>ისანი<br>1 000 (ტევადობა 3 000) | |

**თბილისი 0:1 ლოკომოტივი**

0:1 რუსია (76)
ლოკომოტივი: ლომაია, გილაური, აბრამიძე, გ. ჩხაიძე, გ. ჩიხრაძე, ჭიჭვეიშვილი, კვარაცხელია, რუსია, ხუროძე (გამცემლიძე 60), ლ. მიქაძე, ძოძუაშვილი (ჯულელი 60)
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; ბაქრაძე, დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი, სალუქვაძე
თბილისი: ბათიაშვილი, კ. მელქაძე, მაჭავარიანი, ბარნოვი, პაპიძე, ლუდუშაური (ნორაკიძე 78), ჩივაძე (ტყებუჩავა 46), ბურდული, ი. შენგელია (კანდელაკი 38), გონჩაროვი, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; ზვ. ლაბაძე, ყუფარაძე, კოხრეიძე
მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ა. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

**მამუკა კვანტალიანი**

მოიგო გუშინ „ლოკომოტივმა". მერე? მერე არაფერი. კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თითქმის აქსიომად ქცეულ მცნებას — რკინიგზელთა გუნდს ვერავინ აწყენინებს, ესიმპათიურება „ლოკომოტივი" ფედერაციას, მსაჯებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეტოქეებსაც კი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ძოძუაშვილის შეგირდები, რა თქმა უნდა, თუ ქვეყანა არ დაიქცა, პირველ ლიგაში დარჩნენ.

გუშინ მშვენიერი ამინდი იდგა. მართალია, „ისანზე" სიმწვანე სანთლით საძებარია, მაგრამ სადაც სხვა მინდორზე თამაშობენ, ავლაბარშიც შეიძლება ბურთაობა.

ფეხბურთი არ ვარგოდა. მოწყენილ ქომაგს ხუმრობის თავიც აღარ ჰქონდა. ისე, მაინცდამაინც არც მზესუმზირა გასაღებიათ გამყიდველებს. ძნელად გაილია 90 წუთი. უსაქმურობით მოთენთილი გულშემატკივარი მთქნარებით და ზლაზვნით წავიდა სტადიონიდან.

„ლოკომოტივისა" გასაგებია. გუნდს გავარდნა არ ემუქრება, აქცენტი მთლიანად თასის გათამაშებაზე გადაუტანია და ჩემპიონატში უმოტივაციოდ დარჩენილი, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გავიდა სათამაშოდ. მე „თბილისისა" გამკვირვებია. ასე თუ ისე, გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ვერავინ იტყვის, მათ ბურთის გორება არ იციანო, მაგრამ ფაქტი ერთია, ვერ თამაშობენ. იქნებ მობეზრდათ ფეხბურთი?! ძნელი სათქმელია, მაგრამ სხვა ახსნაც ვერ მიპოვია.

ტაიმ-ნახევარი უკბილოდ უტევდა „ლოკომოტივი", მომენტებიც შექმნა, მაგრამ გოლი, როგორც სჩვევია, საჩოთირო სიტუაციაში გაიტანა. კვარაცხელიასგან მიღებული ბურთი რუსიამ საჯარიმოში შეიტანა, ბათიაშვილთან პირისპირ გასულმა უნაკლოდ დაარტყა.

აბა, აქ გასაკვირი რა იქნებოდა. რომ არა გოლის გამტანის საწყისი პოზიცია. მე დანამდვილებით ვერაფერს დავამტკიცებ, მაგრამ მომეჩვენა, რომ რუსია თამაშგარეში იდგა.

„თბილისმა" თითქოს კი იდავა, მაგრამ ამით რას გამორჩებოდა. ვითომ შეუტია, თუმც ლომაიას ვერაფერი დააკლო. რკინიგზელთა მეკარე ხომ არა მარტო გუნდის, არამედ ჩემპიონატის ერთ-ერთი ნათელი წერტილია.

„თბილისი" კი ალბათ გავარდება. დღეისთვის ასეა, ხვალ იქნებ სასწაულიც მოხდეს, თუმცა...

# ვისთვის გაუსვრია არსენალს?

| | |
|---|---|
| თბილისი<br>2 აპრილი<br>16 საათი<br>ისანი<br>300 (ტევადობა 3 000) | |

**არსენალი 2:1 სამგურალი**

1:0 კაკაშვილი (10), 2:0 სულაძე (75), 2:1 ძაგნიძე (80)
არსენალი: კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ჩალაძე (ხარებავა 46), შუკაკიძე, ი. კაპანაძე, სულაძე, ხოსროშვილი (კვირკველია 67), გ. ტულუში, ა. ხმალაძე (წივწივაძე 58), კაკაშვილი
*სათადარიგონი:* დ. ქაცარავა; წონკოლაური
სამგურალი: სტურუა, ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, გ. ჯანელიძე (ბერაძე 42), ძაგნიძე, დარსაძე, ლონლაძე, ჭყონია (ვადაჭკორია 42), ქუთათელაძე, ხუნდაძე (კვერნაძე 78), გიორგობიანი
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ბაბუნაშვილი, ფუტკარაძე, ჭელიძე
გაფრთხილება: ჭყონია (27), სულაძე (29), კუპატაძე (57), ქუთათელაძე (73), წივწივაძე (82), ფრანგიშვილი (89)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

**ხვიჩა სანიკიძე**

არც ოქტომბრის რევოლუციას მოვსწრებივარ და არც კრეისერ „ავრორას" სროლის ხმა გამიგონია. ის კი მახსოვს, კომუნისტების დროს „ლევი" თუ „პრავი" შემოსავლებით გამდიდრებულ კაცს რომ ეტყოდნენ ხუმრობით — შენთვის გაუსვრია „ავრორასო".

კვირას ცარიელი თოფივით რომ გაუვარდა „არსენალს" და „ბ" ზონის ზედა ოთხეულში მოხვედრის შანსი თითქმის მოუსპო „სამგურალს", ამ ფაქტის გამო უეჭველად იხეირებს რომელიმე გუნდი და მაისის ბოლოს ეტყვიან — შენთვის გაუსვრია „არსენალსო".

ის რომელიმე რომ არმიელთა გუნდი არ იქნება, ცხადია. ჯონი ჯანელიძის შეგირდებს ორთავე ხელი თითებზე ჩამოსათვლელად აქვთ ქულები და ვერც გამართული თამაშით დაიკვეხნიან. აი, „სამგურალს" კი ნამდვილად შეეძლო, პირველი ოთხეული აეფორიაქებინა. არ ირჯებიან ურიგოდ იასონ ბზიკაძის გაწვრთნილები და კიდევ მოვუმატებთო, ირწმუნებოდნენ „არსენალთან" მატჩის დაწყებამდე.

„ისანზე" წაგება წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ სტუმრებს. მატჩი მონდომებულად დაიწყეს წყალტუბოელებმა და თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ... ცივი შხაპივით იმოქმედა „სამგურალზე" კაკაშვილის გოლმა. საჯარიმოში მარცნიდან შესულმა ხოსროშვილისგან მიიღო ბურთი და პირისპირ დარჩენილმა აუღელვებლად გაუტანა სტურუას.

მე-10 წუთიდან მოყოლებული სტუმრები ფლობდნენ სრულ უპირატესობას, მაგრამ რად გინდა, კარში ვერ ურტყამდნენ სამგურალელები. მასპინძელთა მცველებიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ.

რამდენიმე ფეხბურთელის გამოცვლამ ოდნავ გაამწვავა წყალტუბოელთა იერიშები. თითქოს ანგარიშის გათანაბრებაც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კონტრშეტევა გაეპარათ 75-ე წუთზე და მეკარემაც დაალალატა „სამგურალი". სულაძის მახვილი კუთხიდან დარტყმული კი მოიგერია სტურუამ, მაგრამ წაქცეულმა ხელი მიარტყა ბურთს და შორეულ კუთხეში გაგზავნა — 2:0.

სამი ქულის მაძიებელმა იმერლებმა კვლავ გაიბრძოლეს და მე-80 წუთზე, როგორც იქნა, კარის ჩარჩოს დაუმიზნეს. მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ლონლაძემ დაუხვედრა თავი. კუპატაძე სასწაულებრივად მისწვდა ცხრიანში მიმავალ ბურთს და მიმართულება უცვალა. ბურთი ძელს მოხვდა და სამეკარეოში დავარდა. აქ კი ძაგნიძემ დაასწრო ყველას — 2:1.

დარჩენილ 10 და მსაჯის მიერ დამატებულ კიდევ 5 წუთში „არსენალი" კლავე დინჯად იგერიებდა სტუმართა შეტევებს. ქულის გადასარჩენად მებრძოლი „სამგურალი" ვერას გახდა, ის კი არა, 90-ე წუთზე კაკაშვილის გოლს გადაურჩა.



გიორგი დეკანოსიძე (ბურთით) და ზაზა ცქიფურიშვილი

# დაარტყი და გაიქეცი

| | |
|---|---|
| თბილისი<br>2 აპრილი<br>16 საათი<br>სინათლე<br>1 000 (ტევადობა 3 000) | |

**მერანი 1:0 თსუ**

1:0 კვეტენაძე (43)
მერანი: ნაჭყეპია, ივანიშვილი, გუჯაბიძე, კარიაული, ცქიფურიშვილი, დევიძე, გ. კვეტენაძე (ჭინჭარაული 46), კობესაშვილი, (ჯიშკარიანი 75), დავითაშვილი, ბოლქვაძე (როსტიაშვილი 46), ლ. თოლორდავა
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლ. ამბიძე, გ. ილურიძე, მელიქია
თსუ: მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, კვიციანი, ხართიშვილი, სვანაძე (დ. არჩვაძე 54), მაზიაშვილი, დეკანოსიძე (ფარქოსაძე 68), მესხი, ერაძე, წუწუნავა (ბ. ნოზაძე 66)
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ლობჟანიძე, ბარქაია, გ. გოცირიძე
გაფრთხილება: ინწკირველი (20)
მსაჯები: ბ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. შილაკაძე (თბილისი)
სფფ-ს ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**მამუკა კვანტალიანი**

რამდენჯერ თქმულა, რომ ფეხბურთი არ არის მარტო 22 კაცის აღმა-დაღმა სირბილი, კარში დარტყმა, გოლის გატანა თუ ვერგატანა. საფეხბურთო ორომტრიალი ისეთ ჯაჭვსა ჰგავს, საიდანაც ერთი რგოლის ამოვარდნა ხუხულასავით დაშლის ყველაფერს.

ჩვენი ფეხბურთის მამებისგან დღეს ხშირად მოისმენთ, ეროვნულ ჩემპიონატში დონემ აიწიაო. ამაღლება-განახლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ მოვლენებს სალი გონებით შევაფასებთ, მაშინ მხოლოდ ერთს დავინახავთ — დონე აქამდე არნახულად დაეცა.

ბევრს ლაპარაკობენ ეროვნულ ჩემპიონატში დღეს არსებულ დაძაბულობაზე, თუმც ის ავიწყდებათ, ეს დაძაბულობა საქმეში ჩახედულ ხალხს ხელოვნურად შექმნილი და ყურით მოთრეული რომ ჰგონია.

როგორ და რანაირად აიმაღლებს დონეს ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალი ის ფეხბურთელი, რომელსაც ავჭალურ „სინათლეზე" და მისნაირ სტადიონებზე უწევს ვარჯიში თუ თამაში.

გუშინწინ, სწორედ „სინათლეზე", „მერანმა" თავისი მორიგი მატჩი მოიგო და, ალბათ, საბოლოოდაც დააღწია თავი სახიფათო ზონას, მაგრამ 2 აპრილს ავჭალაში იყო ყველაფერი ფეხბურთის გარდა.

გაწამდნენ ფეხბურთელები, მწვრთნელები, გულშემატკივრები. ალბათ, ბურთი ხნულში უკეთ გაგორდებოდა. „მერანს" კიდევ რაღა უჭირს, შეჩვეულია „სინათლეს". მთლად საცოდავი თსუ იყო. სტუდენტებს გულით ეწადათ ფეხბურთის თამაში, მაგრამ ავჭალაში (და არა მარტო იქ), ეს შეუძლებელია.

ჰოდა, ეროვნული ჩემპიონატისა და იქ მობურთალი ფეხბურთელების ცოდვა იყოს სტადიონების მიმღები კომისიის კისერზე. ვინც „სინათლეს" ვარგისიანი დაარქვა, ის ქართული ფეხბურთის მტერია.

არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს ავჭალური სტადიონის გარდა სხვას ვერ ვხედავდე უვარგისს... ჰოდა, ქართული ფეხბურთის უბედურებაც ის არის, რომ ორი-სამი სტადიონის გარდა ყველა „სინათლეს" ჰგავს.

ავჭალელებს კიდევ ეშველებათ. კლუბმა ახალი, სოლიდური პატრონი იშოვა და იმედია „სინათლეც" მოწესრიგდება, მაგრამ სხვა დანარჩენ „უპატრონოებს" რა ეშველებათ?

სიტყვა გაგვიგრძელდა და თამაშზე არაფერი გვითქვამს, თუმც სათქმელიც თითქმის არაფერია. „მერანმა" პირველივე დარტყმა გოლად აქცია. გიორგი კვეტენაძემ თოლორდავას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ზუსტად შეასრულა.

მასპინძლებმა თამაშის მიწურულს კიდევ ერთი გოლი გაიტანეს, მაგრამ მალალურაძემ სამართლიანად არ ჩათვალა. მსაჯმა მეკარეზე უხეშობა დააფიქსირა.

მანამდე კი თსუ-ს ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო და დაწინაურებაც. ჯერ პირველ ტაიმში ვერ ივარგა სტუდენტმა წუწუნავამ, მერე — მეორეში. მეკარესთან პირისპირ გასულ სტუმართა მეცხრე ნომერს ორჯერვე ნაჭყეპიამ აჯობა და თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო.

დანარჩენზე საუბარი კი უადგილო იქნება. ნორმალური გუნდი ავჭალაში ვერც ტაქტიკას დაიხმარდა და ვერც საგანგებოდ დამუშავებულ რამე კომბინაციას. ერთი კი შეიძლებოდა გენახათ — აგდე ბურთი, დაარტყი და გაიქეცი, იქნებ იხეირო, თუ ჯანი გერჩის, რა თქმა უნდა.

# პრეზიდენტის ფეხი

## დილას „ა" ჯგუფში რა უნდა?

| | |
|---|---|
| გორი<br>1 აპრილი<br>16 საათი<br>ცენტრალური<br>3 000 (ტევადობა 8 000) | |

**დილა 0:1 ბათუმი**

0:1 აფხაზავა (22)
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, კარელიძე, ლომიძე, საყვარელიძე (მარეხაშვილი 46), ციცქიშვილი (არუთინიანი 80), ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; ვ. სამხარაძე
ბათუმი: ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, სიდამონიძე, მინდაძე, ხუჯაძე, გელა ქორიძე, ა. მუჯირი (კობიძე 64), ღლონტი (აფხაზავა 21), მაჭუტაძე, ხომერიკი (რომანაძე 67)
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; ი. მახარაძე, კ. ქაცარავა, თედორაძე
გაფრთხილება: აკოფიანი (75), ფეზუაშვილი (77)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ჯვარიძე ს. შალამბერიძე (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

**ვახტანგ ბზიკაძე გორიდან**

ახლა თითქოს რაღა დროს ამაზე წუწუნია, მით უმეტეს, მატჩის ანგარიშში, მაგრამ ახლავე გეტყვით, არც მატჩი იყო დიდად თვალისმომჭრელი და „დილას" უნიათობაზეც არ ითქვას, არ იქნება.

„ბათუმამდე" გორელებმა ჩემპიონატის მეორე ეტაპის 4 მატჩი გამართეს. ცოდვა გამხელილი სჯობს, „დილამ" ოთხჯერვე სტუმრად ითამაშა. ითამაშა და... რა ძნელი საქმე ეს იქნებოდა, ოთხჯერვე წააგო.

ჯერ ამაზე ვთქვათ, რატომ მოანატრა გორელ გულშემატკივრებს ფედერაციამ ფეხბურთი — ფედერაცია ამ საქმეში ერთი შეხედვით სუფთაა. პირველად ორ ტურში „დილა" კალენდრის მარჯვენა მხარეს ეწერა. ეს დასაშვებია, ყოველ შემთხვევაში, სხვებსაც დამართნიათ, მაგრამ რაღა მოხდა მესამე ტურში?

მესამე ტურის დღეს გორმა „ვიტ ჯორჯიას" არა და საქართველოს პრეზიდენტს უმასპინძლა. უმასპინძლა და თანაც ზედ ცენტრალური სტადიონის მინდორზე დაადგმევინა ვერტმფრენიდან ფეხი. გორელებმა კი კალენდარი შეაბრუნეს და მცხეთას ეწვივნენ.

ხუმრობით თუ ვიტყვით, „დილას" მეფეხური ვერ გამოადგა — ჩემპიონატის მეხუთე და პირველ საშინაო მატჩშიც დამარცხდა „ბათუმთან". ამას თუ „დინამოსთან" ორ სათასო წაგებას დავუმატებთ, გამოდის, ამ ზამთარ-გაზაფხულზე „დილას" რეგიონალურლიგელ მერვედფინალისტ „ზოოვეტის" გარდა არავისთან მოუგია. ახლა, მგონი, სავსებით სერიოზულად შეგვიძლია ვიკითხოთ, რა უნდა ამ გუნდს „ა" ჯგუფში.

კვირას სტადიონს მრავლად მიაწყდა ხალხი, მაგრამ არავის გაუგონია გორული — „მსაჯს რა უნდა" — „ბათუმის" ქომაგობა სჯობდა მასპინძლებისას. მოტივაცია დაუკარგავს „დილას" ფანობას, აღარც აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გააჭაჭანა პოლიციამ ვინმე და მატჩმაც ისე მშვიდად ჩაიარა... ვინა ხართ, აქ რამ მოგიყვანათ, ჩვენთვის ვთამაშობთო, უსიტყვოდ ამბობდნენ გუნდები.

თავიდან ხუჯაძემ და ციცქიშვილმა შეამოწმეს კარის ძელების სიმტკიცე, მერე კი თავი მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა გამოიჩინა — შალვა აფხაზავა შეცვლაზე წამების შესული იყო, კარელიძის შეცდომა „დილას" ძვირად რომ დაუჯინა. მეორე კი გორელი ვახტანგ აკოფიანი გახლდათ, მატჩი პირველი წუთიდან ბოლომდე ისე მონდომებით რომ ჩაამთავრა, გეგონება, ვერ ხედავს, „ბათუმი" „დილას" უგერგილოდ რომ უტევს და გორელებიც თავს არ აკლავენო. ჯანი კარნევალიმ სახუთაპრილოდ „ტორპედომდე" ძირითადის სამი მოთამაშე დაასვენა. ეს კი ისეთ ანგარიშზე, 0:1 რომაა, სახიფათო იყო. ამან გორელებს ეჭვი გაუჩინა, მაგრამ რაკი „დილას" გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრება, თავი არავის შეუწუხებია.

ისე, ეჭვების გასაფანტად მაინც გეტყვით, რომ „ბათუმმა" შაბათი გზასა და თბილისში გაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ელის დინამოს?

## უფულო და იურიდიულად არარსებულ დინამოს მრეტების 300 ათასი დოლარი მართებს

ქართულ ფეხბურთში პრობლემებს და სკანდალებს რა დალევს. კვირა არ გავა, რაიმე არ მოხდეს. ბოლო დროს აშვეთიას, კიკნაძისა და ანჩაბაძის ვლადიკავკაზის „ალანიაში" ტრანსფერი გახდა სალაპარაკო. რამდენიმე დღის წინ რუსულმა სპორტულმა გამოცემა „სპორტ ეკსპრესმა" მათი ტრანსფერის შეფერხებაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც კი დაადანაშაულა.

ახლახან სფფ-ს ფიფა-უეფადან რამდენიმე ფაქსი მიუღია. ერთი „დინამო" — „მრეტების" აწ უკვე დასრულებულ საქმეს ეხება, მეორე — დონდტის ხელფასს, მესამე კი კიკნაძე — „სამსუნსპორის" ურთიერთობას.

ერთი სიტყვით, სასაუბრო კვლავაც ბევრი დაგროვდა. ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამაც გუშინ თავის კაბინეტში მიგვიწვია, ყველაფერი საგულდაგულოდ განვიხილოთო.

— რუსულმა პრესამ კიკნაძისა და ანჩაბაძის ტრანსფერში ჩვენ დაგვადანაშაულა, თუმცა საპასუხო წერილი მივწერეთ და ყველაფერში გავარკვიეთ. გიორგი კიკნაძე, მოგეხსენებათ, თურქული „სამსუნსპორის" საკუთრებაა. თურქები მისი სხვა კლუბში გადასვლის წინააღმდეგნი სულაც არ იყვნენ, მაგრამ მასზე დახარჯული თანხის გადახდას ითხოვდნენ. კიკნაძის მსურველ კლუბს 90 ათასი ამერიკული დოლარი უნდა გაეღო კომპენსაციის სახით, რადგან თურქებს გიორგი სწორედ ამდენი დაუჯდათ: 50 ათასი თბილისის „დინამოს" მისცეს, 25 ათასი — ფეხბურთელს, 15 ათასი დოლარიც — თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას (თურქეთში კანონია ასეთი — თითოეული ტრანსფერიდან ფედერაციას თავისი წილი მიაქვს). კომპენსაციას თურქები 5 მარტამდე ითხოვდნენ, რომ ვერ მიიღეს, ადგნენ და ფიფაში იჩივლეს. ფიფა ჩვენ დაგვიკავშირდა და გვთხოვა, ეგებ 7 აპრილამდე გვაცნობოთ „დინამოსა" და კიკნაძის აზრიო. დაველოდებით, გავიგებთ მათ პოზიციას და ფიფას შევატყობინებთ. მერე კი ისინი გადაწყვეტენ ყველაფერს. სავსებით შესაძლებელია, კიკნაძემ ლობჟანიძის ბედი გაიზიაროს. როგორც იცით, ლობჟანიძე ბერძნული „ქსანტის" წევრი გახლდათ, მერე კი ფული აიღო და კლუბიდან წამოვიდა. ფიფამ მას დისკვალიფიკაცია მისცა და იგი დღესაც ვერ თამაშობს. ალბათ, ასევე დასჯიან კიკნაძეს.

რაც შეეხება გიორგი ანჩაბაძეს, მისი სატრანსფერო ფურცელი რუსეთის საფეხბურთო კავშირს დროულად გავუგზავნეთ. ეს თავად გიორგიმ და მისი ოჯახის წევრებმაც კარგად იცოდნენ. რატომ ვერ მოხვდა ანჩაბაძე „ალანიას" განაცხადში, ვერ გეტყვით. ეტყობა, თავად კლუბი და ფეხბურთელი ვერ შეთანხმდნენ. ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.

მოგეხსენებათ, „დინამოს" ბელგიელი მეკარის დენიტ დონდტის ხელფასი ბოლომდე არ ჰქონდა გასტუმრებული. დონდტმა ფიფაში იჩივლა, ფიფამაც „დინამოს" 55 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვა. რადგან კლუბს იმ დროს ფული არ ჰქონდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა ქართული ფეხბურთის ინტერესები და ის თანხა მეკარეს ჩვენ გადავუხადეთ. ფიფამ ფაქსით გვაუწყა, რომ დონტმა ფული უკვე მიიღო, თან ამ 55 ათასი დოლარის ივნისამდე ამოღება მოგვთხოვა. „დინამომ" ეს ვალი სწორედ ივნისამდე უნდა დაგვიფაროს და ჩვენ დავაფარვინებთ კიდეც ამ თანხას.

ამავე კლუბის ორ ფეხბურთელს — ოთარ ხიზანეიშვილსა და ზურაბ ხიზანიშვილს უკრაინულ კრივოი როგის „კრივბასში" სურდათ გადასვლა, თუმცა გარკვეული პრობლემები შეექმნათ. ჩვენ ხიზანეიშვილს, აშვეთიას მსგავსად, დროებითი სატრანსფერო ფურცელი გავუგზავნეთ. მას 15 აპრილამდე შეეძლება თამაში. მანამდე კი, იმედია, „კრივბასი" და „დინამოც" მორიგდებიან და ხიზანეიშვილსაც მიეცემა უკრაინაში გადასვლის საშუალება. რაც შეეხება ხიზანიშვილს, მასზე, როგორც ვიცით, თავად „კრივბასის" ხელმძღვანელობამ თქვა უარი.

საბოლოოდ დასრულდა „დინამო" — „მრეტების" დავა გიორგი ქინქლაძის ტრანსფერის შესახებ, რომელიც თითქმის სამი წელია, გრძელდება. ამ საქმეს ფიფას საგანგებო კომიტეტმა და მისმა თავმჯდომარემ, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ დაუსვეს წერტილი. კომიტეტმა თბილისის „დინამო" 20 ათასი ამერიკული დოლარით დააჯარიმა იმის გამო, რომ კლუბმა საქმე სამოქალაქო სასამართლოს გადასცა. ამით დაირღვა ფიფას დებულების 59-ე მუხლი, რომელიც კრძალავს ასეთ საქციელს. ამავდროულად ფიფა დაეთანხმა ამ სასამართლოს მიერ 1999 წლის 24 აგვისტოს მიღებულ გადაწყვეტილებას და უკანონოდ ცნო „მრეტების" მოთხოვნა 800 ათასი დოლარის მიღებაზე. თუმც „დინამომ" კომპენსაციის სახით „მრეტებს" 300 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს. „დინამომ" აღნიშნული თანხა (ჯარიმაც და კომპენსაციაც) ერთი თვის ვადაში, ანუ 1 მაისამდე უნდა დაფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიფა გარკვეულ სანქციებს დააკისრებს. საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მართალია, ფეხბურთის ფედერაცია „დინამოს" დონდტის ხელფასის გასტუმრებაში დაეხმარა, მაგრამ იგივეს ახლა ვეღარ გავიმეორებთ.

ფიფამ არაჯენტლმენურ საქციელშიც ამხილა თბილისის „მრეტები". შეგახსენებთ, „მრეტების" ხელმძღვანელობამ ფიფა დაადანაშაულა, თითქოს მისი ამჟამინდელი პრეზიდენტი ზეპ ბლატერი „დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინტერესებს იცავდა, რათა შემდგომ არჩევნებზე ჩვენ ბლატერისთვის მხარი დაგვეჭირა. ამიტომაც „მრეტები" მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ მკაცრად გააფრთხილა.

ცოტა ხნის წინ გაცხადდა, რომ თბილისის „დინამოს" რეგისტრაცია არ გაუვლია და იურიდიულ პირსაც არ წარმოადგენს. წლეულს გამონაკლისს დავუშვებთ, „დინამოს" ჩემპიონატის ჩამთავრების საშუალებას მივცემთ. ვიცით, ამის გამო კრიტიკასაც დავიმსახურებთ, მაგრამ მზად ვართ გავუძლოთ, რადგან ფეხბურთისთვის ასე უმჯობესი იქნება. თუმცა გარანტიას გაძლევთ, მომავალი სეზონიდან რეგისტრაციის გარეშე არც ერთ კლუბს არ დავუშვებთ. ყველას მოვთხოვთ, განაცხადთან ერთად სარეგისტრაციო ფურცელიც წარმოადგინოს.

*ერთი სიტყვით, ასეა, თბილისის „დინამო" მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. გუნდს, ბოლო ხანია, ფინანსური კრიზისი უდგას, ახლა კი... თითქოს მევალეები აკლდაო (თუნდაც TBC ბანკი აიღეთ), „მრეტებიც" დაემატა, იქით ფიფა ითხოვს ჯარიმას. თანაც ეს ყველაფერი ამ თვის ბოლომდე უნდა დაიფაროს. ფიფა არ არის ის ორგანიზაცია, რომელიმე კლუბს ურჩობა აპატიოს, ან სასჯელი შეუმსუბუქოს. „დინამოს" ვალი აქვს გადასახდელი, თანაც მაშინ, როცა კლუბის შემოსავლის ძირითად წყაროს ტრანსფერები წარმოადგენს, ამ მხრივ კი უახლოეს მომავალში გუნდს დიდი პერსპექტივა არ უჩანს. ნეტავ, რა ელის მარად ჩემპიონს?*

**ვანო ოქროპირიძე**



ზურაბ მეტრეველი და გიორგი შენგელია

# არის!!! დინამომ გაიტანა

თბილისი
1 აპრილი
16 საათი
ეროვნული
700 (ტევადობა 75 000)

**დინამო 2:0 იბერია**

1:0 არველაძე (12), 2:0 სახვაძე (70)

**დინამო:** ჩხეიძე, ი. ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, რუხაძე (ხუციშვილი 50), ა. სახვაძე, სიჭინავა, არველაძე, გ. შენგელია, მონასელიძე (ო. გველესიანი 46), წიტაიშვილი (პ. ჯინჭარაძე 81)

*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, შაშიაშვილი

**იბერია:** ა. ჩომახიძე, ჟვანია, ოდიკაძე (ზ. მეტრეველი 46), გეგეშიძე, მიქელთაძე, სანიკიძე, მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, კ. ჯანაშია (ლ. ხმალაძე 67), ივეჩიანი (ხურციძე 79), მუმლაძე

*სათადარიგონი:* ვარდანიძე; კ. ალანია, ბანძელაძე, დ. ნოზაძე

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კახიანი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**კობა ინასარიძე**

როგორც იქნა, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე თბილისის „დინამომ" მოიგო და აქტივს სამი ქულაც შეჰმატა, გოლი კი მეოთხე მატჩია, არ გაუშვია.

შინაურ სარბიელზე უცვლელ ჩემპიონთა მოგებებსა და მათგან მეტოქეთა განადგურებას ჩვეულნი უკვე ამას აღვნიშნავთ. „დინამომ" ზედიზედ ოთხი მშრალანგარიშიანი მატჩის მერე „იბერია" დაიბრიყვა და ორი უპასუხო გოლიც გაუტანა.

ერთობ უინტერესო და მოსაწყენი თამაში იხილა შაბათს „ეროვნულზე" შეკრებილმა მაყურებელმა, ისეთი, ბოლო ხანს „დინამოსგან" რომ აღარც უკვირთ. არც „იბერია" წყვეტს ციდან ვარსკვლავებს, ერთი რაა, ის ერთი ხეირიანი კომბინაციაც კი ვერ გაითამაშეს მთელი 90 წუთის მანძილზე და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი სანახაობაც იქნებოდა.

ხალხს მხოლოდ ცნობილი მეკენწლავე გოდერძი მახარაძის ახალი რეკორდი თუ ახალისებდა, სტადიონის სარბენ ბილიკზე რომ მყარდებოდა. დრო ზუსტად აღარ მახსოვს, აღარც ის, რეკორდსმენმა ბურთს თავი ზედიზედ რამჯენჯერ შეუშვირა, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ მახარაძემ უწინდელი მიღწევა გააუმჯობესა.

ეს იყო და კიდევ არველაძისა და სახვაძის ლამაზი გოლები.

პირველი მე-12 წუთზე გავიდა — სამტრედიელი ჯინჭარაძის უხეში შეცდომით „დინამოში" დაბრუნებულმა რევაზ არველაძემ ისარგებლა, ბურთი ფეხებში მოიგდო, საჯარიმოში შეიჭრა და ჩომახიძეს ტექნიკური დარტყმით მისი მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

მეორედ კი „დინამომ" 70-ე წუთზე შეაგდო. მარჯვნიდან არველაძის ჩაწოდებულ ბურთზე სახვაძემ თავის დარტყმა გეგეშიძეს დაასწრო, მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა და სტუმრებიც საბოლოოდ გატეხა. „იბერია" მარცხს შეეგუა. მხოლოდ ზურაბ მეტრეველმა მოახერხა, მსაჯის მიერ წამატებულ დროში ჩხეიძისთვის დაერტყა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მეკარემ იყოჩაღა.

„დინამო" კი ისევ „ტორპედოს" უახლოესი მდევარია, მათ შორის ქულათა სხვაობა არ შეცვლილა. თბილისელებმა რომ მოიგეს, ეს არც ქუთაისელებს გასჭირვებიათ. ისე ჩემპიონებმა ამ სამი ქულით „ვიტ ჯორჯია" ჩამოიტოვეს.

# ნემსაძემ ბევრი დათმო და დინამოში დაბრუნდა

**გიორგი ნემსაძის** შოტლანდიურ „ჰიბერნიანში" ტრანსფერი ჩაიშალა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ახლა თბილისშია და ამ სეზონის დამთავრებამდე ალბათ „დინამოში" ითამაშებს.

— ჩემი „ჰიბერნიანში" გადასვლის ამბავი თითქმის გადაწყვეტილი იყო. კლუბთან წინასწარი კონტრაქტიც კი გაფორმებული მქონდა. არ ვიცი, რა მოხდა, ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ისრაელიდან რომ დავბრუნდი, „ჰიბერნიანიდან" იმ საღამოს უნდა დამკავშირებოდნენ და ედინბურგში ჩასვლის თარიღზე შემთანხმებოდნენ. ვფიქრობ, თავად კლუბის ხელმძღვანელებს შორის მოხდა გაუგებრობა, ეტყობა, რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ, თორემ პირადად მე „ჰიბერნიანთან", ხომ გითხარით, ყველაფერი მოგვარებული მქონდა. ათასგვარ დათმობაზე წავედი, ერთ დღეს რასაც შემომთავაზებდნენ, მეორე დღეს სხვას მეუბნებოდნენ, მესამედ მთლად განსხვავებულს. მაინც ვთანხმდებოდი, რადგანაც ამ ეტაპზე შოტლანდიაში თამაში სასურველი იყო. ჩაიშალა ეგ ვარიანტი და რა ვქნა, გული მაინცდამაინც არ მწყდება. ეს სეზონი დამთავრდება, მერე კი, იმედი მაქვს, „ჰიბერნიანზე" უკეთეს გუნდში ვითამაშებ — გვითხრა გიორგი ნემსაძემ, რომელიც უკვე თბილისის „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს.

**კობა ინასარიძე**

# მგონი, ვერავინ დაეწევა

## ინგლისი

XXXI ტური

### დერბი ქაუნთი 3:0 ლესტერი

1:0 ბარლი (15), 2:0 დელაპი (45), 3:0 სტარიჯი (45)
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, ლაურსენი, შნური (ს. ელიოტი 82), დელაპი, ბარლი (მიურეი 78), პაუელი, ჯონსონი, ქინქლაძე (დორიგო 53), შტრუპარი, სტარიჯი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ლესტერი: არფემადი, გაპი, ფ. სინკლერი (გილკრისტი 46), ტაგარტი, მ. ელიოტი, სევიჯი, იზეტი, ლენონი, ოუქსი, კოლიმორი (მარშალი 23), ედი (იმპი 73)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ქინქლაძე, ლენონი, შნური, ტაგარტი, პოომი
გაძევება: ლენონი (67)
მსაჯი: პოლი
25 763 მაყურებელი

### ქოვენთრი 0:3 ლივერპული

0:1, 0:2 ოუენი (23, 38), 0:3 ჰესკი (78)
ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ტელფერი, შოუ, ჰენდრი, ფროგატი, ჩიპო, ოსტიჩი (მ. ქუინი 67), მაკალისტერი, მ. ჰაჯი, ველანი (რობი კინი 33), რუსელი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ქემოსი (სონგი 84), ჰიპია, მატეო, ჯერარდი (მერფი 70), ჰამანი, ტომპსონი, ბერგერი, ოუენი (კამარა 80), ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ველანი, ჰამანი
მსაჯი: რიდი
23 098 მაყურებელი

### ევერტონი 4:2 უოტფორდი

1:0 მარკ ჰიუზი (18), 2:0 მური (30), 2:1 სმარტი (35), 3:1 მური (36), 3:2 ჰიდი (80), 4:2 ს. ჰიუზი (86)
ევერტონი: ჟერარი, ბოლი, გაფი, დანი, შავიერი, პემბრიჯი, ს. ჰიუზი, კოლინზი, ბარმბი, მური, მარკ ჰიუზი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
უოტფორდი: ჩემბერლენი, რობინსონი, უილიამსი (უორდი 46), პალმერი, კოქსი, ისტონი, ჯონსონი, ჰიდი, მ. სმიტი, ვუტერი (მილერი 46), სმარტი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: ჰიდი
მსაჯი: დანი
31 960 მაყურებელი

### ლიდსი 0:1 ჩელსი

0:1 ჰარლი (62)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ბოიერი, ბაკე, მაკფაილი, უილკოქსი (ჰაკერბი 74), ა. სმიტი, კოუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ბაბაიარო, ლებეფი, ტომე, ჰარლი (ლამბური 88), მორისი, დი მატეო, უაიზი, ვეა, სატონი
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
გაფრთხილება: ბოიერი, მორისი, სმიტი, სატონი
მსაჯი: უინტერი
40 162 მაყურებელი

### მანჩესტერი 7:1 ვესტ ჰემი

0:1 ვანჩოპე (11), 1:1 სქოულზი (24), 2:1 ირვინი (26), 3:1 კოული (45), 4:1, 5:1 სქოულზი (51, 61პ), 6:1 ბექემი (66), 7:1 სოლსკიაერი (73)
ირვინმა ვერ გაიტანა პენალტი (26, მეკარე)
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, ბექემი, როი კინი (ბათი 57), სქოულზი (სოლსკიაერი 69), ფორჩუნი, ე. კოული (შერინგემი 68), იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ვესტ ჰემი: ფორესტი, ლომასი, რ. ფერდინანდი, პოტსი, მინტო, ტ. სინკლერი, ფოე, ლამპარდი, მონკუ, ვანჩოპე, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: სინკლერი
მსაჯი: რილი
61 611 მაყურებელი

### ნიუკასლი 2:0 ბრედფორდი

1:0 სპიდი (6), 2:0 შირერი (89)
ნიუკასლი: ჰარპერი, უ. ბარტონი, ჰელდერი, გომა, ა. ჰიუზი, ლი, დაიერი (ძეცბაია 72), სპიდი, დომი, შირერი, დ. ფერგიუსონი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, ბიგრი, უინდასი, მაკკოლი, დრეიერი (კადეტე 69), შარპი (ბლეიქი 65), სონდერსი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ჰალე
მსაჯი: დურსო
36 572 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 1:2 სანდერლენდი

0:1 ქუინი (14), 0:2 ფილიპსი (86პ), 1:2 ლე ტისიე (89პ)
საუთჰემპტონი: ჯონსი (მოსი 46), დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ელ ხალეჯი, ტესემი (კაჩლული 81), ოუკლი (ლე ტისიე 46), მარსდენი, ბრიჯი, პახარსი, დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ჰოლოვეი, კრადოკი, უილიამსი, რუა, სამერბი (გრეი 46), რაე, კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: რიჩარდსი, რუა
მსაჯი: დარკინი
15 245 მაყურებელი

### უიმბლდონი 1:3 არსენალი

1:0 ლუნდი (12), 1:1, 1:2 კანუ (33, 41), 1:3 ანრი (89პ)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ბლექველი, ანდერსენი, იუპი, მაიკლ ჰიუზი, იუელი, რობერტსი (ბადირი 76), ანდრესენი (ერდლი 66), ლუნდი, გეილი
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, გრიმანდი, სილვინიო, ლუჟნი, პარლოუ, ვიეირა, ოვერმარსი (პეტი 46), კანუ (ანრი 66), ბერხკამპი (უინტერბერნი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაძევება: ლუჟნი (43), იუელი (88)
მსაჯი: რენიე
25 858 მაყურებელი

### ტოტენჰემი 2:3 მიდლსბრო

1:0 კ. არმსტრონგი (31), 1:1 კარი (40ს.კ.), 1:2, 1:3 რიკარდი (64, 78), 2:3 ჟინოლა (83)
ტოტენჰემი: ი. უოლკერი, კარი, ტარიკო, ფროინდი, კემპბელი, პერი, ანდერტონი, ივერსენი, კორსტენი (კლემენსი 68), ჟინოლა, კ. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, მასტო, ინსი, დინი, ციგე, ე. კემპბელი, რიკარდი, სამერბელი, კუპერი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: ჟინოლა, პერი, კარი, ფლემინგი, რიკარდი
მსაჯი: ვაილი
31 796 მაყურებელი




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ვესტ ჰემი 7:1. მანჩესტერელმა პოლ სქოულზმა მეტოქეს გოლი ქუსლითაც გაუტანა

დამთავრებულიაო, ვერ იტყვი, მაგრამ ბევრი არც არაფერი უკლია. „ლიდსმა" კვლავ წააგო, ერთ კვირაში ზედიზედ მეორედ — ამჯერად შინ, „ჩელსისთან", „მანჩესტერმა" კი „ვესტ ჰემს" შვიდი გოლი გაუტანა და სხვაობა ლიდერსა და უახლოეს მდევარს შორის ათი ქულა შეიქნა.

„ახლა ძალიან გაუჭირდებათ ჩვენი დაწევა" — თქვა მანჩესტერელთა მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა. დიახ, მისი გუნდი ახლოა ბოლო რვა სეზონში მეექვსე ტიტულთან.

„ოლდ ტრეფორდზე" კი საქმე ისე იყო, რომ მე-11 წუთზე პაულო სესარ ვანჩოპემ „ვესტ ჰემი" დააწინაურა. დააწინაურა და ეგ იყო. მერე ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა. სტუმართა კანადელი მეკარე კრეიგ ფორესტი შავ დღეში ჩავარდა. პოლ სქოულზმა ჰეთ თრიქი შეასრულა, დენის ირვინმა თავისსავე გაფუჭებულ პენალტს მიუსწრო, ენდი კოულმა თავი დაჰკრა, სოლსკიაერმაც გოლი ჩაიწერა და ბექემსაც მობეზრდა მარადიული ასისტენტობა. უხეირო ის გამოვიდა მხოლოდ, რომ 62-ე წუთზე ნიკი ბათმა პენალტი გამოიგონა. მსაჯიც მოატყუა და ტელეკამერის ყოვლისმხილველ თვალს ვერ გაექცა. თუმც კი, ამ პენალტმა სქოულზს ჰეთ თრიქი შეასრულებინა.

„ელანდ როუდზე" კი ერთადერთი გოლი გავიდა. ჯონ ჰარლიმ კრის სატონის პასი მიიღო საჯარიმოს მარცხენა ფრთაზე და ლიდსელთა მეკარე მარტინს იღლიისქვეშ დაურტყა დაბალი ბურთი. ეს იყო და ეს. მასპინძელთა მენეჯერი დევიდ ოლირი ხასიათწამხდარი იყო: „ეს არ არის ის თამაში, ჩვენ რომ გვინდა. არ მგონია, რომ „ჩელსიმ" ხარისხიანი თამაში გვიჩვენა, მაგრამ ჩვენი უხარისხობის ფონზე მათი ერთი შეტევა შედეგიანი გამოდგა". ჰარლის ამ გოლმა კი კვლავ წამოჭრა კითხვა — ვინ იქნება მეორე პრემიერლიგაში? ან, უფრო ფართოდ — რომელი გუნდები მოიპოვებენ ჩემპიონთა ლიგის საგზურებს?

—მით უმეტეს, რომ „ჩელსის" კვალად იმარჯვეს „ლივერპულმა" და „არსენალმაც". პირველმა „ქოვენთრიში" გაიტანა სამი უპასუხო გოლი, მეორემ კი „სელჰერსტ პარკზე" სძლია „უიმბლდონს".

„ლივერპულის" ძირითადში დაბრუნებულმა მაიკლ ოუენმა პირველსავე ტაიმში შეასრულა დუბლი. მესამე ბურთი კი „ლესტერიდან" გადაყვანილმა ემილ ჰესკიმ შეაგდო. ჰესკის გოლს მერსისაიდელები ლამის სამი თამაში იყო, ელოდნენ. თავად ზორბა ფორვარდმა კი თავისი პირველი ლივერპულური გოლის მნიშვნელობა ასე განმარტა: „გუნდთან შესაგუებლად გოლი მჭირდებოდა. ეს აუცილებელი იყო". მისმა მენეჯერმა ჟერარ ულიემ კი დარჩენილ შვიდ ტურში ბრძოლის სიმწვავეს გაუსვა ხაზი: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ. თანდათან უკეთ გამოგვდის და იმ ოთხ გუნდს შორის ვიქნებით, ვინც ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ეს რეალობაა".

დუბლი „სელჰერსტ პარკზეც" შესრულდა. ნვანკვო კანუმ ასევე პირველ ტაიმში უპასუხა თავისი დუბლით „უიმბლდონელი" ანდრეას ლუნდის ადრიან გოლს. ტაიმის მიწურულს კი უკრაინელი მეთოფე ოლეგ ლუჟნი გააძევეს იმავე ლუნდის წაქცევისთვის. ეს იყო მეთოფეთა მესამე წითელი ბარათი ბოლო ოთხ შეხვედრაში და მათმა თავკაცმა არსენ ვენგერმა მორიგ კაცნაკლულობას „მეტად საშიში ტენდენცია" უწოდა. შეხვედრის მიწურულს დონელი ჯეისონ იუელიც გააძევეს ტიერი ანრის საჯარიმოში წაქცევისთვის. ანრიმ კი პენალტით დასვა წერტილი.

საუთჰემპტონში გლენ ჰოდლის გუნდმა „სანდერლენდთან" წააგო 1:2. „დელის" მინდორზე „სანდერლენდს" 1962 წლის შემდეგ არ მოეგო, ნეილ ქუინისა და კევინ ფილიპსის დუეტმა კვლავ დასვა ნიშნები. ფილიპსის 26-ე სალიგო გოლი პენალტი გამოდგა, რომელსაც პენალტითვე უპასუხა „წმინდანთა" ვეტერანმა მეტ ლე ტისიემ. „ნიუკასლმა" უდავიდარაბოდ სძლია „ბრედფორდს", „ევერტონმა" კი „უოტფორდს". ამ შეხვედრაში ანგარიში მარკ „სპარკი" ჰიუზმა გახსნა, რომელიც „გუდისონ პარკზე" სამი კვირის გადაბარგებულია და შეთავსებით უელსის ნაკრებს წვრთნის.

„დერბიმ" კი ცოტათი ამოისუნთქა, ხუთი ქულით გადაუსწრო „ბრედფორდს", რახან შინ პირველსავე ტაიმში მოუთავა ხელი „ლესტერს". 3:0, კრეიგ ბარლის, რორი დელაპისა და დინ სტარიჯის წყალობით. ამ ორმა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაიტანა თითო გოლი. მენეჯერმა სმიტმა საქმე მოთავებულად ჩათვალა და მეორე ტაიმის დასაწყისში გიორგი ქინქლაძეც შეცვალა. თანაც ქართველს უკვე ყვითელი ბარათი ჰქონდა და მსაჯთან საკამათოც არ დაელია, რაც შეიძლებოდა არცთუ სასიამოვნოდ დასრულებულიყო. ეს კვირა საღამო ნაღდად არ იყო „ლესტერისა": მათმა მთავარმა იმედმა, სტენ კოლიმორმა მარცხენა ფეხის კოჭი ორ ადგილას მოიტეხა და ტკივილისგან ლამის გონება დაკარგა. ასე რომ, ჟანგბადის სასუნთქი ბალიშებით და ასეთი რამეებით გაასვენეს მოედნიდან. ერთი თვის წინათ „ვილადან" დიდი ხმაურით გადაყვანილი 29 წლის კოლიმორი ფორმაში იყო, ლამაზი გოლები გაჰქონდა და „ლესტერმაც" თამამად გაყიდა ჰესკი. ახლა კი...

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 31 | 21 | 7 | 3 | 76:36 | 40 | 70 | 16 | 12 | 4 | 0 | 49:13 | 36 | 40 | 15 | 9 | 3 | 3 | 27:23 | 4 | 30 |
| 2 | ლიდსი | 31 | 19 | 3 | 9 | 49:34 | 15 | 60 | 16 | 11 | 1 | 4 | 25:12 | 13 | 34 | 15 | 8 | 2 | 5 | 24:22 | 2 | 26 |
| 3 | ლივერპული | 31 | 17 | 8 | 6 | 47:24 | 23 | 59 | 16 | 10 | 3 | 3 | 26:11 | 15 | 33 | 15 | 7 | 5 | 3 | 21:13 | 8 | 26 |
| 4 | არსენალი | 31 | 17 | 6 | 8 | 56:32 | 24 | 57 | 16 | 12 | 2 | 2 | 35:12 | 23 | 38 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:20 | 1 | 19 |
| ვილიარეალი | 33 | 13 | 10 | 10 | 44:36 | 49 |
| ტენერიფე | 33 | 13 | 10 | 10 | 42:36 | 49 |
| კორდობა | 33 | 13 | 10 | 10 | 39:33 | 49 |
| ლევანტე | 33 | 12 | 13 | 8 | 44:41 | 49 |
| ოსასუნა | 33 | 15 | 4 | 14 | 33:30 | 49 |
| სპორტინგი | 33 | 14 | 6 | 13 | 43:39 | 48 |
| ლეგანესი | 33 | 13 | 10 | 10 | 37:37 | 46 |
| მერიდა | 33 | 11 | 12 | 10 | 32:31 | 45 |
| ეიბარი | 33 | 11 | 12 | 10 | 39:41 | 45 |
| ალბასეტე | 33 | 11 | 11 | 11 | 38:43 | 44 |
| ბადახოსი | 33 | 8 | 19 | 6 | 27:27 | 43 |
| ელჩე | 33 | 10 | 13 | 10 | 37:41 | 43 |
| ხეტაფე | 33 | 12 | 6 | 15 | 33:37 | 42 |
| ატლეტიკო B | 33 | 10 | 8 | 15 | 34:44 | 38 |
| ლოგრონიესი | 33 | 9 | 9 | 15 | 43:47 | 36 |
| კომპოსტელა | 33 | 8 | 12 | 13 | 37:44 | 36 |
| უელვა | 33 | 8 | 9 | 16 | 33:45 | 33 |
| ტოლედო | 33 | 7 | 7 | 19 | 25:44 | 28 |

REUTERS ფოტოქრონიკა



„ვილა“ ფინალშია!

## ინგლისი

### ასოციაციის თასი

ნახევარფინალი

**ბოლტონი 0:0 (პენ.1:4) ასტონ ვილა**

ბოლტონი: იასკელაინენი, ბერგსონი (ოკენი 92), ელიოტი, ფიში, რიჩი, იოჰანსენი, იენსენი (ვარჰურსტი 61), უიტლოუ, ჯონსტონი, გუდიონსენი, ჰოლდსუორთი

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, დილანი, ბოატენგი (ჰენდრი 119), ტეილორი (სტოუნი 14), მერსონი, ა. რაიტი, ჯოუჩიმი, კარბონე (დაბლინი 70)

გაფრთხილება: უიტლოუ, ეჰიოგუ, ჰოლდსუორთი, დილანი, ვარჰურსტი, ელიოტი

გაძევება: დილანი (109)

მსაჯი: ელერეი

62 828 მაყურებელი

„ასტონ ვილა“ ასოციაციის თასის ფინალში გავიდა. ასეთი რამ 1957 წლის შემდეგ აღარ მომხდარა.

კვირას „უემბლიზე“ გამართულ ნახევარფინალში „ვილამ“ ასოცწუთიან უგოლო თამაშში ვერაფერი მოუხერხა პირველდივიზიონელ „ბოლტონ უონდერერს“ და მხოლოდ მატჩისშემდგომი პენალტებით მოიგო დამაჯერებლად — 4:1.

ეს იყო მოსაწყენი, უინტერესო შეხვედრა, რომელიც დამატებითი დროის მიწურულსღა გამოცოცხლდა. ამ დროს „ვილა“ უკვე ათი კაცით თამაშობდა — განაპირა მცველი მარკ დილანი გაეძევებინათ.

„მართლაც არ იყო კლასიკა“ — აღიარა ბირმინგემელთა მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ — „მაგრამ არაფერი დავითმია და მიხარ... რომ ფინალში ვართ“.

„ბურთი ჩვენთ... არ დაგორავდა“ — იმედგაცრუებას არ ფარავდა ბოლტონელთა თავკაცი სემ ოლარდაისი — „წელს ლიგის თასის ნახევარფინალშიც დავმარცხდით. ფეხბურთელებმა ყველაფერი გაიღეს, მაგრამ...“

მაგრამ „ვილელთა“ კარში იდგა დევიდ ჯეიმსი, რომელმაც ორი პენალტი მოიგერია.

ახლა „ასტონ ვილა“ დაელოდება „ნიუკასლსა“ და „ჩელსის“ შორის გამარჯვებულს. მათი შეხვედრა მომავალ კვირას, 9 აპრილს გაიმართება „უემბლიზე“.

*ფინალი 20 მაისს ასევე „უემბლიზე“ ჩატარდება.*

## ჰოლანდია

### XXVIII ტური

**ვალვაიკი 2:2 ფეიენოორდი**

0:1 ბოსველტი (36), 1:1 ვან ვან როი (49), 2:1 კორნელისე (74), 2:2 სამარჯიჩი (75)

**უტრეხტი 1:2 კამბური**

0:1 ვან უტრეხტი (47), 0:2 ნელისე (77პ), 1:2 კუიტი (86)

**სპარტა 1:1 ტვენტე**

1:0 ნილსენი (45), 1:1 ბუთი (46)

**გრააფსხაპი 1:0 სიტარდი**

1:0 დე ტურკი (7)

**პსვ 5:1 ალკმარი**

1:0 ბრუგინკი (20), 2:0 სტინგა (23), 3:0 ლინდენბერგი (28ს.კ.), 3:1 რიკსენი (45), 4:1 ბოუმა (70), 5:1 კოლკა (90)

**მაასტრიხტი 0:2 ვიტესი**

0:1 იოხემსენი (18), 0:2 ვ. სიკორა (30)

**დენ ბოსხი 1:1 ტილბურგი**

1:0 ვოსი (37), 1:1 შულპი (45)

**ჰერენვენი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 ლურლინგი (84პ)

**როდა 3:0 აიაქსი**

1:0 დომერნიკი (28), 2:0 პეეტერსი (31), 3:0 ჩუტანგი (65)

აიაქსი: გრიმი, კ. კანუ, ჩივუ (დე კლერი 70), ვერლაატი, ვინტერი, ვან ჰალსტი, კნოპერი, ვიჩგე, ბ. ლაუდრუპი (ბაბანგიდა 59), შ. არველაძე (დანი 57), გრონკიაერი

მწვრთნელი: ჰანს ვესტერჰოფი

პრიზისიდან თავის დაღწევაზე, როგორც ჩანს, საუბარი ნაადრევია. „აიაქსს“ ვერც ახალმა თავკაცმა ჰანს ვესტერჰოფმა უშველა, მისი ხელმძღვანელობით ამსტერდამულმა კლუბმა მეორე შეხვედრა ჩაატარა, ამჯერად სტუმრად კერკრადეში „როდასთან“ და 0:3 დამარცხდა. თუმცა ჯერჯერობით თავი შევიკავოთ და დაველოდოთ, ეგებ სეზონის ბოლომდე გუნდმა თამაში გამოასწოროს და ჩვეულ ფორმაში ჩადგეს.

„აიაქსმა“ მატჩი შემართებით დაიწყო და დებიუტში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. „როდას“ მეკარე გრეგორი დელვანტემ ერთი ორჯერ აშკარა გოლისგან იხსნა თავისი გუნდი. შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მასპინძლები გონს მოეგნენ და უპირატესობა იგდეს ხელთ, 28-ე წუთზე ანგარიშიც გახსნეს — ნახევარმცველმა როი დომერნიკმა ზუსტად დაარტყა და „როდა“ დააწინაურა.

„აიაქსის“ ისედაც არეული დაცვა გაშვებულმა ბურთმა კიდევ უფრო დააბნია. პირველი გოლიდან სამ წუთში „როდამ“ კვლავ გაიტანა. ამჯერად ბობ პეეტერსმა გამოიჩინა თავი და მიმდინარე სეზონში მე-13 ბურთი შეაგდო. მატჩის ბედი თითქმის გადაწყდა. კერკრადელი გულშემატკივარი თავისი გუნდის გამარჯვებას ნაადრევად ზეიმობდა. ცხადი იყო, რომ დაბნეული და ფარხმალდაყრილი „აიაქსი“ თამაშის შემობრუნებას ვერ შეძლებდა.

მეორე ტაიმში ვითარება არ შეცვლილა. „აიაქსი“ ეცადა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, 65-ე წუთზე კი თავის კარში კიდევ ერთი გოლი მიიღო. იან ვან ჰალსტმა მეკარეს ზუსტად ვერ დაუბრუნა ბურთი, ბერნარ ჩუტანგმა ამსტერდამელთა შეცდომით ისარგებლა, გადაცემა ჩაჭრა და ანგარიში სამამდე გაზარდა. როგორც გაირკვა, ამით მან მატჩის საბოლოო შედეგსაც წერტილი დაუსვა.

საკუთარ კედლებში დიდი ანგარიშით მოიგო და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა პსვ-მ, რომელმაც ამჯერად „ალკმარი“ დაამარცხა 5:1.

პირველ და მეორე ადგილებს შორის სხვაობა უკვე ათი ქულაა, ჩემპიონატის დასრულებამდე კი 6 ტური დარჩა. ძნელი წარმოსადგენია, პსვ-მ მოკლე დროში 10 ქულა დაკარგოს, ამიტომ წინასწარი პროგნოზით ეინდჰოვენური გუნდი ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, რაც კლუბის ისტორიაში მე-15 ტრიუმფი იქნება.

ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლაში კი ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა. მეორე ადგილზე გასვლის შანსს ერთბაშად რამდენიმე გუნდი ინარჩუნებს.

სტუმრად „ვალვაიკთან“ ნათამაშები ფრის შემდეგ „ფეიენოორდი“ მე-4 საფეხურზე ჩამოქვეითდა, მას „ტვენტე“ და „ჰერენვენი“ უსწრებენ, რაც ჰოლანდიის ჩემპიონატისთვის ერთობ უჩვეულო ფაქტია. თუ „ფეიენოორდი“ და „აიაქსი“ თამაშის ხარისხს არ გამოასწორებენ, მომავალ სეზონში შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის მიღმაც დარჩნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 28 | 21 | 3 | 4 | 86:22 | 66 |
| ტვენტე | 28 | 15 | 11 | 2 | 47:24 | 56 |
| ჰერენვენი | 28 | 17 | 3 | 8 | 52:33 | 54 |
| ფეიენოორდი | 28 | 15 | 8 | 5 | 55:35 | 53 |
| აიაქსი | 27 | 15 | 5 | 7 | 61:40 | 50 |
| ვიტესი | 28 | 14 | 8 | 6 | 53:39 | 50 |
| ალკმარი | 28 | 15 | 4 | 9 | 59:46 | 49 |
| როდა | 28 | 13 | 6 | 9 | 50:39 | 45 |
| ტილბურგი | 28 | 11 | 7 | 10 | 43:49 | 40 |
| უტრეხტი | 28 | 11 | 3 | 14 | 46:52 | 36 |
| ვალვაიკი | 28 | 10 | 5 | 13 | 38:56 | 35 |
| სპარტა | 28 | 10 | 4 | 14 | 41:56 | 34 |
| გრააფსხაპი | 28 | 8 | 8 | 12 | 35:44 | 32 |
| სიტარდი | 28 | 8 | 7 | 13 | 39:43 | 31 |
| ნაიმეგენი | 28 | 6 | 4 | 18 | 33:55 | 22 |
| მაასტრიხტი | 28 | 4 | 6 | 18 | 33:62 | 18 |
| კამბური | 28 | 3 | 7 | 18 | 26:58 | 16 |
| დენ ბოსხი | 27 | 2 | 7 | 18 | 23:67 | 13 |



როდა — აიაქსი 3:0. კერკრადელი ბობ პეეტერსი (მარჯვნივ) ამსტერდამელ მცველებთან ორთაბრძოლისას

## რუსეთი

### II ტური

**ურალანი 0:2 სპარტაკი**

0:1 ტიტოვი (43), 0:2 ბუზნიკინი (50)

**ლოკომოტივი 2:0 კრ. სოვეტოვი**

1:0 ლოსკოვი (60), 2:0 სოლომატინი (63)

**ჩერნომორეცი 4:0 დინამო**

1:0 პოპოვი (18), 2:0 კოვალენკო (45), 3:0 პოპოვი (64), 4:0 კოვალენკო (66)

**ტორპედო 2:1 ნ. ნოვგოროდი**

0:1 სანკო (6), 1:1 ტრაკისი (45), 2:1 ავაქოვი (62)

**ზენიტი 1:0 ანჟი**

1:0 პანოვი (77)

**როსტსელმაში 1:1 როტორი**

0:1 ზერნოვი (2), 1:1 კირიჩენკო (21)

**ალანია 1:1 ფაკელი**

0:1 იუმინოვი (31), 1:1 პაგაევი (81)

**ცსკა 0:0 სატურნი**

რუსეთის ჩემპიონატში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ქართველი გულშემატკივრებისთვის კი უპირველესად ვლადიკავკაზის „ალანიას“ ამბავია საინტერესო.

„ალანიას“ კვლავ არ გაუმართლა. პირველ ტურში „სპარტაკთან“ მარცხის შემდეგ გუცაევის გუნდი შინ დებიუტანტ „ფაკელთან“ მხოლოდ ფრეს დასჯერდა, თუმცა მოგებაც შეეძლო.

პირველივე წუთებზე ვორონეჟელთა მეკარე გონჩაროვს მიხეილ აშვეთიასა და ბახვა თედეევის უძლიერესი დარტყმების მოგერიება მოუხდა. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ ტარლოვსკის და პაულუ ემილიუს.

ხშირად ხდება, შეტევაში გართულ ფეხბურთელებს საკუთარი კარის დაცვა ავიწყდებათ და „ალანიასაც“ ასე მოუვიდა. 31-ე წუთზე იუმინოვი ვლადიკავკაზელთა ახალგაზრდა მეკარე მანდრიკინთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა.

აღსანიშნავია, რომ სტუმართაგან ყველაზე სახიფათო სწორედ იუმინოვი გახლდათ და „ფაკელის“ იერიშების სული და გული იყო. ტაიმიც მინიმალური ანგარიშით დასრულდა. არადა, ბახვა თედეევს წონასწორობის აღდგენა შეეძლო. 45-ე წუთზე ვორონეჟელთა საჯარიმოში შეჭრილი აშვეთია (მასპინძელთაგან მან უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა) ბესკროვნიმ მოცელა. აშკარა პენალტი იყო და მოსკოველ მსაჯ ბასკაკოვს არ უყოყმანია. მაგრამ რად გინდა, ვლადიკავკაზელთა კაპიტანმა არაზუსტად დაარტყა.

პირველ ტურში ასე იყო — „ფაკელი“ „როსტელმაშს“ ხვდებოდა და საპასუხო გოლი შეხვედრის მიწურულს გაუშვა. ახლაც ასე მოხდა. 81-ე წუთზე კუთხური დაინიშნა. არხირემ შორეულ ძელთან ჩააწოდა. იქ ბურთს პაგაევი დახვდა და მასპინძლებს ერთი ქულა მოუტანა.

ვლადიმერ გუცაევი: „მატჩის ბედი პირველივე ტაიმში უნდა გადაგვეწყვიტა. უამრავი საგოლე მომენტი გვქონდა, თანაც, პენალტი ვერ გამოვიყენეთ. შესვენების შემდეგ კი სწრაფი გოლის გატანა ვცადეთ და კომბინაციური თამაში არ წაგვივიდა“.

ბოლოს ავღნიშნოთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კარში გოლის გამტან ბაზაევს ტრავმის გამო არ უთამაშია. სამაგიეროდ, მოედანზე გამოჩნდა მიხეილ ფოცხვერია. მისი და აშვეთიას გარდა „ალანიას“ რიგებში წერეთელმა და სილაგაძემაც ითამაშეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ჩერნომორეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| როტორი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| კრილია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ზენიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| როსტსელმაში | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ფაკელი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ნ. ნოვგოროდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ალანია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სატურნი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ანჟი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ურალანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## ბელგია

### XXIX ტური

**ბეერსხოტი 2:0 გენტი**

1:0 ჰოფმანსი (18), 2:0 სონკი (50)

**ლოკერენი 1:2 გენკი**

1:0 იანსენსი (18), 1:1 ზანი (23), 1:2 გუდიონსენი (28)

**ბრიუგე 3:1 შარლერუა**

1:0 იანსენი (28), 2:0, 3:0 ვერმანტი (43პ, 70), 3:1 რომანიუკი (74)

**ლომელი 0:4 მუსკრონი**

0:1 დუგარდენი (5), 0:2 დე ფლისშაუერი (70), 0:3 ვიდოვიჩი (75), 0:4 ლავარი (77)

**აალსტი 1:1 ვესტერლო**

0:1 პელიჩი (48), 1:1 სარლი (81პ)

**ანდერლეხტი 5:0 მეხელენი**

1:0 ბასეჯიო (13), 2:0, 3:0 რადზინსკი (34, 60), 4:0 ზეტერბერგი (61), 5:0 ანასტასიუ (82)

**ლიერსი 1:3 ბევერენი**

1:0 ვან მეირი (42), 1:1 ვან რუმსტი (50), 1:2 ტორკენი (81), 1:3 ნიკოში (88)

ლიერსი: ნისი, ლაერემანსი, ვან მეირი, ჰოფკინსი, ლეენი, სნოექსი, სომერსი (რუდი 53), ზდებელი (ჰიუსგემსი 59), **შეყილაძე**, ვან დე ვეირი (დე კისერი 77), სპიტერი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

**გეელი 3:2 ჰარელბეკე**

0:1 მიჩკოვი (35), 1:1 დაელემანსი (37პ), 1:2 სილა (57), 2:2 ბენედიქტსონი (84), 3:2 დელენი (90)

**სენტ ტრუიდენი 2:0 სტანდარდი**

1:0 ტეპერსი (23), 2:0 რუდონია (70)

„ანდერლეხტს“ ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა უკლია. ალბათ ეჭვი აღარავის ეპარება, რომ გუნდი თავის ისტორიაში 25-ჯერ მოიპოვებს ქვეყნის საუკეთესო გუნდის ტიტულს. დარჩენილ ხუთ ტურში ერთი გამარჯვებაღა კმარა და „ანდერლეხტი“ თავის ქომაგს ამ სიამოვნებას არ მოაკლებს. გუნდმა შინ ზედიზედ მეექვსედ მოიგო და ისე ძლიერად თამაშობს, რომ სამი ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეს.

ლიდერებმა მორიგ ტურში „მეხელენს“ უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 5:0. როგორც იქაური პრესა აღნიშნავს, გუნდმა ნახევარი ძალით ითამაშა და რომ მოენდომებინათ, მეტ გოლსაც გაიტანდნენ. „ანდერლეხტს“ დისკვალიფიცირებული ფორვარდი იან კოლერი აკლდა, თუმც ლიდერს ეს არც დასტყობია.

გელა შეყილაძის „ლიერსი“, რომელმაც ჩემპიონატი დიდი ამბიციით დაიწყო, ხოლო ბოლოს აშკარად მოისუსტა, შინ „ბევერენთან“ დამარცხდა 1:3 და მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა.

იოჰან ბოსკამპის „გენკმა“ „ლოკერენთან“ სტუმრად მიღწეული გამარჯვებით როგორც იქნა, დაძლია წარუმატებელი სე...ა, მისმა მეტოქემ კი ბოლო ხუთ შეხვედრაში პირველად წააგო.

აღსანიშნავია, რომ თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ. კრის იანსენსმა „გენკის“ მეკარე იშტვან ბროკჰაუზერი ადვილად მოატყუა და ანგარიში გახსნა, თუმც ბოსკამპის შეგირდებმა ხუთ წუთში გაათანაბრეს, კიდევ ხუთ წუთში კი მეორე გოლიც მიაყოლეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს. „გენკი“ მერვე საფეხურზე დამკვიდრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 29 | 20 | 8 | 1 | 78:27 | 68 |
| ბრიუგე | 29 | 17 | 4 | 8 | 60:28 | 55 |
| სტანდარდი | 29 | 17 | 2 | 10 | 61:42 | 53 |
| მუსკრონი | 29 | 15 | 6 | 8 | 64:42 | 51 |
| გენტი | 29 | 16 | 3 | 10 | 64:48 | 51 |
| ლიერსი | 29 | 14 | 6 | 9 | 60:40 | 48 |
| ბეერსხოტი | 29 | 13 | 7 | 9 | 47:40 | 46 |
| გენკი | 29 | 13 | 6 | 10 | 54:49 | 45 |
| ვესტერლო | 29 | 12 | 8 | 9 | 52:60 | 44 |
| მეხელენი | 29 | 11 | 5 | 13 | 42:61 | 38 |
| ლოკერენი | 29 | 9 | 9 | 11 | 46:53 | 36 |
| აალსტი | 29 | 11 | 3 | 15 | 50:58 | 36 |
| ბევერენი | 29 | 8 | 8 | 13 | 43:53 | 32 |
| ჰარელბეკე | 29 | 8 | 5 | 16 | 47:60 | 29 |
| სტ. ტრუიდენი | 29 | 8 | 5 | 16 | 33:56 | 29 |
| გეელი | 29 | 4 | 11 | 14 | 25:51 | 23 |
| შარლერუა | 29 | 5 | 7 | 17 | 33:59 | 22 |
| ლომელი | 29 | 3 | 11 | 15 | 28:60 | 20 |

# საქართველოს ნაცვლად ამერიკაში

გეორგე ჰაჯი სიტყვის კაცია. ერთხელ თქვა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ ვითამაშებო და გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია. საკითხავი ერთია, სად განაგრძობს საკლუბო კარიერას ვეტერანი რუმინელი.

ჰაჯიმ შორს დაიჭირა თანამოძმეთა მიწვევა, დაბრუნდი, რომელიმე რუმინულ კლუბს დაეხმარეო და თვალი ამერიკისკენ უჭირავს, სადაც მის ხელში ჩაგდებას ჩიკაგოს „ფაირზი" და ნიუ იორკის „მეტროსტარზი" ლამობს. როგორც ამბობენ, ჰაჯისთან ერთად ამერიკას მისი მეგობარი, გეორგე პოპესკუც მიაშურებს.

რუმინული ფეხბურთის ვარსკვლავები, საბოლოოდ რომელ კლუბს აირჩევენ, ჩვენთვის ნაკლებმნიშვნელოვანია. მთავარი ის გახლავთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუმინელებს ახალი ფეხბურთელების შერჩევა მოუწევთ.

## საფრანგეთი

ლიგის თასი. ნახევარფინალი

**პსჟ 4:2 ბასტია**

0:1 ანდრე (12), 1:1 რაბესანდრატანა (38), 2:1 ლერუა (64), 3:1 კრისტიანი (75), 3:2 პეტერსენი (90), 4:2 მადარი (90)

**რედ სტარი (III) 2:2 დ.დ. (2:2, პენ.8:9) გენიონი (II)**

### მეორე დივიზიონი

31-ე ტური. ნიმი — ნიორი 1:4; ამიენი — კანი 0:2; ლავალი — ლე მანი 2:1; ლილი — ვალანსი 4:1; ნიცა — ვასკეალი 1:1; სოშო — ლორიანი 1:1; აიაჩო — ტულუზი 0:1; შატორუ — ლუანი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 31 | 22 | 5 | 4 | 49:21 | 71 |
| გენგამი | 31 | 15 | 10 | 6 | 55:37 | 55 |
| ტულუზი | 31 | 15 | 7 | 9 | 42:24 | 52 |
| გენიონი | 31 | 10 | 15 | 6 | 39:26 | 45 |
| აიაჩო | 31 | 13 | 6 | 12 | 30:31 | 45 |
| ლავალი | 31 | 11 | 11 | 9 | 34:32 | 44 |
| კაენი | 31 | 10 | 13 | 8 | 40:32 | 43 |
| ლე მანი | 31 | 10 | 13 | 8 | 37:35 | 43 |
| სოშო | 31 | 12 | 7 | 12 | 37:37 | 43 |
| ლორიანი | 31 | 11 | 8 | 12 | 29:32 | 41 |
| ნიმი | 31 | 10 | 10 | 11 | 37:36 | 40 |
| შატორუ | 31 | 10 | 10 | 11 | 33:36 | 40 |
| კანი | 31 | 9 | 12 | 10 | 26:28 | 39 |
| ნიორი | 31 | 8 | 13 | 10 | 33:37 | 37 |
| ნიცა | 31 | 6 | 18 | 7 | 21:27 | 36 |
| ამიენი | 31 | 7 | 13 | 11 | 29:36 | 34 |
| კრეტეი | 31 | 8 | 9 | 14 | 26:38 | 33 |
| ვასკეალი | 31 | 6 | 14 | 11 | 24:33 | 32 |
| ვალანსი | 31 | 4 | 13 | 14 | 27:45 | 25 |
| ლუანი | 31 | 5 | 9 | 17 | 25:50 | 24 |

## პოლონეთი

21-ე ტური. პოგონი — ვისლა 3:3; პოლონია — ლეხი 5:0; სტომილი — რუხი 0:0; პლოცკი — ამიცა 0:0; ოდრა — ლეგია 0:2; გროცლინი — ლკს 2:1; ვიძევი — ზაგლებე 2:1; რაძიონკოვი — გურნიკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 21 | 14 | 4 | 3 | 36:17 | 46 |
| რუხი | 21 | 11 | 8 | 2 | 38:19 | 41 |
| ლეგია | 21 | 10 | 10 | 1 | 40:21 | 40 |
| ვისლა | 21 | 10 | 7 | 4 | 40:27 | 37 |
| პოგონი | 21 | 8 | 9 | 4 | 34:30 | 33 |
| ამიცა | 21 | 7 | 9 | 5 | 30:25 | 30 |
| ზაგლებე | 21 | 7 | 7 | 7 | 24:23 | 28 |
| ვიძევი | 21 | 7 | 6 | 8 | 28:31 | 27 |
| სტომილი | 21 | 6 | 9 | 6 | 22:29 | 27 |
| პლოცკი | 21 | 7 | 6 | 8 | 23:31 | 27 |
| რაძიონკოვი | 21 | 7 | 3 | 11 | 21:31 | 24 |
| ოდრა | 21 | 6 | 5 | 10 | 23:27 | 23 |
| გურნიკი | 21 | 4 | 8 | 9 | 27:27 | 20 |
| ლკს | 21 | 4 | 7 | 10 | 17:24 | 19 |
| ლეხი | 21 | 4 | 6 | 11 | 27:41 | 18 |
| გროცლინი | 21 | 3 | 2 | 16 | 14:41 | 11 |

## დანია

22-ე ტური. სილკებორგი — კოპენჰაგენი 2:1; ვაილე — ბრონდბიუ 1:1; ოდენსე — აკადემისკი 1:1; ლიუნგბიუ — ორჰუსი 3:0; ესბიერგი — ოლბორგი 0:0; ჰერფიოლგე — ვიბორგი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 22 | 13 | 4 | 5 | 38:30 | 43 |
| ბრონდბიუ | 22 | 10 | 6 | 6 | 38:25 | 36 |
| ლიუნგბიუ | 22 | 11 | 3 | 8 | 36:30 | 36 |
| სილკებორგი | 22 | 9 | 7 | 6 | 38:22 | 34 |
| აკადემისკი | 22 | 9 | 7 | 6 | 34:27 | 34 |
| ვიბორგი | 22 | 9 | 5 | 8 | 31:32 | 32 |
| ოლბორგი | 22 | 7 | 10 | 5 | 32:25 | 31 |
| კოპენჰაგენი | 22 | 3 | 4 | 10 | 28:23 | 28 |
| ოდენსე | 22 | 5 | 9 | 8 | 19:28 | 24 |
| ორჰუსი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:36 | 21 |
| ესბიერგი | 22 | 6 | 3 | 13 | 24:40 | 21 |
| ვაილე | 22 | 3 | 10 | 9 | 24:45 | 19 |

## შოტლანდია

XXIX ტური

**აბერდინი 1:1 რეინჯერსი**

1:0 ჟუნტვეტი (17), 1:1 ბ. ფერგიუსონი (37)

**დანდი 0:0 ჰართსი**

**ჰიბერნიანი 1:0 დანდი იუნ.**

1:0 ჰარტლი (23)

**მოზერუელი 2:1 სტ. ჯონსტონი**

0:1 რასელი (46), 1:1 ბრანანი (76პ), 2:1 კორიგანი (89)

**სელტიკი 4:2 კილმარნოკი**

1:0 იონსონი (11), 2:0 ბლინკერი (21), 2:1 რაიტი (49), 2:2 ლუჩლანი (57), 3:2 ბერკოვიჩი (73), 4:2 ბერჩილი (83)

ერთპიროვნული ლიდერი „რეინჯერსი" აუტსაიდერ „აბერდინს" ესტუმრა და შეხვედრა ფრედ — 1:1 დაასრულა, თუმც ორი ქულის დაკარგვით გლაზგოურ კლუბს არაფერი დაჰკლებია. იგი თანაქალაქელ „სელტიკს" 13 ქულით უსწრებს. დარჩენილ 9 ტურში კი ამდენ ქულას ალბათ აღარ დაკარგავს. მატჩის შემდეგ „რეინჯერსის" თავკაცმა დიკ ადვოკაატმა მეტოქე შეაქო: „ფრე ერთობ სამართლიანი შედეგია, „აბერდინის" თამაში ნამდვილად მომეწონა, გუნდს აგრესია და მოტივაცია ეტყობოდა, თუ დარჩენილ ტურებში ასე გააგრძელებენ, ცხრილის ფსკერიდან აუცილებლად ამოვლენ".

მრისხანე მეტოქესთან აღებული ქულით უკმაყოფილო არც „აბერდინის" თავკაცი სკოვდალი გახლდათ: „რეინჯერსთან" თუნდაც შინ მიღწეული ფრე კარგი შედეგია. იმედი მაქვს, დღევანდელი წარმატება ბიჭებზე ფსიქოლოგიურად კარგად იმოქმედებს და კრიზისს თავს დავაღწევთ".

„რეინჯერსის" ისტორიულმა მეტოქემ, მისმა თანაქალაქელმა „სელტიკმა", რომელიც ლიდერს 13 ქულით ჩამორჩა და ჩემპიონობის იმედი თითქმის დაკარგა, ბოლოსწინა საფეხურზე მყოფ „კილმარნოკს" უმასპინძლა და 4:1 დაამარცხა. გლაზგოური პრესა იუწყებოდა, „სელტიკმა" ერთობ იოლად გაიმარჯვაო.

მასპინძლები 21-ე წუთზე 2:0 იგებდნენ. ამის შემდეგ ეტყობა მოეშვნენ და ორი ბურთი გაუშვეს. თუმცა დიდი ტრაგედია ნამდვილად არ შექმნილა, „სელტიკმა" მეტოქეს კიდევ ორი გოლი გაუტანა და საბოლოოდ 4:2 გაიმარჯვა.

„დღეს დავამტკიცეთ, რომ ბრძოლა შეგვძლებია — განაცხადა „სელტიკის" თავკაცმა კენი დალგლიშმა და დასძინა — წინა ტურში „რეინჯერსთან" წაგების შემდეგ აუცილებლად უნდა მოგვეგო, რათა გულშემატკივრის თვალში პრესტიჟი აღგვედგინა, „სელტიკის" დარი ქომაგი ევროპაში რამდენიმე გუნდს თუ ჰყავს. მსურს, ყველას მადლობა გადავუხადო."

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 27 | 20 | 6 | 1 | 76:21 | 66 |
| სელტიკი | 27 | 17 | 2 | 8 | 74:32 | 53 |
| ჰართსი | 28 | 11 | 8 | 9 | 39:33 | 41 |
| მოზერუელი | 27 | 10 | 9 | 8 | 37:48 | 39 |
| ჰიბერნიანი | 29 | 9 | 9 | 11 | 41:47 | 36 |
| სტ. ჯონსტონი | 29 | 8 | 9 | 12 | 28:35 | 33 |
| დანდი იუნ. | 26 | 9 | 6 | 11 | 28:40 | 33 |
| დანდი | 28 | 8 | 4 | 16 | 33:54 | 28 |
| კილმარნოკი | 28 | 4 | 13 | 11 | 30:39 | 25 |
| აბერდინი | 27 | 6 | 6 | 15 | 32:69 | 24 |

## შვეიცარია

მე-4 ტური. ივერდონი — ლოზანა 1:0; სენტ გალენი — ლუცერნი 7:1; ქსამაქსი — გრასჰოპერი 1:3; ბაზელი — სერვეტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:6 | 33 |
| გრასჰოპერი | 4 | 2 | 2 | 0 | 13:8 | 25 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 24 |
| ლოზანა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 22 |
| ლუცერნი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:13 | 20 |
| სერვეტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 18 |
| ქსამაქსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 18 |
| ივერდონი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 18 |

## ავსტრია

27-ე ტური. ტიროლი — ზალცბურგი 2:1; ლუსტენაუ — ლინცერი 2:2; რაპიდი — გრაცერი 2:0; რიდი — ბრეგენცი 2:0; შტურმი — ავსტრია 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 27 | 16 | 5 | 6 | 47:20 | 53 |
| ტიროლი | 27 | 16 | 5 | 6 | 40:24 | 53 |
| შტურმი | 27 | 15 | 7 | 5 | 52:24 | 52 |
| ავსტრია | 27 | 12 | 6 | 9 | 37:32 | 42 |
| რიდი | 27 | 11 | 6 | 10 | 41:30 | 39 |
| გრაცერი | 27 | 11 | 4 | 12 | 33:39 | 37 |
| ზალცბურგი | 27 | 9 | 8 | 10 | 27:31 | 35 |
| ლინცერი | 27 | 6 | 7 | 14 | 29:41 | 25 |
| ბრეგენცი | 27 | 5 | 5 | 17 | 19:57 | 20 |
| ლუსტენაუ | 27 | 4 | 7 | 16 | 19:46 | 19 |

# ალექს ფერგიუსონი რეალს ვესტჰემიზაციით ემუქრება

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. I წრე

**რეალი VS მანჩესტერი**

მადრიდის „რეალი" „მანჩესტერ იუნაიტედს" აფრთხილებს: ბოლოდროინდელი შედეგებისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება შეცდომაა, მთავარი „სანტიაგო ბერნაბეუზე" დღევანდელი დაპირისპირება იქნება.

ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელი არც მალავს, რომ რამდენიმე კვირაა ცუდად თამაშობს და 1997 წლის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის პირველად მოპოვება, ალბათ, გაისისთვის აქვს გადასადები, მაგრამ „სამეფო გუნდს" კონკრეტული თამაშის რაგინდარა მეტოქესთან ბრწყინვალედ ჩატარება რომ შეუძლია ეს ისტორიული ფაქტიცაა და დღევანდელობაც ამას ადასტურებს.

თავის მხრივ „მანჩესტერ იუნაიტედმა" პრემიერლიგის ბოლო ტურში „ვესტ ჰემს" 7:1 მოუგო და ამით ძალიან ბევრი რამ თქვა, თუმცა:

„ჩვენ არც მეტი, არც ნაკლები, მადრიდის „რეალი" გახლავართ და არავისი გვეშინია. მართალია ბოლოხანს საუკეთესოდ ვერ ვთამაშობთ, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ფავორიტი ყოველთვის ერთი და იგივე გუნდია" — აი, ასე ამბობს აიტორ კარანკა, ბასკი ნახევარმცველი, რომელიც დაშავებული ფერნანდო იეროს არყოფნაში, ალბათ, დაცვის ცენტრალური ფიგურა გახდება.

მანჩესტერელები კი მადრიდში ზურგსუკან 11 წაუგებელი თამაშით ჩავიდნენ — პრემიერლიგაში უახლოეს მდევარს 10 ქულით უსწრებენ. გარდა ამისა, გუნდის უელსელი გარემარბი, რაიან გიგზი, რომელმაც „ვესტ ჰემთან" შეხვედრა გამოსტოვა გამოჯანმრთელდა და განაცხადა, რომ მადრიდში სათამაშოდ მზად არის.

როგორც სააგენტო „როიტერი" გადმოსცემს, სტუმრებს კიდევ ერთი კოზირი ჩაუვარდათ ხელთ — ამინდი. თურმე ლიგის მეოთხედფინალს ესპანეთის დედაქალაქი წვიმით ხვდება.

„ჩვენ მადრიდში, საკუთარ ძალებში აბსოლუტურად დარწმუნებული ჩამოვედით და გოლების გატანას ვაპირებთ — განაცხადა „იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — რაც „ვესტ ჰემთან" შეხვედრაში ნახეთ, „რეალთან" თამაშშიც იმას იხილავთ. ეს საშინელი თამაში იქნება."

„რეალს", რომელსაც სერ ალექსი 7:1-ს ჰპირდება, ფერნანდო მორიენტესიც მცირედ დაშავებული ჰყავს, ხოლო ნიკოლა ანელკას ამბავი ჯერაც ბოლომდე გარკვეული არ არის. მოკლედ, „სამეფო გუნდის" მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს თავდასხმაში რაულის მეწყვილეს კარგად არჩევა მართებს.

გავიხსენოთ ისტორია: „მანჩესტერ იუნაიტედი" „რეალს" 1968 წლის მერე არ შეხვედრია. მაშინდელი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური თამაში — 3:3 — მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში კლასიკად შევიდა (ორი მატჩის ჯამში ინგლისელებმა 4:3 მოიგეს). ეს ასე იყო: პირველი დაპირისპირება „ოლდ ტრეფორდზე" „იუნაიტედმა" 1:0 მოიგო, საპასუხოში კი „რეალი" 3:1-ს იგებდა, მაგრამ, ეტყობა ყურადღება მოადუნა და სტუმარს ორი გოლის გატანის შესაძლებლობა მისცა. იმ მატჩიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ინგლისურმა გუნდმა თასი მოიგო.

კიდევ უფრო ადრე, 1956-57 წლების გათამაშებაში, ასევე ნახევარფინალში „რეალმა" „იუნაიტედს" ორ შეხვედრაში ჯამური 5:3 მოუგო და, რასაკვირველია, თასი მოიპოვა — მადრიდელები ხომ 1956-60 წლებში ზედიზედ ხუთჯერ გახდნენ ჩემპიონთა თასის მფლობელები.

**გაფრთხილებულნი**

რეალი: იერო (2), მიჩელ სალგადო (2), ჟულიო სეზარი (2), ივან ელგერა, ივან კამპო, კარანკა, კარემბუ, რობერტო კარლოსი

მანჩესტერი: გიგზი (2), ფ. ნევილი (2), ირვინი, კინი, სტამი, სქოულზი, უილსონი, იორკი, სოლსკიაერი




ალექს ფერგიუსონი მადრიდის აეროპორტში

**დისკვალიფიცირებულნი**

რეალი: გუტი (2 მატჩი)

მანჩესტერი: არავინ

***სავარაუდო შემადგენლობები:***

*რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, კარანკა, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, რედონდო, მაკმანამანი, სავიო, ივან ელგერა, რაული, მორიენტესი*

*მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, სქოულზი, კინი, ბექემი, გიგზი, კოული, იორკი*

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**პორტუ VS ბაიერნი**

ტრავმებისა და ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარება — აი, „პორტუს" საზრუნავი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ბაიერნთან" დღევანდელი შეხვედრის წინ. ლიგის, ეროვნული პირველობისა და სანაკრებო თამაშების მოზღვავებამ პორტუგალიელებს უამრავი ფეხბურთელი დაუშავა, რის გამოც მწვრთნელს, ფერნანდო სანტოსს თავსატეხი გაუჩნდა: ვინ უნდა გაიყვანოს მოედანზე იმ მოთამაშეთა ნაცვლად, რომლებმაც მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს ბერლინის „ჰერტას" მოუგეს და პლეიოფისკენ გზა გაიკვალეს?

დაშავებულია მეკარე ვიტორ ბაია, მცველები, კარლოს სეკრეტარიუ და რუბენს ჟუნიორი. ნახევარმცველი როდოლფო კორეია...

კვირას, პორტუგალიის პირველობის შეხვედრაში („პორტუ" — „ბენფიკა" 0:1) სანტოსმა ნუნუ კაპუჩო და ლუბინკო დრულოვიჩი დაასვენა. ეს პირადპირი მინიშნება გახლავთ, რომ ეს მოთამაშეები დღეს საღამოს მოედანზე იქნებიან. სამაგიეროდ, „ბენფიკასთან" მარცხის გამო პორტუელებმა ჩემპიონატში ლიდერობა დაკარგეს და დღეს ცხრილს ოთხქულიანი უპირატესობით სათავეში ლისაბონის „სპორტინგი" ჩაუდგა.

„პორტუს" თავმჯდომარე ჟორჟე ნუნუ პინტუ: „უკვე 18 წელიწადია ამ თანამდებობაზე ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა პირველი თამაში შინ გვქონოდა და გამოვვარდნილიყავით. იმედი მაქვს, რომ ჩემი გუნდი სირთულეებს დაძლევს — იქნებ ფინალშიც კი გავიდეთ."

თუ ეროვნულ პირველობებზე ნათამაშევი ბოლო შეხვედრებით ვიმსჯელებთ, „ბაიერნიც" არ უნდა იყოს ჩინებულ ფორმაში — „ვოლფსბურგთან" 1:1 ითამაშა და ბუნდესლიგის ლიდერობა ლევერკუზენის „ბაიერს" გადაულოცა. ამრიგად, გერმანიის გასული სეზონის ჩემპიონი „ბაიერს" ორი ქულით ჩამორჩა. „ვოლფსბურგთან" შეხვედრაში მიუნხენელებს ფეხბურთელიც გაუძევეს: ჯოვანი ელბერმა მეტოქეს, ჰოლგერ ბალვანცს ხელი ჰკრა.

„ჩემპიონატის ამ მონაკვეთზე ლიდერობის დაკარგვა კატასტროფა არ არის — თქვა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიცფელდმა — მნიშვნელოვანი სეზონის ბოლო ადგილი გახლავთ."

„ვოლფსბურგის" წინააღმდეგ არ უთამაშია კაპიტანს, შტეფან ეფენბერგს, რომელიც ტრავმას იშუშებდა, მაგრამ მოიშუშა თუ არა, ჯერ ცნობილი არ არის. თუ ეფენბერგი ვერ ითამაშებს, მაშინ ჰიცფელდი ლიბეროდ შვედ პატრიკ ანდერსონს, ნეხევარმცველად კი იენს იერემისს გაიყვანს.

„ვოლფსბურგთან" შეხვედრაში დაისვენეს მცველებმა, ფრანგმა ბიქსენტე ლიზარაზუმ და თომას ლინკემ. მათ დღეს უეჭველად ვიხილავთ.

თავდასხმაში ელბერის მხარდამხარ ითამაშებს მეჰმეტ შოლი. შოლი „ვოლფსბურგთან" ტრიბუნაზე იჯდა — დაშავებულ მხარს იამებდა.

„წინ ორი ძნელი მატჩი გველის — ამობს ჰიცფელდი — „პორტუ" ძალიან კომპაქტური გუნდია, რომელსაც თავმოყვარეობა აქვს. ნახევარფინალში გასასვლელად ბოლო წამამდე დიდი ბრძოლა მოგვიწევს."

**გაფრთხილებულნი**

პორტუ: დეკო სოუზა (2), პეიშე (2), არჯელი, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, ილარიო, ჟარდელი, პაულინიუ სანტუში, სეკრეტარიუ

ბაიერნი: ბაბელი (2), ტარნატი (2), ეფენბერგი, ელბერი, კუფური, იანკერი, შტრუნცი

**დისკვალიფიცირებულნი**

პორტუ: არავინ

ბაიერნი: არავინ

***სავარაუდო შემადგენლობები:***

*პორტუ: ილარიო, ნელსონი, ესკერდონია, პეიშე, ჟორჟე კოშტა, ალოიზიო ალვეში, ჩაინიო, დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო, ჟარდელი, დომინგუში*

*ბაიერნი: კანი, ბაბელი, იერემისი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, ეფენბერგი, პ. ანდერსონი, სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო, ელბერი, შოლი*

მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

## პორტუგალია

XXVIII ტური

### ბენფიკა 1:0 პორტუ

1:0 საბრი (66)

ბენფიკა: ბოსიო, ბრუნო ბასტო, როხასი, პაულო მადეირა, კანდაუროვი, კალადუ, მახარიდისი, პობორსკი, საბრი, ნუნუ გომეში (ჩანო 85), ჟოაო პინტუ (სერჟიო ნუნეში 89)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

პორტუ: ილარიო, ალოიზიო, ჟორჟე კოშტა, ნელსონი, დეკო სოუზა, პეიშე (დრულოვიჩი 74), ჩაინიო (დომინგუში 79), პაულინიუ სანტუში, ჟარდელი, ალესანდრო (ნუნო კაპუჩო 60), კლეიტონი

მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი

გაფრთხილება: კანდაუროვი, პობორსკი, საბრი, ჟოაო პინტუ, ჟორჟე კოშტა, პეიშე, ჩაინიო, კლეიტონი

მსაჯი: მარტინს დოს სანტუში

30 000 მაყურებელი

### მარიტიმუ 1:0 კამპომაიორენსე

1:0 ილიევი (72)

### სალგეირუში 1:1 ბრაგა

1:0 ბასილიო ალმეიდა (40), 1:1 ჟოზე ბაროსო (45)

### ამადორა 1:0 რიუ ავე

1:0 რაულ ოლივეირა (77)

### სპორტინგი 1:0 ბელენენსეში

1:0 ალბერტო აკოსტა (56)

### გიმარაეში 0:1 ლეირია

0:1 პაულო დუარტე (16)

### სანტა კლარა 4:3 ალვერკა

0:1 რუი ბორგესი (27), 1:1, 2:1 რიკარდო სოუზა (30, 35), 3:1 პალადინი (54), 3:2 რუი ბორგესი (69), 4:2 პროკოპენკო (75პ), 4:3 დუდა (90)

### სეტუბალი 2:1 ბოავიშტა

1:0 მამედე (3), 1:1 მონტანინი (82), 2:1 პელიო სოუზა (89პ)

### ფარენსე — ჟილ ვისენტე

წუხელ გვიან გაიმართა

ჩემპიონატმა ინტრიგა კარგა ხანს შეინარჩუნა. პირველობისთვის ყველაზე სახელოვანი სამი პორტუგალიური გუნდი იბრძვის: „სპორტინგი", „პორტუ" და „ბენფიკა". ჩანს, დაძაბულობა ბოლო ტურამდე გასტანს.

შაბათს ერთი საინტერესო მატჩი ჩატარდა, „ბენფიკამ" „პორტუს" უმასპინძლა, 1:0 დაამარცხა, თვითონ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა და „სპორტინგის" ლიდერობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

„ბენფიკასა" და „პორტუს" შეხვედრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაბათს ჩატარდა. „სპორტინგმა" კი თავისი მატჩი კვირას „ბელენენსეშთან" გამართა, 1:0 დაამარცხა და ლიდერობა უკვე ოთხი ქულით განიმტკიცა.

„პორტუს" წლევანდელ სეზონში ერთობ გაუჭირდება. გუნდი ორ ფრონტზე ერთდროულად იბრძვის და ისეც შეიძლება მოხდეს, რომ საბოლოოდ ვერაფერი მოიგოს. „ბენფიკამ" „პორტუს" ეგვიპტელი ფორვარდის, საბის ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო. ამ უკანასკნელმა მატჩის 66-ე წუთზე ზუსტად დაარტყა, პორტუელთა კარი დალაშქრა და, როგორც გაირკვა, ბოლო ხუთი წლის მანძილზე ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს, მეტად საჭირო სამი ქულა დააკარგვინა. აღსანიშნავია, რომ „პორტუს" თავკაცმა „ბაიერნთან" მატჩისთვის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა, რაც აშკარად დაეტყო ჩემპიონს. „პორტუს" ლისაბონიდან ქულის წამოღებაც შეეძლო, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ნუნო კაპუჩომ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ახლოდან დარტყმული ბურთი ძელს ზემოდან გადააცილა. ეს ყოველივე მსაჯის მიერ დამატებულ დროში მოხდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 28 | 19 | 7 | 2 | 47:19 | 64 |
| პორტუ | 28 | 18 | 6 | 4 | 52:19 | 60 |
| ბენფიკა | 28 | 17 | 6 | 5 | 45:25 | 57 |
| გიმარაეში | 28 | 14 | 4 | 10 | 42:30 | 46 |
| მარიტიმუ | 28 | 11 | 9 | 8 | 32:28 | 42 |
| ბოავიშტა | 28 | 12 | 6 | 10 | 30:26 | 42 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 11 | 8 | 8 | 35:27 | 41 |
| ამადორა | 28 | 8 | 13 | 7 | 29:26 | 37 |
| ალვერკა | 28 | 9 | 7 | 12 | 34:41 | 34 |
| ბელენენსეში | 28 | 7 | 12 | 9 | 29:30 | 33 |
| ლეირია | 28 | 8 | 9 | 11 | 25:28 | 33 |
| ბრაგა | 28 | 9 | 4 | 15 | 33:39 | 31 |
| ფარენსე | 27 | 7 | 10 | 10 | 28:47 | 31 |
| რიუ ავე | 28 | 7 | 8 | 13 | 28:40 | 29 |
| სალგეირუში | 28 | 7 | 6 | 15 | 22:38 | 27 |
| კამპომაიორ. | 28 | 7 | 6 | 15 | 24:41 | 27 |
| სეტუბალი | 28 | 7 | 5 | 16 | 21:41 | 26 |
| სანტა კლარა | 28 | 5 | 10 | 13 | 28:39 | 25 |

## ჩეხეთი

23-ე ტური. სლავია — დრნოვიცე 2:1; ბოჰემიანსი — სპარტა 0:1; ბანიკი — ტეპლიცე 2:2; ჰ. კრალოვე — იაბლონეცი 0:0; ლიბერეცი — ოპავა 1:0; ბლშანი — ვიკტორია 0:2; სიგმა — დუკლა 1:0; ბრნო — ბუდეიოვიცე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 23 | 19 | 4 | 0 | 43:11 | 61 |
| სპარტა | 23 | 18 | 3 | 2 | 60:19 | 57 |
| დრნოვიცე | 23 | 12 | 4 | 7 | 31:21 | 40 |
| ტეპლიცე | 23 | 8 | 7 | 8 | 33:33 | 31 |
| ბოჰემიანსი | 23 | 8 | 7 | 8 | 19:20 | 31 |
| ბლშანი | 23 | 9 | 3 | 11 | 22:36 | 30 |
| ბრნო | 23 | 8 | 5 | 10 | 25:28 | 29 |
| ლიბერეცი | 23 | 6 | 10 | 7 | 14:16 | 28 |
| ბანიკი | 23 | 6 | 9 | 8 | 34:36 | 27 |
| დუკლა | 23 | 7 | 6 | 10 | 23:31 | 27 |
| ბუდეიოვიცე | 23 | 8 | 3 | 12 | 26:35 | 27 |
| სიგმა | 23 | 5 | 11 | 7 | 25:30 | 26 |
| ვიკტორია | 23 | 6 | 7 | 10 | 30:37 | 25 |
| ოპავა | 23 | 5 | 8 | 10 | 26:29 | 23 |
| ჰ. კრალოვე | 23 | 3 | 10 | 10 | 17:28 | 19 |
| იაბლონეცი | 23 | 4 | 7 | 12 | 17:35 | 19 |

## თურქეთი

27-ე ტური. ბეშიქთაში — ანკარაგიუჯიუ 3:1; ვანი — გაზიანთეფი 1:2; ქოჯაელი — ისთანბული 2:1; სამსუნი — ალთაი 1:0; ერზურუმი — გალათასარაი 0:0; გიოზთეფე — ბურსა 0:1; ფენერბაჰჩე — ანთალია 1:0; გენჩლერბირლიგი — ადანა 5:2; დენიზლი — ტრაბზონი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 27 | 21 | 4 | 2 | 59:17 | 67 |
| ბეშიქთაში | 27 | 19 | 4 | 4 | 54:16 | 61 |
| ფენერბაჰჩე | 27 | 13 | 10 | 4 | 44:33 | 49 |
| გაზიანთეფი | 27 | 12 | 10 | 5 | 36:20 | 46 |
| სამსუნი | 27 | 13 | 4 | 10 | 43:33 | 43 |
| ტრაბზონი | 27 | 12 | 7 | 8 | 36:26 | 43 |
| გენჩლერბირ. | 27 | 10 | 8 | 9 | 37:36 | 38 |
| დენიზლი | 27 | 10 | 7 | 10 | 40:44 | 37 |
| ადანა | 27 | 10 | 5 | 12 | 40:45 | 35 |
| ალთაი | 27 | 9 | 6 | 12 | 30:33 | 33 |
| ბურსა | 27 | 9 | 6 | 12 | 38:44 | 33 |
| ანთალია | 27 | 9 | 6 | 12 | 30:43 | 33 |
| ქოჯაელი | 27 | 9 | 5 | 13 | 37:47 | 32 |
| ანკარაგიუჯიუ | 27 | 7 | 8 | 12 | 33:44 | 29 |
| ერზურუმი | 27 | 7 | 8 | 12 | 27:42 | 29 |
| ისთანბული | 27 | 5 | 11 | 11 | 26:35 | 26 |
| გიოზთეფე | 27 | 5 | 5 | 17 | 17:38 | 20 |
| ვანი | 27 | 3 | 6 | 18 | 28:59 | 15 |

## უკრაინა

მე-18 ტური. დინამო — ნივა 4:1; მარიუპოლი — ცსკა 2:0; პრიკარპატია — მეტალისტი 2:1; შახტარი — კარპატი 4:0; ზაპოროჟიე — ჩორნომორეცი 2:0; ვორსკლა — მეტალურგი 0:0; კრივბასი — ზირკა 3:1; დნიპრო — ტავრია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 16 | 2 | 0 | 46:8 | 50 |
| კრივბასი | 18 | 11 | 5 | 2 | 35:19 | 38 |
| შახტარი | 18 | 11 | 2 | 5 | 29:9 | 35 |
| ვორსკლა | 18 | 10 | 4 | 4 | 37:18 | 34 |
| ზაპოროჟიე | 18 | 8 | 5 | 5 | 24:18 | 29 |
| მეტალისტი | 18 | 8 | 3 | 7 | 25:23 | 27 |
| მარიუპოლი | 18 | 8 | 1 | 9 | 29:26 | 25 |
| მეტალურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 22:21 | 24 |
| კარპატი | 18 | 8 | 0 | 10 | 27:27 | 24 |
| პრიკარპატია | 18 | 5 | 6 | 7 | 15:24 | 21 |
| დნიპრო | 18 | 5 | 5 | 8 | 16:33 | 20 |
| ცსკა | 18 | 4 | 7 | 7 | 18:21 | 19 |
| ტავრია | 18 | 4 | 4 | 10 | 21:33 | 16 |
| ნივა | 18 | 3 | 6 | 9 | 23:37 | 15 |
| ჩორნომორეცი | 18 | 4 | 3 | 11 | 8:32 | 15 |
| ზირკა | 18 | 0 | 7 | 11 | 9:35 | 7 |

## საბერძნეთი

26-ე ტური. პანიონიოსი — კალამატა 2:0; პრუდეფტიკი — აპოლონი 2:0; პანაჰაიკი — კავალა 3:2; პანათინაიკოსი — იონიკოსი 5:0; ქსანტი — ტრიკალა 3:0; პაოკ — არისი 3:2; ოფი — აეკ 1:2; ირაკლისი — პანილიაკოსი 3:1; ეთნიკოსი — ოლიმპიაკოსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 26 | 22 | 2 | 2 | 70:17 | 68 |
| პანათინაიკოსი | 26 | 21 | 4 | 1 | 69:18 | 67 |
| ოფი | 26 | 14 | 8 | 4 | 43:31 | 50 |
| აეკ | 26 | 13 | 5 | 8 | 46:33 | 44 |
| არისი | 26 | 11 | 7 | 8 | 39:32 | 40 |
| ირაკლისი | 26 | 12 | 4 | 10 | 46:44 | 40 |
| პანიონიოსი | 26 | 13 | 1 | 12 | 41:44 | 40 |
| პაოკ | 26 | 10 | 8 | 8 | 43:33 | 38 |
| ქსანტი | 26 | 10 | 8 | 8 | 29:29 | 38 |
| იონიკოსი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:36 | 34 |
| პანილიაკოსი | 26 | 9 | 4 | 13 | 32:36 | 31 |
| ეთნიკოსი | 26 | 8 | 4 | 14 | 23:38 | 28 |
| პანაჰაიკი | 26 | 6 | 9 | 11 | 27:36 | 27 |
| კავალა | 26 | 7 | 5 | 14 | 27:46 | 26 |
| კალამატა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:46 | 26 |
| პრუდეფტიკი | 26 | 4 | 7 | 15 | 20:39 | 19 |
| ტრიკალა | 26 | 4 | 6 | 16 | 24:54 | 18 |
| აპოლონი | 26 | 3 | 6 | 17 | 16:40 | 15 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩები

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | პორტუ-ბაიერნი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 502 | რეალი-მანჩესტერი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 503 | ვალენსია-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 504 | ჩელსი-ბარსელონა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები

6 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 505 | გალათასარაი-ლიდსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 506 | არსენალი-ლანსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

ინგლისი. პრემიერლიგა

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | უენსდი-ასტონ ვილა | 3,3 | 3,0 | 2,1 |

ინგლისი. I დივიზიონი

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | პორტვეილი-ჩარლტონი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 003 | ვესტ ბრომვიჩი-იფსვიჩი | 3,2 | 3,1 | 2,1 |

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | მანჩესტერ სიტი-ბოლტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

ინგლისი. II დივიზიონი

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 005 | როვერსი-რედინგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 006 | როვერსი-რედინგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 007 | კემბრიჯი-ბერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 008 | ჯილინგემი-კარდიფი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 009 | ოლდემი-სტოკი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 010 | უიგანი-პრესტონი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

ინგლისი. III დივიზიონი

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 011 | კარლაისლი-ჩელტენემი | 2,6 | 3,1 | 2,4 |

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | როჩდეილი-ტორკი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 013 | დარლინგტონი-შრიუსბერი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 014 | დარლინგტონი-შრიუსბერი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

შოტლანდია

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | რეინჯერსი-დანდი იუნ. | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 016 | რეინჯერსი-დანდი იუნ. 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 017 | სელტიკი-მოზერუელი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 018 | სელტიკი-მოზერუელი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

პოლონეთი. ლიგის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 019 | პოლონია-ოდრა ($17^{00}$) | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 020 | პოგონი-ლეგია ($17^{00}$) | 2,2 | 3,0 | 3,1 |

დანია. თასის 1/8 ფინალი

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | ესბიერგი-ოდენსე | 2,2 | 3,0 | 3,1 |

6 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 022 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 023 | აკადემისკი-ჰერფიოლგე | 2,2 | 3,0 | 3,1 |

რუსეთი. თასის 1/4 ფინალი

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | სპარტაკი-სატურნი | 1,2 | 5,6 | 10,0 |

5 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | ლიპეცკი-ლოკომოტივი | 6,5 | 4,0 | 1,4 |

კალათბურთი

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 802 | ორლანდო-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 803 | მაიამი-კლივლენდი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 804 | შარლოტი-ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 805 | ტორონტო-დეტროიტი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 806 | მილუოკი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 807 | მინესოტა-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 808 | დალასი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 809 | ფინიქსი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 810 | კლიპერსი-იუტა | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 811 | სიეტლი-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 812 | ვანკუვერი-ჰიუსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

5 აპრილი

813 ფილადელფია-ატლანტა
814 დეტროიტი-ბოსტონი
815 ინდიანა-ნიუ ჯერსი
816 სან ანტონიო-საკრამენტო
817 გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი
818 პორტლენდი-ჰიუსტონი

6 აპრილი

819 ნიუ იორკი-ვაშინგტონი
820 მაიამი-შარლოტი
821 ჩიკაგო-მილუოკი
822 დენვერი-დალასი
823 იუტა-ფინიქსი
824 კლიპერსი-მინესოტა
825 ვანკუვერი-პორტლენდი

ჰოკეი

4 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ოტავა-ვაშინგტონი | 2,0 | 3,6 | 2,1 |
| 827 | ატლანტა-ფილადელფია | 3,2 | 3,6 | 1,5 |
| 828 | ტამპა ბეი-ბოსტონი | 2,5 | 3,6 | 1,7 |

5 აპრილი

829 ტორონტო-პიტსბურგი
830 რეინჯერსი-მონრეალი
831 ფლორიდა-ბოსტონი
832 სენტ ლუისი-კალგარი
833 ჩიკაგო-ანაჰაიმი
834 ედმონტონი-კოლორადო
835 ფინიქსი-ნეშვილი
836 ვანკუვერი-ლოს ანჯელესი
837 სან ხოსე-დალასი

6 აპრილი

838 ოტავა-აილენდერსი
839 მონრეალი-ტამპა ბეი
840 ნიუ ჯერსი-ბუფალო
841 ფოლადელფია-ატლანტა

შემდეგ ეტაპზე გასვლა

4 აპრილი

701 პორტუ (4,0)-ბაიერნი (1,15)
702 რეალი (2,6)-მანჩესტერი (1,35)

5 აპრილი

703 ვალენსია (4,0)-ლაციო (1,15)
704 ჩელსი (2,6)-ბარსელონა (1,35)

6 აპრილი

705 გალათასარაი (2,6)-ლიდსი (1,3)
706 არსენალი (1,15)-ლანსი (4,0)

*გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე*

*(წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)*

**კროკოს მოთამაშეთა საყურადღებოდ!**
**რუთავის ბიურო დროებით დაიხურა. მუშაობის განახლების თარიღს გაუწყებთ**

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი. თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ბასკოს რუსები

*სულ ცოტა ხნის წინ თბილისში მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, ალმაატელი კალათბურთელების თამაში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ერთიანი, ძმური ოჯახის ყოფილი წევრები დამოუკიდებელნი გახდნენ და მათი წარმომადგენლების ერთმანეთთან სტუმრობამაც ოფიციალური სახე მიიღო.*

*აშშ-ის, ლიტვისა და სომხეთის შემდეგ რუსეთი რიგით მეოთხე ქვეყანაა, რომლის მოქალაქეებმაც ოფიციალურად ითამაშეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგ მატჩში. ეს მოხდა 2000 წლის 26 მარტს, ექვსეულის პირველი წრის პირველ ტურში, ბათუმის „ბასკოსა“ და თბილისის „მაკაბის“ შეხვედრაში. ზღვისპირელთა სასტარტო ხუთეულში ერთბაშად რუსეთის ორი მოქალაქე — ოცდასამი წლის ანდრეი ბელიაევი და ცხრამეტი წლის ანტონ არხიპოვი შეიყვანეს.*



ანდრეი ბელიაევი



ანტონ არხიპოვი

## ანდრეი ბელიაევმა დუმილის მეთოდს მიაგნო

**— ანდრეი, როგორ მოხვდით საქართველოში, ვინ გირჩიათ, რომ „ბასკოში“ გეთამაშათ?**

— არის ასეთი მწვრთნელი — პაველ გოოგე, რომელმაც შემომთავაზა, მეთამაშა საქართველოში და გამაცნო „ბასკოს“ ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ემერიძე. მთელი ცხოვრება, მოსკოვში მაქვს გატარებული და ძალიან მინდოდა, დროებით უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში გადავსულიყავი საცხოვრებლად. როდესაც ამის შანსი მომეცა და თანაც სამხრეთში, სიამოვნებით დავთანხმდი.

**— რატომ აირჩიეთ კალათბურთი, ოჯახურ ტრადიციას ხომ არ აგრძელებთ?**

— მართალია, პროფესიონალები არ ყოფილან, მაგრამ ჩემი მშობლები და უფროსი დაც კალათბურთელები იყვნენ. მეც ოჯახური ტრადიციის ერთ-ერთი გამაგრძელებელი გახლავართ.

**— მოდით, თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენს შესახებ.**

— დავიბადე 1976 წლის სექტემბერში, ქალაქ მოსკოვში. იქვე ვცხოვრობ და კალათბურთში ვვარჯიშობ ბავშვობიდან. 1995-96 წლებში ვთამაშობდი მოსკოვის „სპარტაკში“. ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ვხვდებოდი და უფრო ხშირად დუბლებში მიწევდა თამაში. 1997 წელს გადავედი „ხიმკში“, რომელიც ჯერ რუსეთის პირველი ლიგის ჩემპიონი გახდა, შემდეგ უმაღლესი ლიგის და შარშან სუპერლიგაში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. ბოლო დროს ვთამაშობდი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდში. ამავე დროს ვსწავლობ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე.

**— „ხიმკშიც“ ასწრებდით თამაშს და უნივერსიტეტის გუნდშიც?**

— შარშან დიდ კალათბურთს თავი დავანებე და მხოლოდ უნივერსიტეტის გუნდში ვთამაშობდი.

**— რატომ გადაწყვიტეთ, რომ დიდი კალათბურთიდან წასულიყავით?**

— პერსპექტივას ვერ ვხედავდი. მომავალში რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამო ამჟამად რუსეთში ჩემი დონის სპორტსმენი კალათბურთით თავს ვერ ირჩენს.

**— ესე იგი, საქართველოში სრულიად მოუმზადებელი ჩამოხვედით?**

— რატომ მოუმზადებელი, ხომ გითხარით, რომ სტუდენტურ კალათბურთს ვთამაშობდი-მეთქი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს ვერ გაუტოლდება, მაგრამ ბევრად არ ჩამოუვარდება. ერთბაშად სამ ტურნირში გამოვდიოდი და თითოეულ მათგანში დაახლოებით ათ-ათი გუნდი მონაწილეობს. ეს ტურნირებია: მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა, მოსკოვის პირველობა სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობით და რუსეთის პირველობა უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

**— დიდ კალათბურთში დაბრუნება მარტო იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ უცხოეთში თამაშის შანსი მოგცემოდათ?**

— არც უმაგისობაა, თუმცა ამასთან ერთად, ეტყობა, სულით სპორტსმენი ვარ და დიდი კალათბურთი მომენატრა.

**— ჩვენი საუბრის დროს ხშირად ფიგურირებს სიტყვა უცხოეთი და იქ დროებით ცხოვრება. გაქვთ შანსი, რომ თქვენთვის ეს ქვეყანა საქართველო გახდეს, რა შთაბეჭდილება შეგექმნათ მასზე?**

— ძალიან კარგი, სხვათა შორის, მე საქართველოში ადრეც ვარ ნამყოფი და თანაც რამდენჯერმე.

**— გუნდში როგორ მიგიღეს?**

— დიდებულად. მოთამაშეები ხომ შესანიშნავი ბიჭები არიან და უფროსობასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— „ბასკოსთან“ კონტრაქტი რამდენი ხნით გააფორმეთ?**

— კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია.

**— მაინც რას გთავაზობენ?**

— მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩენას.

**— მომავალ სეზონშიც რომ შემოგთავაზონ თამაში, დათანხმდებით?**

— ამ თემაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია, მომავალში ვილაპარაკოთ.

**— ამბობთ, საქართველოში ადრეც ვყოფილვარ და თანაც რამდენჯერმე. სტუმრობა ყოველთვის კალათბურთთან იყო დაკავშირებული თუ..**

— საქართველოში 1988 და 1996 წლებში ვიმყოფებოდი. პირველი სტუმრობისას, ყოფილი სსრკ-ის დროს, მონაწილეობა მივიღე ბავშვთა მინი-კალათბურთის ფესტივალში, რომელიც იმავე დარბაზში გაიმართა, სადაც დღეს ეროვნული პირველობა ტარდება. მეორედ კი დიდ დარბაზში (თბილისის სპორტის სასახლე — რ. ლ.) თბილისის „ვითას“ ვეთამაშეთ.

**— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მრავლად არიან ისინი, რომლებიც 1988 წელს თქვენთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ მინი-კალათბურთის ფესტივალში და ის სპორტსმენებიც, რომლებიც „ვითას“ სახელით 1996 წელს „სპარტაკს“ ეთამაშნენ. ამჯერად რომელიმე მათგანს ხომ არ შეხვედრიხართ?**

— 1988 წელს ჩვენი გუნდი ნაადრევად გამოეთიშ ასპარეზობას და ქართველებს არ შევხვედრივართ. რადგან „სპარტაკის“ სათადარიგო მოთამაშედ ვითვლებოდი, თამაში ვერც „ვითას“ წინააღმდეგ მოვახერხე. ამიტომ ქართველი კალათბურთელებიდან ვერავის ვიხსენებ.

**— რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე საქართველოს პირველობამ?**

— საშუალოზე ოდნავ მაღალი დონის ჩემპიონატია.

**— მსაჯობაზე რას გვეტყვით?**

— ისინი ყველგან თითქმის ერთნაირები არიან, მაგრამ თქვენთან მაინც ოდნავ განსხვავებულად მსაჯობენ.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— რუსეთისაგან განსხვავებით, თქვენთან სამწუთიან ზონაში შესული თავდამსხმელი მცველზე ბევრად დიდი უფლებებით სარგებლობს. ჩვენთან ძალისმიერი თამაში მიდის, აქ კი თავდამსხმელთან ოდნავი შეხებაც კი მცველის ჯარიმით მთავრდება.

**— ეს ხომ არ იყო მიზეზი იმ კონფლიქტებისა, რომელიც მოედანზე რამდენჯერმე შეგემთხვათ?**

— მოწინააღმდეგე გუნდის კალათბურთელებთან კონფლიქტის მიზეზი ის გახლდათ, რომ უცენზურო სიტყვები ვიხმარე საკუთარი თავისა და ბურთის მიმართ. რუსეთში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ამაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს. აქ კი, ჩემდა გასაოცრად, მეტად სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა.

**— მომდევნო შეხვედრებში „კაპით“ (კბილების დამცავი საშუალება) იმიტომ ხომ არ გახვედით მოედანზე, რომ მოსალოდნელი კონფლიქტის შემთხვევაში ტრავმისგან თავი დაგეზღვიათ?**

— თამაშის შემდეგ თანაგუნდელებმა ამიხსნეს, რომ კონფლიქტის მიზეზი ნებისმიერი გაგებით ნათქვამი უცენზურო სიტყვები იყო და მირჩიეს, რომ მისი ხმარებისგან თავი მაქსიმალურად შემეკავებინა. მომდევნო შეხვედრის დროს შევეცადე, ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ ერთ მომენტში თამაშით გავერთე, ბურთი დავკარგე და საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ბურთისა და ჩემი თავის მიმართ კვლავ შევიგინე. რეაქციამაც არ დააყოვნა. რომ დავწყნარდი, შემდეგ გამახსენდა, რომ უცენზურო სიტყვებისგან თავი უნდა შემეკავებინა, მაგრამ უკვე გვიან იყო. სასტუმროში მისულმა ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ბავშვობიდან ათვისებულ ჩვეულებას ერთ-ორ დღეში ასე იოლად ვერ შევეშლეოდი და თამაშის დროს საერთოდ რომ ამ მელაპარაკა, გადავწყვიტე, „კაპი“ გამეკეთებინა.

**— გაგიმართლათ?**

— რა თქმა უნდა, ჩემი კონფლიქტები ამით ამოიწურა.

**— მოედანზე რა ფუნქციებს ასრულებთ?**

— შეიძლება ხმამაღლა ჟღერს, მაგრამ უნივერსალურ კალათბურთელად ვითვლები და ყველგან შემიძლია თამაში.

**— ძირითადად მაინც რა ამპლუაში გამოდიხართ?**

— გამთამაშებლად.

**— „ბასკოში“ რა მოვალეობას ასრულებთ?**

— ჯერჯერობით მსროლელად მათამაშებენ.

**— ბათუმში სასტუმროში ცხოვრობთ თუ კერძო ბინა გიქირავეს?**

— სასტუმროში, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა დამპირდა, ბინას გიქირავებთო. ახლა მარტო აღარ ვიქნები და ყოფილ თანაკლუბელ ანტონ არხიპოვთან ერთად მომიწევს ცხოვრება.

**— თქვენ კალათბურთის პარალელურად ჟურნალისტიკასაც ეუფლებით, რა სფეროში აპირებთ მუშაობას?**

— უფრო სპორტში, რადგან ის სხვა დარგებისგან განსხვავებით ჩემთვის უფრო ახლობელი და ნაცნობია.

**— „სპორტ ექსპრესში“ გსურთ მუშაობა?**

— რატომ მაინცდამაინც „სპორტ ექსპრესში“, რუსეთში სხვა გაზეთებიც არსებობს. ისე, წერა დიდად არ მსიამოვნებს და მირჩევნია, რადიოში ან ტელევიზიაში ვიმუშაო.

## ანტონ არხიპოვი კალათბურთით იცნობს საქართველოს

**— ანტონ, თქვენ როდის შეუერთდით „ბასკოს“?**

— პარასკევს, 24 მარტს, ჩამოვფრინდი თბილისში. შაბათს, 25-ში, პირველად ვივარჯიშე გუნდთან ერთად და მომდევნო დღეს უკვე ჩემპიონატში ვითამაშე.

**— ბათუმში ჯერ არ ყოფილხართ?**

— საერთოდ პირველად ვარ საქართველოში.

**— არც არასოდეს გსმენიათ რაიმე ჩვენს შესახებ?**

— როგორ არა, საქართველოს უფრო კალათბურთით ვიცნობ. ჩემი მშობლები პროფესიონალი კალათბურთელები იყვნენ. ბევრს მიყვებოდა თბილისის „დინამოს“ შესახებ მამაჩემი.

**— როდის და სად თამაშობდნენ თქვენი მშობლები?**

— მამაჩემი ანტონ არხიპოვი (უფროსი) თავიდან ნიკოლაევის გუნდში გამოდიოდა. 17 წლის იყო, როდესაც სამოციან წლებში ცსკ-ში აიყვანეს. ერთი პერიოდი იგი სსრკ-ს ნაკრებშიც გამოდიოდა. დედას, ელენა კამზუნს, მართალია ნაკრებში არ უთამაშია, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკის“ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი იყო.

**— თქვენს შესახებ რას გვეტყვით?**

— დავიბადე მოსკოვში 1980 წლის 2 ივნისს. კალათბურთით ჩემი დაინტერესება ოჯახურ ტრადიციასთან ერთად სიმაღლემაც (205 სმ) განაპირობა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლებში მიმიწვიეს. ერთი წლის შემდეგ ცსკ-ას დუბლებში გადავედი, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გამო გუნდს თამაშის ნება არ დართეს და გადავედი „ხიმკიში“, სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი. როდესაც რუსეთის სუპერლიგაში თამაშის უფლება მოვიპოვეთ, მოულოდნელად ანდრეი ბელიაევი გუნდიდან წავიდა, მე კი მთხოვეს და დავრჩი. წლეულს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ვმონაწილეობდი მსოფლიოს ჩემპიონატზე. რადგან გუნდში მე-11, მე-12 კალათბურთელად ვითვლებოდი, თამაშმა თითქმის არ მომიწია. ნაკრების გამო ვერც „ხიმკიში“ მოვახერხე წინასასეზონო მზადების გავლა და იქაც მე-11, მე-12 კალათბურთელი აღმოვჩნდი. პირველ წრეში ასე თუ ისე ვთამაშობდი, მაგრამ მეორე წრისთვის „ხიმკის“ ხელმძღვანელობამ გამოცდილი კალათბურთელები აიყვანა და მე სკამზე აღმოვჩნდი.

**— თქვენც გოოგე დაგიკავშირდათ?**

— გოოგემ დამირეკა და მითხრა, რომ ანდრეი უკვე საქართველოში იმყოფებაო. პაველ ივანიჩს ვთხოვე, რომ ანდრეის ჩემთვის დაერეკა. მან სიტუაცია შემიქო და ჩამოსვლა მირჩია. რადგან „ხიმკიში“ თამაშის შანსი პრაქტიკულად არ იყო, არც დავფიქრებულვარ, ისე დავთანხმდი.

**— „ბასკოსგან“ შემოთავაზებული პირობებით კმაყოფილი დარჩით?**

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. რაც შემიძლია ყველაფერს ვიღონებ, რომ „ბასკოს“ ხელმძღვანელობის იმედები გავამართლო.

**— შედეგიანობა რომ მეტად ცუდი გაქვთ.. კონკრეტულად რა გევალებათ ახალ გუნდში?**

— დაცვაში თამაში და ბურთების მოხსნა. რაც შეეხება ბურთის ჩაგდებას, „ბასკოში“ არიან კალათბურთელები, რომლებიც ამას მშვენივრად ახერხებენ.

**— რუსეთში რა ამპლუაში თამაშობდით?**

— თავდამსხმელად.

**— დღემდე თუ გქონიათ ურთიერთობა ქართველ კალათბურთელებთან?**

— ტალინში კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ვეთამაშეთ საქართველოს ნაკრებს და დავმარცხდით.

**— ტალინში მყოფი ქართველი კალათბურთელებიდან აქ ხომ არავინ შეგხვედრიათ?**

— არ ვიცი, შეიძლება შემხვდნენ კიდეც, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

**— ჩვენს არბიტრებზე რას იტყვით, მათი მსაჯობა თქვენც თავისებური გეჩვენებათ?**

— თავისებურება მართლაც არის, მაგრამ ისეთი განსაკუთრებული არაფერი. მალე ჩვენც შევეჩვევით თქვენი მსაჯების მანერებს და ყველაფერი კარგად იქნება.

**— ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დონემ რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?**

— იმედია, ქართველი გულშემატკივრები არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ რუსეთისას ჩამოუვარდება, მაგრამ ურიგო ნამდვილად არ ეთქმის.

**— ცხოვრებაში მარტო კალათბურთით ხართ დაკავებული?**

— ვსწავლობ კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის უნივერსიტეტში, მესამე კურსზე ვარ.

**— საქართველოში დარჩენას დიდხანს აპირებთ?**

— აქ თავს კარგად ვგრძნობ. სამომავლო გეგმებიც მოვლენების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული, თუ ურთიერთშეთანხმება იქნება, საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს.

**როლანდ ლაგუჩიძე**

თურქეთი

# ფაჩულიამ ქულების ანგარიში გაიხსნა

## თასის გათამაშება

მერვედფინალი

ქარშიაქა — ქომბასანი 80:71, ეფესი — გალათასარაი 82:72, ბეშიქთაში — კარაგიუჯიუ 68:61, ტროი — ფენერბაჰჩე 81:78, მიდონოსე — ალთაი 110:65, თოფაში — დარუშაფაკა 70:68, ტელეკომი — თედ კოლეჯი 104:57

**ულქერი 100:55 ითუ**

ულქერი: ფაჩულია (9), გონლუმი (15), კოტუროვიჩი (14), ვ. აიდინი (12), ალენი (4), თოფსაკალი, პოუპი (12), ოზთურქი (6), ილდირიმი (5), სარიჯა (23)

ითუ: ჰათიფოღლუ (6), ჰ. აიდინი (3), გიორმეზი (15), ლევენთი (4), თინაი (15), ქარაშუ (4), ოზთოფრაკი (5), ერანი (3)

მეოთხედფინალი

ეფესი — ქარშიაქა 80:69, ბეშიქთაში — ტროი 74:72, თოფაში — მიდონოსე 92:61

**ულქერი 70:61 ტელეკომი**

ულქერი: კოტუროვიჩი (10), ალენი (7), პოუპი (7), ილდირიმი (7), სარიჯა (19), გონლუმი (4), აიდინი (2), თოფსაკალი (13), ოზთურქი (2)



ზაზა ფაჩულია

შაბათ-კვირას თურქეთის თასის გათამაშების ორი ეტაპი გაიმართა. ზაზა ფაჩულიას გუნდი, სტამბოლის „ულქერი" მერვედფინალში თანაქალაქელ ითუ-ს შეხვდა. ეს გუნდი წლეულს გავარდა თურქეთის პირველი დივიზიონიდან, უცხოელი მოთამაშეები შინ გაუშვა და „ულქერს" მხოლოდ თურქი ეროვნების კალათბურთელებით ეთამაშა. ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ცხადია, არ გასჭირვებია ითუელთა დამარცხება, თანაც, მეტად შთამბეჭდავი ანგარიშით.

ეს მატჩი უდავოდ საეტაპო გახდება 16 წლის ქართველი ფორვარდის ზაზა ფაჩულიას კარიერაში. ჯერ ერთი, რომ ჩვენებურმა პირველად ითამაშა თურქეთის თასზე. მეორე და უმთავრესი: ფაჩულიამ თურქეთში თამაშისას (იგულისხმება უმაღლესი დონე) ქულების პირადი ანგარიში გაიხსნა. ქართველმა ფორვარდმა 15 წუთი ითამაშა და „ულქერს" 9 ქულით და 5 მოხსნით შეეწია.

„ულქერს" მეოთხედფინალში გაცილებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა — ანკარის „ტელეკომი", რომელშიაც სლოვენიისა და თურქეთის ნაკრებების რამდენიმე წევრი თამაშობს. ფაჩულიას ამჯერად არ უთამაშია, თუმცა სათადარიგოებში იჯდა და ნებისმიერ მომენტში მზად იყო მოედანზე შესასვლელად. „ულქერმა" 70:61 სძლია „ტელეკომს" და თურქეთის თასის „ოთხთა ფინალში" გავიდა, სადაც მის გარდა სტამბოლის „ეფესი" და „ბეშიქთაში", აგრეთვე ბურსის „თოფაში" იასპარეზებენ. თურქეთის თასის „ოთხთა ფინალი" 8-9 აპრილს გაიმართება მერსინში.

„ულქერის" მწვრთნელი მურათ დიდინი ზაზა ფაჩულიას უკვე აშკარად ენდობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ფორვარდი თურქეთის თასის „ოთხთა ფინალზე" აუცილებლად იქნება. ამდენად, ფაჩულია, ალბათ, ვეღარ ჩამოუსწრებს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შეკრებას, რომელიც ევროპის თანატოლთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. ყველაზე რეალურია, რომ ფაჩულია სტამბოლიდანვე გაფრინდება საფრანგეთში და საქართველოს ნაკრებსაც იქ შეუერთდება.

# ჩერქეზიშვილის რვეული

საევროპო მზადებისთვის ძალიან ცოტა დროღა დარჩა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს. ტურნირი 11-16 აპრილს საფრანგეთში გაიმართება, სადაც ჩვენებურთა მეტოქენი იქნებიან მასპინძელი ფრანგები, სლოვენიელები, თურქები, რუსები და პოლონელები. შეგახსენებთ, რომ ამათგან სამი რჩეული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ქართველმა ჭაბუკებმა კვირას პირველად ივარიშეს ერთად, გუშინდლიდან კი მწვრთნელმა ნიკო ჩერქეზიშვილმა ორჯერად წვრთნაზე გადაიყვანა გუნდი.

ამჟამად ჩერქეზიშვილის განკარგულებაში 8 კალათბურთელია, რომელთაგანაც უკლებლივ ყველა საფრანგეთს გაემგზავრება. დანარჩენი ოთხი ლეგიონერი კი პირდაპირ ტურნირზე შემოგვიერთდებაო, ამბობს მწვრთნელი.

გუშინ ნიკო ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით ივარჯიშეს ბაჩანა სულაძემ, კოტე ტუღუშმა, დავით მოისწრაფიშვილმა (სამივე სტუ), გიორგი მარკოიშვილმა, შიო ხეცურიანმა (ორივე თსუ), ირაკლი შანიძემ (ვითა), ზვიად ბაბიაშვილმა (აზოტი), ბუბა ბერიშვილმა (სსუ).

ამათ სლოვენიურ „სლოვანიდან" დაემატებიან ნიკა ცქიტიშვილი, დავით უგრეხელიძე და ირაკლი კეიდია, თურქული „ულქერიდან" კი — ზაზა ფაჩულია.

ჩერქეზიშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ ფაჩულია ჯერ თბილისში ჩამოვიდეს და აქვე შეუერთდეს გუნდს, რაც „ულქერისა" და შესაბამისად, ზაზას გადატვირთული კალენდრის გამო, ცოტა არ იყოს, ნაკლებად შესაძლებელია.

ვარჯიში რომ სრულფასოვანი გახდეს, ადგილზე მყოფ 8 კალათბურთელს სხვა მოთამაშეებსაც ამატებს მწვრთნელი. ესენი ძირითადად კადეტთა ნაკრების წევრები არიან.

საფრანგეთში გამგზავრებამდე კი ჩერქეზიშვილი რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრის გამართვასაც აპირებს. სავარაუდოდ, სტუ-სთან და „მაკაბისთან".

**გიორგი ბიძაშვილი**


## იყიდება

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.

დაგვიკავშირდით: 8 99 51-15-19; 95-88-61; 52-68-90


რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლი პლეი ოფშია

31 მარტი

**სიეტლი 123:108 საკრამენტო**

სიეტლი: პეიტონი (35 ქულა, 15 პასი, 6 ჩაჭრა), ბერი (9), პატერსონი (13), ბეიკერი (15 ქულა, 14 მოხსნა), გრანტი (14); ლუისი (20), მაკკოი (6), სტეფანია (4 ქულა, 1 მოხსნა), ფოსტერი (4), მაქსველი (3), შ. ვილიამსი, ბორელი

საკრამენტო: ჯ. ვილიამსი (4 ქულა, 10 პასი), ანდერსონი, ვილიამსონი (17), ვებერი (22 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), დივაცი (8); სტოიაკოვიჩი (23), მარტინი (11), დელკი (11), ფანდერბურკი (6), პოლარდი (4), კორბინი (2)

2 აპრილი

**პორტლენდი 95:82 სიეტლი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (8), სმიტი (21), პიპენი (18), ონილი (4), ვოლესი (1); შრემპფი (16), ველსი (16), გრანტი (5), ოგმონი (4), ენტონი (2)

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ბერი (3), პატერსონი (10), ბეიკერი (16), გრანტი (3); ლუისი (18), მაქსველი (8), ბორელი (2), ვილიამსი (1), ფოსტერი



დენვერი — იუტა. დენვერელი ნიკ ვან ექსელი (თეთრ ფორმაში) კარლ მელოუნსა (მარცხნივ) და ჯონ სტოქტონს შორის

ამ უქმეებზე „საკრამენტო კინგზის" ძლევით ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსმა" ოფიციალურად გაინაღდა პლეი ოფში თამაში. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან დასავლეთში თავიდანვე გამოიკვეთა რვა რიგიანი გუნდი, რომლებმაც უსაშველოდ შორს ჩამოიტოვეს დანარჩენები. ახლაც მერვე გუნდ „სიეტლს" მეცხრე ადგილზე მყოფი „დალასი" ცხრა მოგებით ჩამორჩება და ყველა დარჩენილ თამაშში გამარჯვების შემთხვევაშიც (რაც პრაქტიკულად გამორიცხულია) ვერ გასცდება დღევანდელ ადგილს.

დიახ, „სიეტლმა" კარგა ხნით ადრე დაიბევა ადგილი პლეი ოფში, მაგრამ ამით ყველაფერი არაა გადაწყვეტილი. ახლა „სონიქსი" იმის მცდელობაშია, როგორმე ზემოთ აინაცვლის, რათა პირველ წრეში მრისხანე „ლეიკერსს" თავი აარიდოს. უახლოესი მეზობლის, „საკრამენტოს" ძლევის შემდეგ „ზებგერითები" უფრო დაუახლოვდნენ მას, მაგრამ ორი დღე გავიდა და პორტლენდში იქაურ „ბლეიზერთან" ამ სეზონში მეოთხე და საბოლოო შეხვედრაც დათმეს, „საკრამენტომ" კი შინ „ფილადელფია" დასცა.

31 მარტს „სიეტლი" მობილიზებული დახვდა მეტოქეს, რადგან ზურგზე უზარმაზარ ტვირთად აწვა ზედიზედ ექვსი შინაური მარცხი. თამაშამდე მასპინძელთა დამრიგებელ პოლ ვესტფოლს საგანგებოდ დაუმოძღვრავს თავისი შეგირდები. ის კი არა, მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე ის და „სონიქსის" სამი წამყვანი მოთამაშე — გერი პეიტონი, ვინ ბეიკერი და ჰორას გრანტი ოთახში განმარტოებულან და ბჭობა გაუმართავთ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო — „სიეტლმა" სულ იოლად აჯობა მოწინააღმდეგეს. დაიწყო თუ არა თამაში, მასპინძლებმა ერთობ აგრესიულად შეუტიეს მეტოქეს და სულ კუდით ქვა ასროლინეს, რაშიც ლომის წილი სწორედ სამმა ზემოხსენებულმა ვეტერანმა დაიდო. მასპინძლებმა პირველი მეოთხედი 36:22 მოიგეს, მეორე — 33:27 და ოცი ქულით დაწინაურდნენ. „სიეტლმა" პირველ ტაიმში 69 ქულა დააგროვა და მიმდინარე სეზონის რეკორდი დაამყარა.

„საკრამენტო" ამ სხვაობის დამძლევი არ ჩანდა და ვესტფოლმა გუნდის ყველა სათადარიგოს, მათ შორის ჩვენებურ ვოვა სტეფანიასაც მისცა თამაშის საშუალება. დიდი ხნის უთამაშებელმა ვოვამ სულ ორი, მაგრამ ნაყოფიერი წუთი დაჰყო მოედანზე. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ერთი სამქულიანი ააცილა, ორქულიანი ჩააგდო და ორივე საჯარიმო გამოიყენა. ამ ოთხ ქულას მეტოქის ფარზე მოხსნილი ერთი ბურთიც წაუმატა და ერთხელაც მეტოქეზე დაჯარიმდა. აღსანიშნავია, რომ ოთხი ქულის გაკეთებას სტეფანიას კონკურენტმა გრეგ ფოსტერმა მასზე შვიდჯერ მეტი დრო ანუ თოთხმეტი წუთი მოანდომა.

რაც შეეხება მეორე თამაშს, „სიეტლმა" აქაც თავდადებით იომა, მაგრამ „პორტლენდს" ვეღარ მოერია მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს არ ჰყავდა ძირითადი ცენტრი არვიდას საბონისი. ამასთან „ბლეიზერსმა" მეორე ნახევრის დასაწყისიდან მთავარი ბომბარდირი, თავდამსხმელი რაშიდ ვოლესი მოისაკლისა. ვოლესს შორს გავარდნია სახელი, როგორც ლიგის ყველაზე ჯაჯღანა მოთამაშეს. ამ შეხვედრაშიც მსაჯებთან მისმა გაუთავებელმა კამათმა შესაბამისი ნაყოფი გამოიღო: მატჩის შუაში მან მეორე ტექნიკური მიიღო და თამაშსაც ავტომატურად გამოეთიშა. ამ ორი ტექნიკურის შემდეგ ვოლესს სულ სეზონში 34 (!) მოუგროვდა, რის შემდეგაც ორით გადაუსწრო ძველ რეკორდსმენებს — შფოთისთავ ჩარლზ ბარკლის და გადარეულ დენის როდმანს. იგი ერთ სეზონში მიღებულ ტექნიკური ჯარიმებში ნბა-ს ყველა დროის რეკორდსმენი გახდა. ორი მთავარი მომხსნელის არყოფნაში ფარქვეშ ბრძოლაში თითქოს „პორტლენდი" უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ როცა გუნდს სკამზე ისეთი ხალხი ყავს, როგორებიც ბრაიან გრანტი და დეტლეფ შრემპფი არიან, იმედი არასდროს გადაეწურება. ამ ორმა თავდამსხმელმა ერთად 15 მოხსნა მიითვალა. განსაკუთრებით აქტიურობდა ბოლო წლებში „სიეტლის" ერთ-ერთი ლიდერი, აწ კი „პორტლენდის" სათადარიგო შრემპფი, რომელმაც თავის ყოფილ გუნდთან თავი დადო და „სიეტლს" იმედი საბოლოოდ გადაუწურა. სტუმრებმა ბოლოს მესამე მეოთხედში გაიბრძოლეს, როცა ანგარიში 49:62 იყო. ხუთი წუთის განმავლობაში მეტოქეს თამაშიდან ბურთი არ ჩააგდებინეს და სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანეს — 63:67, მაგრამ აქ „პორტლენდი" აფეთქდა, პიპენის, ველსის და გრანტის თავგამოდების შემდეგ საშწუთიანი მონაკვეთი 12:4 მოიგო და პეიტონის და სხვების წვალება წყალს მისცა.

**ირაკლი ფირაშვილი**

31 მარტი

**ლეიკერსი 100:88 ფილადელფია**

ლეიკერსი: ონილი (37 ქულა, 14 მოხსნა, 8 დაფარება, 5 პასი)

ფილადელფია: გეიგერი (20), კუკოჩი (19)

**ვანკუვერი 83:89 ნიუ იორკი**

ვანკუვერი: დიკერსონი (28), აბდურ-რაჰიმი (21 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), სპრიუელი (23), კემბი (18)

**იუტა 114:97 გოლდენ სტეიტი**

იუტა: მელოუნი (22)

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (27), მარშალი (18 ქულა, 16 მოხსნა)

**დეტროიტი 97:98 ფინიქსი**

დეტროიტი: ჰილი (28), სტეკჰაუზი (19)

ფინიქსი: რობინსონი (20), ჰარდევეი (15 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა)

**შარლოტი 110:101 ტორონტო**

შარლოტი: ჯონსი (32 ქულა, 5 ჩაჭრა), მეისონი (31 ქულა, 14 მოხსნა, 11 პასი)

ტორონტო: კარტერი (31), მაკგრეიდი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**ორლანდო 103:97 ნიუ ჯერსი**

ორლანდო: მერსერი (22)

ნიუ ჯერსი: გიოი (21), ვან ჰორნი (20)

**ინდიანა 109:85 მინესოტა**

ინდიანა: ბესტი (27), მილერი (26), როუზი (21)

მინესოტა: ბრენდონი (24)

**ბოსტონი 102:104 ვაშინგტონი**

ბოსტონი: უოლკერი (21 ქულა, 14 მოხსნა), პირსი (18)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (30), ჰამილტონი (20)

1 აპრილი

**კლივლენდი 109:103 ბოსტონი**

კლივლენდი: კემპი (22 ქულა, 14 მოხსნა), ჰენდერსონი (20), მიური (19)

ბოსტონი: პირსი (22), პოტაპენკო (19), ანდერსონი (18)

**ჩიკაგო 87:90 შარლოტი**

ჩიკაგო: ბრენდი (24), არტესტი (20)

შარლოტი: კემპბელი (25), ჯონსი (23 ქულა, 5 ჩაჭრა)

**ჰიუსტონი 115:93 ატლანტა**

ჰიუსტონი: მობლი (24), კატო (21 ქულა, 15 მოხსნა), ტომასი (18 ქულა, 22 მოხსნა)

ატლანტა: ჯეკსონი (21), ჰენდერსონი (20)

**დენვერი 112:92 იუტა**

დენვერი: მაკდაიესი (33 ქულა, 10 მოხსნა), ვან ექსელი (27 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა), პოუზი (20)

იუტა: მელოუნი (27)

**პორტლენდი 113:79 მილუოკი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (31), ველსი (18)

მილუოკი: კასელი (22)

2 აპრილი

**ვანკუვერი 86:100 დალასი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (14 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი, 7 ჩაჭრა)

დალასი: ნოვიცკი (22), ფინლი (18)

**გოლდენ სტეიტი 113:117 მილუოკი**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (32), ბლეილოკი (24), კეფი (19 ქულა, 11 მოხსნა)

მილუოკი: კასელი (32), ალენი (27)

**კლივლენდი 74:83 ჩიკაგო**

კლივლენდი: მიური (16)

ჩიკაგო: ბრენდი (23 ქულა, 14 მოხსნა), არტესტი (18)

**მაიამი 88:84 სან ანტონიო**

მაიამი: მაშბურნი (26)

სან ანტონიო: რობინსონი (28), დანკანი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ლეიკერსი 106:82 ნიუ იორკი**

ლეიკერსი: ონილი (34 ქულა, 12 მოხსნა)

ნიუ იორკი: იუინგი (14)

**ტორონტო 83:104 ინდიანა**

ტორონტო: მაკგრეიდი (24)

ინდიანა: როუზი (23), პერკინსი (22)

**საკრამენტო 117:95 ფილადელფია**

საკრამენტო: ვებერი (26 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), დივაცი (14 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი)

ფილადელფია: აივერსონი (23)

**მინესოტა 86:87 ფინიქსი**

მინესოტა: სილი (19), შჩერბიაკი (18)

ფინიქსი: როჯერსი (23), ჰარდევეი (22)

**ნიუ ჯერსი 92:113 დეტროიტი**

ნიუ ჯერსი: ნიუმენი (22)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (34), ჰილი (32 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი)

# შეცდომების ფასი — დაკარგული თასი

**საქართველო — რუმინეთი**
**20:23 (6:13)**

საქართველო: გიორგაძე, შველიძე, ცაბაძე (ნიკოლაენკო), ნადირაძე, მჭედლიშვილი, ვართანიანი, ლაბაძე (ბოლღაშვილი), ზედგენიძე, აბუსერიძე (ჯანელიძე), ჯიმშელაძე, ქავთარაშვილი, კაცაძე, ანდღულაძე (ბუგიანიშვილი), ხამაშურიძე, ხეხელაშვილი (იურინი)
ლ — ქავთარაშვილი, ნადირაძე.
2გ — ჯიმშელაძე, 2ს — ჯიმშელაძე.
რუმინეთი: მავროდინი (ნიკულაე), ბელანი, დიმა, ბრინზა, კონსტანტინი, კოროდიანუ, პეტრაკე (ტონიცე), დრაგუჩანუ, მიტუ, ტოფანი, სირბუ, გონტინეაკი, ბრეზიანუ, დიემიეტრუ, ვიორიანუ
ლ — სირბუ, ვიორეანუ.
2გ — მიტუ, 2ს — მიტუ. ა — ტოფანი
მსაჯები: დანიელ პრუვო, ჟერარ დეზარგა, ჟან-პოლ მარკე (საფრანგეთი)
კომისარი: რობერ ანტონელი (საფრანგეთი)

ტუდორ კონსტანტინი ღრიალით გაიქცა მინდვრის კიდესთან დასვენებული ევროპის ეროვნებათ თასისკენ, ლონიერი მარჯვენა დაავლო და „ეროვნულის“ მინდორზე მოზეიმე თანაგუნდელებისკენ გააქანა. კონსტანტინს პირველი პეტრე მიტუ შეეგება და თავპირდამტვრეულმა, სისხლიანი ხელებით ვერცხლისფერი თასი გულში ჩაიკრა. რუმინელ მორაგბეებზე, მათ შორის უპირველესად ამ ტანმორჩილი მიტუსთვის, რომელსაც ერთმა ქართველმა ქომაგმა რუმინული რაგბის გეორგ ჰაჯი უწოდა, ეს თასი ნაღდად ალალი იყო.

ალალი იყო ქართველი ბიჭების აცრემლებული თვალებიც, ეროვნულ სტადიონზე შეყრილი 50 000 ქომაგის ტკივილი, ერთი სიტყვით, კვირას, ევროპის ეროვნებათა თასის ბოლო ტურის საქართველო — რუმინეთის მატჩში იყო ის, რასაც ნაღდი რაგბი ჰქვია — ბრძოლა ვაჟკაცური, დამარცხება ღირსეული და დაფასება მჯობნის.

... თამაში თავბრუდამხვევი ტემპით დაიწყო. ჩვენებურებმა შეუტიეს და რუმინელებმა მათი შეჩერება მხოლოდ 10-მეტრიან ხაზთან შეძლეს ჯარიმის ფასად. ჯიმშელაძემ ზუსტად დაარტყა და ქართველები დაწინაურდნენ. რუმინელებმა საპასუხო შეტევა განახორციელეს, სტუმართა მეათე ნომერმა ლონუც ტოფანმა არეკნით ანგარიში გაათანაბრა. რა თქმა უნდა, ასეთი რამ მასპინძლებს არ აძლევდათ ხელს და მათ უკანმოუხედავად შეუტიეს. რუმინელებიც მაგრად დადგნენ. ერთ მომენტში „ბორჯღალოსნები“ სახიფათოდ მიუახლოვდნენ სტუმრების სალელოე მოედანს და რუმინელებმა რის ვაივაგლახით შეძლეს მათი შეჩერება. თუმცა ამან ვერ დააცხრო მასპინძლების ალტყინება და ისევ გააგრძელეს შტურმი. სტუმრები ისევ ჯარიმდებიან და ჯიმშელაძე საჯარიმო დარტყმით კვლავ აწინაურებს თავისიანებს — 6:3.

ამის შემდეგ კი გაბატონდა ზემოთხსენებული პეტრე მიტუ. რუმინელთა მე-9 ნომერი თავის მახვილგონივრული გადაცემებით თავგზას უბნევდა ქართველებს. თანაგუნდელებმაც ბრწყინვალედ აუბეს მხარი და დაიწყეს სარაგბო ტექნიკის დემონსტრირება. მიტუსთვის ხომ კარში დარტყმისას მანძილის სიშორე არ არსებობდა. მაგალითად, მან 22 მეტრიდან გაუტანა მასპინძლებს საჯარიმო — 6:6. სტუმრები კარგად თამაშობდნენ ფეხით და ხშირად ცვლიდნენ შეტევების მიმართულებას. ჩანდა, რუმინელებზე სრულებით არ მოქმედებდა სხვისი მოედნის ფაქტორი.

ჩვენებურებმა ისევ შეუტიეს, კარგადაც გამოუვიდათ, მაგრამ სტუმრებმა შეძლეს ცაბაძის შებოჭვა. ზედახორაში ქართველები დაჯარიმდნენ და ახლა რუმინელებმა დაიწყეს იერიში. მათ მარცხენა ფლანგზე გააქციეს ვიორეანუ და რომ არა ხეხელაშვილის თავგანწირული თამაში, იქნებ სტუმრებს პირველი ლელოც გაეტანათ. ქართველების მე-15 ნომერმა საიმედოდ შებოჭა მეტოქე.

რუმინელები კარგად თამაშობდნენ ფეხით. მიტუ ყოველ შესაძლებლობას იყენებდა და მარჯვე დარტყმებით გზავნიდა ბურთს აუტში.

პირველი ტაიმის დასრულებამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე, ყოვლად უწყინარ სიტუაციაში, როცა ბურთმა უკვე დასტოვა მოედნის ფარგლები, ანდღულაძემ რუმინელთა უკანახაზელი ძლიერი დარტყმით ასფალტს გააკრა. მსაჯმა ქართველი მორაგბე უყოყმანოდ დასაჯა 10-წუთიანი გაძევებით. რუმინელებმა კარგად ისარგებლეს მეტოქის რიცხობრივი სიმცირით და ლამაზი შეტევის შედეგად სირბუმ ლელო გაიტანა. მიტუმ ისევ გააძვრინა ბურთი ძელებს შუა და თავისი გუნდი 13:6 დააწინაურა. ასე მორჩა მატჩის პირველი ნახევარი.

მეორე ტაიმში კიდევ უფრო გამოიკვეთა სტუმრების უპირატესობა. ისინი ტექნიკურად და ტაქტიკურად უკეთ ირჯებოდნენ. შეტევების დროს უფრო ხშირად იყენებდნენ ფლანგებს, მაშინ, როცა „ბორჯღალოსნები“ ჯიუტად ცდილობდნენ ცენტრიდან გაელწიათ მეტოქის რიგებში. აქ კი რუმინელების გაუვალ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ.

მალე სტუმრებმა კარგი შეტევა წამოიწყეს. ისევ ფლანგზე გაიქცა ვიორეანუ და ლელო გაიტანა. მიტუმ არ გააწბილა თავისიანები და ზუსტად გარდასახა. ანგარიშში სხვაობამ 14 ქულას მიაღწია — 6:20.

ქართველებს ყურები არ ჩამოუყრიათ. 10-მეტრიანი ხაზიდან დაწყებული იერიში, რამდენიმე შებოჭვის შემდეგ ფლანგიდან დააგვირგვინა ქავთარაშვილმა, რომელიც დაუსხლტა რუმინელებს და კარის ძელებს შორის დადო ბურთი, რათა ჯიმშელაძეს გარდასახვის შესრულება არ გასჭირვებოდა. ასეც მოხდა და ანგარიში 13:20 გახდა.

ამან რუმინელები ვერ შეაკრთო, ისინი ვერც ტრიბუნების გამაყრუებელმა ყიჟინამ შეაშინა. ქართველი გულშემატკივარი თავისი კერპებისგან ისევ ლელოს მოითხოვდა. პირიქით კი მოხდა. მიტუმ თავისი მეორე საჯარიმო დარტყმა გაიტანა. მაგრამ ჩვენი უბედურება ამით არ დამთავრებულა. ცაბაძეს ნერვებმა უმტყუნა და მეტოქეს ეუხეშა. მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა და ჩვენებურები ისევ უმცირესობაში დარჩნენ.

ტაიმის ბოლოს ქართველები ისევ მიაწვნენ და კვლავ ცენტრში გასვლას ცდილობდნენ. საჯარიმო საჯარიმოზე ინიშნებოდა. რუმინელები თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ქართველთა მცდელობამ ბოლოს მაინც გამოიღო შედეგი და ნადირაძემ ლელო გაიტანა. ჯიმშელაძემ შეასრულა გარდასახვა თუ არა, მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა — 20:23. რუმინელებმა ევროპის ეროვნებათა თასი მოიპოვეს.

**ზაზა ბენიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**





პეტრე მიტუს ქართველთაგან ბევრი მოხვდა, მაგრამ თავისი მაინც გაიტანა



თამაშიც ფიცხელი იყო და გაწევ-გამოწევაც



| ევროპის ეროვნებათა თასი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეოთხე ტური | | | | | | |
| ჰოლანდია 13:11 პორტუგალია | | | | | | |
| **სატურნირო ვითარება** | | | | | | |
| რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 120:39 | 8 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 94:86 | 4 |
| საქართველო | 4 | 2 | 0 | 2 | 125:95 | 4 |
| ჰოლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 37:124 | 2 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | 65:97 | 2 |



ევროპის ეროვნებათა თასის პირველი მფლობელი რუმინეთის ნაკრები

**შოტლანდია 19:13 ინგლისი**

ედინბურგი, „მარიფილდი", მსაჯი: ტომასი (უელსი)

**შოტლანდია** 1 ლ — ჰოდჯი (74); 1 გ. და 4 ს — ჰოდჯი (21, 35, 40, 60)

15 პატერსონი
14 მოირი 13 თოუნსენდი 12 მაკლარენი 11 გ. მეტკელფი
10 ჰოდჯი 9 ნიკოლი (კაპ.)
7 პოუნტნი 8 მ. ლესლი (რიდი, 39) 6 ვაიტი
5 რ. მეტკელფი 4 მიურეი
3 სტიუარტი 2 ბრათერსტოუნი 1 სმიტი

1 ლეონარდი 2 გრინინგი 3 ვიკერი
4 არჩერი (კორი, 63) 5 შოუ
6 ჰილი 8 დალალიო 7 ბეკი
10 უილკინსონი 9 დოუსონი (კაპ.)
11 კოენი (ბოლშოუ, 58) 12 კეტი 13 ტინდელი 14 ჰილეი
15 პერი (ბოლშოუ, 62)

1 ლ — დალალიო (23); 1 გ. და 2 ს — უილკინსონი (27, 78) **ინგლისი**

# ჩემპიონს აწყენინეს ო, კალკუტა


REUTERS

დიდი სლემი ინგლისელებს დანკან ჰოდჯმა არ დაანება

კლაივ ვუდვორდის შეგირდებს და მთელ ინგლისსაც უკვე განაღდებული ეგონათ ექვსი ერის პირველობის დიდი სლემი. შოტლანდიის დამარცხება მანამდე ყველამ, თვით იტალიამაც შეძლო და ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრებაო. თუმცა სკოტები და განსაკუთრებით კი დანკან ჰოდჯი ასე ნამდვილად არ ფიქრობდნენ. მასპინძლები თუ წააგებდნენ, ხის კოვზს დაისაკუთრებდნენ, თუ გაიმარჯვებდნენ — კალკუტის თასს.

შოტლანდიელები მინდორზე საბრძოლველად ანთებულნი გავიდნენ და წვიმამ, თითქოს ნავთიაო, კიდევ უფრო ააგიზგიზა მათი გულები ოდინდელი მტრის წინააღმდეგ. მასპინძელთა გამარჯვებაში, სტადიონზე თავმოყრილი მაყურებლის მხარდაჭერამაც დიდი როლი ითამაშა. თავსხმა წვიმაში შოტლანდიელები უფრო კარგად გრძნობდნენ თავს. ბურთის ხანგრძლივი გათამაშება თითქმის შეუძლებელი შეიქმნა. ხელით თამაშისას ხშირი იყო შეცდომები, რაც სველი ბურთის ბრალი იყო. შერკინებებისა და ზედახორებისას ინგლისელები მეტოქეზე არღვევდნენ თამაშის წესს და მსაჯიც ხშირად აჯარიმებდა მათ. მასპინძლები კი ამის ხარჯზე ხეირობდნენ. ერთი სიტყვით, სუფთა ინგლისურ რაგბს თამაშობდნენ.

სტუმართა შერკინება მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა, ისევე როგორც დერეფანი. ჯერ კიდევ წინა ტურში უელსთან ჰქონდათ ინგლისელებს პრობლემები აუტებიდან მოწოდებული ბურთების დაუფლებისას. რა თქმა უნდა, „წითელი ვარდის" მარცხის მიზეზები სკოტებშიც უნდა ვეძებოთ. მეტეოროლოგიურმა პირობებმა გუნდების დონე ერთგვარად გაათანაბრა, რაც მშვენივრად გამოიყენეს მასპინძლებმა, რომლებმაც ტურნირში ბოლოს და ბოლოს ჩვეული ჟინით ითამაშეს. მათ განსაკუთრებით პირველი ტაიმის მიწურულს ივაჟკაცეს. ისინი 6:10 აგებდნენ, როცა უხეშობისთვის ჯეიმს მაკლარენი გაუძევეს 10 წუთით, მაგრამ მეტოქეს რიცხობრივ უმცირესობაში ქულაც არ დაანებეს. მეტიც, ზედ შესვენების წინ ჰოდჯმა მესამე საჯარიმო შეასრულა ზუსტად, მეორე ტაიმში კი გამარჯვების ლელოც გაიტანა.

„შოტლანდიელებმა ჩემპიონები კრეტინებად გადააქციეს" — წერდა გუშინ ინგლისური გაზეთი „ექსპრესი". იქაურმა პრესამ ამაზე უარესი სიტყვებითაც შეამკო საკუთარი ნაკრები და არც მისი თავკაცი დაინდეს, შედარებით ავტორიტეტულმა გაზეთებმა კი უფრო სკოტების გამარჯვებაზე გაამახვილეს ყურადღება, თუმც კრიტიკა არც მათ დაუკლიათ „ვუდვორდის ბანდისთვის".

ასე თუ ისე, ინგლისი ისტორიაში მაინც ექვსი ერის პირველობის გამარჯვებულად შევიდა, შოტლანდიას კი კალკუტის თასი დარჩა, რომელიც ათი წელია, თვალით არ ენახა.

# რა ზარავს ბენაზის

„როგორც იქნა, მოვიგეთ! 60 ქულით რომ გვემარჯვა, ყველა ჩათვლიდა, რომ ასეც უნდა მომხდარიყო, სამქულიან სხვაობაზე „სტად დე ფრანსზე" შეკრებილი მაყურებელი ნამდვილად სტვენითა და ლანძღვა-გინებით გაგვისტუმრებდა, ხოლო რომ წაგვეგო... ამაზე ფიქრიც კი მზარავს. ეს კატასტროფა იქნებოდა!" — განაცხადა იტალიის დამარცხების შემდეგ ფრანგთა მეხუთე ლელოს გამტანმა აბდელაფიტ ბენაზიმ და მართალიცაა. რაგბის ფრანგ ქომაგებს ყელში ამოუვიდათ თავისიანების საშინაო მარცხები. „მამლებს" „სტად დე ფრანსზე" 1998 წლის მარტის შემდეგ აღარ მოეგოთ.

თუმც მასპინძლები მინდორს ამაყად მაინც ვერ ტოვებდნენ. ირლანდიასა და ინგლისთან წაგებები მეტოქეთა გამოცდილებასა და სიძლიერეს დაბრალდა, მოთამაშეთა ტრავმებთან ერთად. შაბათს კი მოწინააღმდეგე გაცილებით სუსტი იყო და მაინც მოახერხა ოთხი ლელოს გატანა. მერე რა, რომ წვიმდა. დაცვის გაძლიერებაზე აქცენტირებული გუნდისთვის (როგორც ბერნარ ლაპორტი ამბობს) ამდენი ლელოს გაშვება მაინც სირცხვილია.

იტალიელთაგან თავის ბოლო სანაკრებო მატჩს ატარებდა წარმოშობით არგენტინელი დიეგო დომინგესი. თანაგუნდელებმა მას დიდებული გაცილება მოუწყეს და ზანტ, გადაღლილ, უგულოდ მოქმედ ფრანგებს ლამის მარცხიც აგემეს. თვით დომინგესმა კი 11 ქულა მოიხვეჭა, თუმცა ეს და კიდევ ოთხი ლელო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ახლა მატჩის თითოეული ლელოს აღწერას არ შევუდგებით. უბრალოდ, გეტყვით, რომ შესვენებაზე გასახდელში „მამლების" დამრიგებელ ლაპორტს ყვირილისგან ლამის ხმის იოგები ჩაუწყდა. მისი დაცვითი სქემები იტალიელთა შეკავებას ვერ აზერხებდა. ფრანგებს სტუმართა შებოჭვა ძლიერ უჭირდათ და თუ მოიგეს, მხოლოდ იმიტომ, რომ დაცვაში „სკუადრა აძურასაც" მრავლად ჰქონდა პრობლემები. ისე, იტალია პირველ ტაიმში ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. ამაში დიდი წვლილი კი ტომა კასტენიედს მიუძღვის. 67-ე წუთზე ალენ პენომ მეორე ლელო გაიტანა და ანგარიში 42:17 გახდა. იტალია თითქოს უნდა განადგურებულიყო, თუმც მატჩის მიწურულს სტუმრებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და ღირსეული ანგარიშით წაგებასაც მიაღწიეს.

**საფრანგეთი 42:31 იტალია**

პარიზი, „სტად დე ფრანსი", მსაჯი: დელუკა (არგენტინა)

**საფრანგეთი** 5 ლ — რენო (26, 67), კასტენიედი (35), პელუ (45), ბენაზი (62); 4 გ — დურთი (26, 35, 45, 62); 3 ს — დურთი (7, 31, 52)

15 კასტენიედი
14 ბერნა-სალი (ვანდიტი, 22) 13 დურთი 12 ნტამაკი 11 ბორი (ეიმანი, 72)
10 პენო 9 უბერი
7 მანი 8 ლიევერმონი (ბენაზი, 40) 6 მალიე
5 პელუ (კაპ.) 4 ბრუზე (მიორენი, 63)
3 ტურნერი (დე ვილიე, 72) 2 დალ მაზო (იბანესი, 40) 1 კალიფანო

1 ლო ჩიჩერო 2 მოსკარდი (ორლანდი, 75) 3 პაოლეტი (პერუჯინი, 69)
4 ჩეკინატო 5 გრიტი
6 კრისტოფოლეტო 8 დე როსი (ვისერი, 53) 7 ბერგამასკო (პერსიკო, 79)
10 დომინგესი 9 ტრონკონი (კაპ.)
11 სტოიკა 12 ძისტი (დალანი, 53) 13 მარტინი 14 მაზუკატო
15 პინი

4 ლ — მარტინი (18), ტრონკონი (29, 79), მაზუკატო (75); 4 გ. და 1 ს — დომინგესი (14) **იტალია**

# სამყურებისთვის სამიც სამყოფია

მატჩის ირლანდიელთა უპირატესობით დაიწყო. ზურგქარით ძალამიცემულნი, თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს, მაგრამ ორი საჯარიმოს მეტს, რომლებიც რონან ოგარამ შეასრულა, ვერაფერს გამორჩნენ. უელსელები მალე მოეგნენ გონს და თანდათან თამაშიც გააწონასწორეს: მე-20 წუთზე კი ნათან ბადჯეტი აუტიდან მოწოდებულ ბურთს დაეუფლა და სხვა მორკინლების დახმარებით ძალისმიერი ლელოც გაიტანა, რომელიც სტივენ ჯონსმა გარდასახა — 6:7. იმავე ჯონსმა 35-ე წუთზე თავისიანები კიდევ დააწინაურა და შესვენების დროც დადგა.

მეორე ტაიმში ქარი უკვე უელსელთა მოკავშირე იყო და მათაც იხეირეს. დაახლოებით მოედნის ცენტრში დანიშნული შერკინებიდან, ბურთი რუპერტ მუნმა გამოიტანა და მარაოც გაშალა. მარცხენა ფლანგის ბოლოში კი ჯონსი ელოდა ბურთს და ირლანდიამაც მეორე ლელო გაუშვა.

თამაში განახლდა თუ არა, მასპინძლებმა შეტევა წამოიწყეს, რომლის დროსაც ლუისი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოგარამ საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა (9:17) და თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედი მისცა. წინა ტურში ფრანგთა დამბრიყვებელმა ბრაიან ოდრისკოლმა, ვისი დარი მორაგბეც ირლანდიას კარგა ხანია, არ ჰყოლია, რამდენიმე წუთში 30-მეტრიანი გარღვევა განახორციელა, თუმცა უელსელებმა ბოლო მომენტში მაინც შეძლეს მისი შებოჭვა. შეტევა მაინც გაგრძელდა და შონ ჰორგანის ლელოთი დაგვირგვინდა. 64-ე წუთზე ოგარამ ერთი საჯარიმოც შეაგდო და „სამყურები" 19:17 დაწინაურდნენ.

ამ დროს უელსელთა მწვრთნელმა მოედანზე რაგბის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი კაცი, ნილ ჯენკინსი შეუშვა, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. მან ჯერ 35, შემდეგ კი 45 მეტრიდან ორი საჯარიმო გაიტანა. ირლანდიას მოსაგებად ლელო სჭირდებოდა — 19:23. მასპინძლებმა ბოლო წუთები შეტევაში კი გაატარეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ამ მოგებით უელსმა ირლანდიას 1948 წლის შედეგი არ გაამეორებინა. ტურნირში ერთადერთხელ, იმ შორეულ წელს მოუგიათ „სამყურებს" ზედიზედ ოთხი მატჩი, ამჯერად კი სამს დასჯერდნენ. თუმცა ისინი, განსაკუთრებით მათი თანამდებობა შენარჩუნებული მთავარი მწვრთნელი უორენ გეტლენდი, ამ სამი მოგებითაც ძლიერ კმაყოფილი არიან.

**გაიოზ თალაკვაძე**

**ირლანდია 19:23 უელსი**

დუბლინი, „ლენსდოუ როადი", მსაჯი: კოული (ავსტრალია)

**ირლანდია** 1 ლ — ჰორგანი (57); 1 გ. და 4 ს — ოგარა (4, 10, 51, 64)

15 დემპსი
14 ჰორგანი 13 ოდრისკოლი 12 ჰენდერსონი 11 ჰიკი
10 ოგარა (ჰამფრიზი, 65) 9 სტრინჯერი
7 დოუსონი 8 ფოლი 6 ს. ისტერბი (უარდი, 64)
5 ოკელი 4 გალვეი (დევიდსონი, 57)
3 ჰეიესი 2 ვუდი (კაპ.) 1 კლოჰესი

1 იანგი (კაპ.) 2 გ. ჯენკინსი (მაკბრაიდი, 65) 3 როჯერსი
4 გოფი 5 მური
6 ბადჯეტი 8 ლუისი 7 ჩარვისი
10 ჯონსი (ნ. ჯენკინსი, 65) 9 მუნი
11 შ. უილიამსი (ჯეიმსი, 75) 12 გიბსი 13 ბეიტმანი 14 ტომასი
15 რ. უილიამსი

2 ლ — ბადჯეტი (20), ჯონსი (47); 2 გ — ჯონსი; 3 ს — ჯონსი (35), ნ. ჯენკინსი (73, 75) **უელსი**

## ექვსი ერი

Six Nations Championship

5 თებერვალი. I ტური

იტალია 34:20 შოტლანდია
ინგლისი 50:18 ირლანდია
უელსი 3:36 საფრანგეთი

19 თებერვალი. II ტური

საფრანგეთი 9:15 ინგლისი
უელსი 47:16 იტალია
ირლანდია 44:22 შოტლანდია

4 მარტი. III ტური

შოტლანდია 16:28 საფრანგეთი
ინგლისი 46:12 უელსი
ირლანდია 60:13 იტალია

IV ტური

18 მარტი

იტალია 12:59 ინგლისი
უელსი 26:18 შოტლანდია

19 მარტი

საფრანგეთი 25:27 ირლანდია

V ტური

1 აპრილი

საფრანგეთი 42:31 იტალია
ირლანდია 19:23 უელსი

2 აპრილი

შოტლანდია 19:13 ინგლისი

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 4 | 0 | 1 | 183:70 | 8 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 140:92 | 6 |
| ირლანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 168:133 | 6 |
| უელსი | 5 | 3 | 0 | 2 | 111:135 | 6 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | 95:145 | 2 |
| იტალია | 5 | 1 | 0 | 4 | 106:228 | 2 |

# ჰინგისი მონადირე გახდა



REUTERS კი ბისკეინიდან

მარტინა ჰინგისი

პარასკევს, კი ბისკეინის ტურნირზე ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა სენსაცია გამოაცხო — მან ნახევარფინალიდან პირველ ნომრად განთესილი და საერთოდაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ანდრე აგასი გამოაგდო. კუერტენის ნამოქმედარს ელვარება მოაკლდება, თუ ნახევარფინალში აგასის მდგომარეობას გავიხსენებთ და გავითვალისწინებთ, რომ პირველი სეტის შემდეგ იგი კარგად შეფუთული თეძოთი თამაშობდა. ტრავმა იგრძნობოდა აგასის მოძრაობაში, ხანდახან ისეთ ბურთებს ატარებდა, გაოცდებოდით, თუმცა ეს კუერტენის გამარჯვებას არ აკნინებს. ბრაზილიელს თავხოტორა ამერიკელთან აქამდე ექვსიდან ბოლო ოთხი შეხვედრა წაეგო და ნავსის გატეხვამ ხასიათზე მოიყვანა, მაგრამ ის არ იცოდა, რომ უკვე მეორე დღეს ბადის მხარეს არა ბურთს, არამედ ჩოგანს გასტყორცნიდა და მასმედია მის სახეზე სასოწარკვეთილებასაც შეამჩნევდა. ყველაფრის მიზეზი პიტ სამპრასი გახდა, რომელმაც ნახევარფინალში ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს მოუგო, კვირას კი კუერტენის ძლევით 410 000 დოლარი შეიმატა. სამპრას-კუერტენის ფინალი დევისის თასზე შეხვედრას წააგავდა, ტრიბუნებზე ეროვნული მოტივები სჭარბობდნენ, ანუ ერთ მხარეს შფოთითა და ტემპერამენტით სავსე ბრაზილიელი ფანობა, მეორე მხარეს, ცხადია, ამერიკელები. მაიამიში საშინლად ცხელოდა, ჩოგბურთელებმაც ერთმანეთს არაფერი დაუთმეს და კორტზე და ტრიბუნებზეც მრავალი ოფლი დაიღვარა. თავიდან სამპრასი მძლავრობდა და პირველ სეტში ერთადერთი გეიმი წააგო. მერე კი დაიწყო... მეორე სეტის ტაი-ბრეიკი ბრაზილიელმა დამაჯერებლად მოიგო — 7:2, შემდეგ კვლავ სამპრასმა იძალა, ოღონდ იმანაც ტაი-ბრეიკში — 7:5, ხოლო მეოთხე პარტიაში დაძაბულობამ პიკს უწია — კვლავ ტაი-ბრეიკი, ოღონდ უწინდელზე გაჭიანურებული. სამსაათიანი და 18 წუთიანი მზეზე ხარშვა ამერიკელის სასარგებლოდ დასრულდა — 6:1, 6:7 (2-7), 7:6 (7-5), 7:6 (10-8). „მშვენიერი ტურნირი იყო, „დიდი სლემის" ასოციაციებს აღმიძრავდა" — თქვა ამერიკელმა მასმედიასთან საუბრისას — „ხალხმაც დიდიად იაქტიურა". „რამდენი ვიშრომე, ვირბინე და მაინც არაფერი გამომივიდა" — ეს უკვე კუერტენის სიტყვებია, თუმცა ამაზე მეტი რა უნდა გამოსვლოდა, 215 ათასი ამერიკული მწვანე ჩაიდო ჯიბეში — „ძალიან მინდოდა ჰარდზე ცხოვრებაში პირველი ტურნირი მომეგო". მართლაც, აქამდე 1997 წლის „როლან გაროსისა" და კიდევ ხუთი ტურნირის თიხნარზე მომგებ კუერტენს, დარბაზებში გამარჯვება ჯერ არ ღირსებია და ეს მიზანი ახლაც სამომავლოდ გადაედო.

ქალებში ელიტამ მოილხინა. ფინალში მსოფლიოს კლასიფიკაციის მოწინავენი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი და ამერიკელი ლინდსი დევენპორტი გავიდნენ, ოღონდ წინა „სარბიელშივე" წაიკითხავდით, რომ ფინალის შედეგის მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის ადგილი დევენპორტს ელოდა და შესაბამისად, ჰინგისს — მეორეობა. ამდენად, ფინალს ინტრიგა ძირითადად ფინანსური თვალსაზრისით ახლდა.

შვეიცარიელი ცოტა უხასიათოდ გავიდა კორტზე. თამაშის წინადღეს მაიამის პოლიციას, ერთი ავსტრალიის პასპორტიანი და სლავურ გვარსახელიანი კაცი დაუჭერია, 45 წლის დუბრავკო რაჯევიჩი, ვინც თურმე, ჩოგბურთელის დედის თქმით, ბოლო ხანებია მის გოგოს სულ ირგვლივ უტრიალებს, აწუხებს და იქნებ სულაც უკეთურს ლამობდეს. თავად რაჯევიჩი ამბობს, მარტინა მშვენივრად მიცნობს, მე მისთვის მხოლოდ ჩემი დადებითი ენერგიის გადაცემას ვლამობ და სხვას არაფერსო. მისი ზრახვები ახლა ჩვენ არ გვაინტერესებს, ფინალს მივხედოთ, რომელიც სწორედ შვეიცარიელის ბატონობით წარიმართა და ღიად დატოვა თითქოსდა სანახევროდ გადაწყვეტილი საკითხი, მომავალი ტექნიკურ ჩოგბურთს ეკუთვნის თუ ათლეტურს. ჰინგისმა 6:3, 6:2 მოიგო და ტურნირის 5,72 მილიონიანი საპრიზო ფონდიდან გვარიანი ნაჭერი თავისთვის ჩამოითალა, დევენპორტი კი წარსულისკენ გაახედა და ტკბილ მოგონებებში ჩაძირა. მარტინას არც კლასიფიკაციაში პირველობის დაკარგვაზე დამართია ისტერიკა. „აქამდე დევნილი ვიყავი, ახლა კი კვლავ მონადირე გავხდი — თქვა მან — მაშ, ვიწყებ ნადირობას!"

**დავით გულუა**



REUTERS კი ბისკეინიდან

პიტ სამპრასი



NHL

31 მარტი

**ნიუ ჯერსი — ატლანტა 6:0**

1:0 3:0 2:0

1:0 უაიტი 1'44 (2); 2:0 გომესი 26'13 (19); 3:0 მედენი 35'55 (16); 4:0 სიკორა 39'41 (25); 5:0 ბრილინი 47'06 (8); 6:0 სტივენსი 50'44 (7)

**ბუფალო — კაროლინა 1:3**

0:0 1:1 0:2

1:0 ვარადა 20'32 (8); 1:1 რანჰეიმი 31'41 (9); 1:2 კოფი 52'26 (9); 1:3 ჰილი 59'55 (13)

**ნეშვილი — ვანკუვერი 2:1**

1:1 1:0 0:0

1:0 ბორდელო 8'52 (10); 1:1 ბერტუცი 11'44 (24); 2:1 იაჩმენევი 38'18 (16)

**კალგარი — ფინიქსი 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 ადამსი 10'09 (17); 0:2 რენიკი 26'47 (34); 1:2 კრივოკრასოვი 47'22 (10); 1:3 ადამსი (59'17 (18)

**ფლორიდა — ოტავა 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ბერი 8'35 (8); 1:1 ალფრედსონი 28'42 (18); 2:1 შეპარდი 38'39 (8); 3:1 კოზლოვი 54'32 (17)

1 აპრილი

**ვაშინგტონი — ტორონტო 3:4**

1:2 0:2 2:0

0:1 ტომასი 3'57 (23); 1:1 მეტროპოლიტი 7'19 (4); 1:2 ჰოგლუნდი 18'53 (29); 1:3 პერო 25'44 (18); 1:4 ბერტეზინი 29'57 (25); 2:4 კონოვალჩუკი 42'43 (16); 3:4 მეტროპოლიტი 48'53 (5)

**ფლორიდა — ტამპა 3:3**

0:1 1:2 2:0 0:0

0:1 მ. ჯონსონი 10'50 (18); 1:1 უიტნი 22'38 (26); 1:2 ურინერი 24'16 (13); 1:3 მ. ჯონსონი 34'24 (19); 2:3 კვაშა 45'19 (5); 3:3 მელანბი 58'24 (16)

**კალგარი — სან ხოსე 3:0**

2:0 1:0 0:0

1:0 ლინდსეი 0'23 (8); 2:0 იგინლა 9'17 (28); 3:0 ვარლამოვი 26'57 (2)

**ედმონტონი — ფინიქსი 4:3**

2:0 1:0 0:3 1:0

1:0 რ. სმიტი 3'38 (27); 2:0 გერინი 17'53 (23); 3:0 რ. სმიტი 34'43 (28); 3:1 გრინი 40'36 (24); 3:2 გრინი 59'21 (25); 3:3 ადამსი 59'49 (19); 4:3 პოტი 63'07 (9)

**პიტსბურგი — ფილადელფია 2:3**

1:2 1:1 0:0

1:0 სტრაკა 0'31 (19); 1:1 პრიმო 12'21 (6); 1:2 ტერიენი 18'27 (4); 1:3 ლეკლერი 20'51 (39); 2:3 სტრაკა 32'37 (20)

**სენტ ლუისი — დეტროიტი 0:0**

**ბოსტონი — რეინჯერსი 2:2**

1:0 1:1 0:1 0:0

1:0 ჰენდერსონი 16'06 (1); 1:1 გრეიგსი 29'06 (23); 2:1 ლააკსონენი 32'55 (3); 2:2 მ. იორკი 58'40 (26)

**აილენდერსი — ჩიკაგო 2:2**

0:0 1:0 1:2 0:0

1:0 ჩერკავსკი 29'09 (31); 1:1 ამონტე 46'23 (40); 2:1 ისბისტერი 57'16 (21); 2:2 ამონტე 59'05 (41)

**ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 სელიანე 8'39 (31); 1:1 ბუკბერგერი 24'29 (7); 2:1 ლაპერიე 48'00(8)

**მონრეალი — ბუფალო 0:2**

0:1 0:0 0:1

0:1 პეკა 15'37 (18); 0:2 ვარადა 59'33 (9)

2 აპრილი

**კაროლინა — ფილადელფია 1:0**

1:0 0:0 0:0

1:0 ბატალია 1'18 (16)

**კოლორადო — დალასი 3:2**

1:0 1:2 0:0 1:0

1:0 ბურკი 10'37 (18); 2:0 დედმარში 21'10 (18); 2:1 ჰალი 32'01 (23); 2:2 კოტი 35'30 (8); 3:2 პოდინი 64'13 (11)

**სენტ ლუისი — ოტავა 4:1**

1:0 2:1 1:0

1:0 ტარჯონი 12'59 (24); 2:0 იანგი 23'17 (22); 2:1 ბონკი 29'47 (22); 3:1 რეირდენი 33'26 (4); 4:1 იანგი 44'14 (23)

**ატლანტა — აილენდერსი 5:4**

1:1 1:1 3:2

0:1 უოტი 0'13 (4); 1:1 ფერარო 13'05 (19); 1:2 უოტი 27'55 (5); 2:2 დომენიჩელი 36'00 (11); 2:3 დავიდსონი 40'19 (3); 2:4 კეირნსი 40'45 (2); 3:4 დონოვანი 42'13 (5); 4:4 ბრიუნეტი 42'25 (22); 5:4 ოდეტი 48'14 (17)

**ჩიკაგო — ვანკუვერი 2:3**

0:2 0:1 2:0

0:1 პედერსონი 1'56 (4); 0:2 ჟოვანოვსკი 13'28 (5); 0:3 პედერსონი 36'44 (5); 1:3 მაკეიბი 54'06 (6); 2:3 სალივანი 58'50 (19)

**ტამპა — ნიუ ჯერსი 1:4**

0:3 0:0 1:1

0:1 ელიაში 4'06 (39); 0:2 მალახოვი 5'16 (1); 0:3 სტივენსი 12'00 (8); 0:4 ელიაში 52'34 (35); 1:4 მოდინი 56'20 (21)

**დეტროიტი — მონრეალი 6:5**

3:1 1:1 1:3 1:0

0:1 ბრისბუა 0'27 (8); 1:1 შენაჰანი 6'58 (40); 2:1 დიუშენი 12'01 (10); 3:1 ლიდსტრიომი 14'24 (20); 4:1 ფიოდოროვი 20'32 (27); 4:2 საკაუ 38'19 (16); 4:3 სტივენსონი 51'12 (7); 4:4 რუჩინსკი 55'04 (24); 5:4 ბუცაევი 57'01 (5); 5:5 დარბი 58'58 (7); 6:5 ლაპოინტი 64'45 (16)

## სატურნირო ვითარება

აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 79 | 44 | 8 | 5 | 27 | 247:192 | 101 |
| *ვაშინგტონი* | 78 | 42 | 11 | 2 | 25 | 218:186 | 97 |
| *ტორონტო* | 78 | 43 | 7 | 3 | 28 | 236:212 | 96 |
| *ფილადელფია* | 78 | 41 | 12 | 3 | 25 | 222:174 | 97 |
| *ფლორიდა* | 78 | 41 | 6 | 5 | 31 | 230:199 | 93 |
| *ოტავა* | 78 | 38 | 11 | 2 | 29 | 231:205 | 89 |
| *პიტსბურგი* | 78 | 34 | 8 | 6 | 36 | 231:228 | 82 |
| კაროლინა | 79 | 35 | 10 | 0 | 34 | 209:209 | 80 |
| ბუფალო | 78 | 33 | 10 | 3 | 35 | 203:199 | 79 |
| მონრეალი | 79 | 33 | 9 | 4 | 37 | 187:190 | 79 |
| რეინჯერსი | 79 | 29 | 12 | 3 | 38 | 216:235 | 73 |
| ბოსტონი | 78 | 23 | 19 | 6 | 36 | 200:233 | 71 |
| აილენდერსი | 79 | 22 | 9 | 1 | 48 | 188:270 | 54 |
| ტამპა | 78 | 18 | 9 | 7 | 51 | 194:292 | 52 |
| ატლანტა | 78 | 14 | 7 | 4 | 57 | 162:299 | 39 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | 79 | 50 | 11 | 0 | 18 | 238:153 | 111 |
| *დალასი* | 78 | 43 | 8 | 6 | 27 | 203:172 | 100 |
| კოლორადო | 79 | 39 | 11 | 1 | 29 | 224:196 | 90 |
| *დეტროიტი* | 80 | 48 | 10 | 2 | 22 | 274:203 | 108 |
| ლოს ანჯელესი | 78 | 37 | 11 | 4 | 30 | 236:220 | 89 |
| ფინიქსი | 78 | 37 | 7 | 4 | 34 | 224:220 | 85 |
| ედმონტონი | 78 | 30 | 16 | 8 | 32 | 213:201 | 84 |
| სან ხოსე | 78 | 32 | 10 | 7 | 36 | 214:206 | 81 |
| ვანკუვერი | 79 | 29 | 14 | 8 | 36 | 217:229 | 80 |
| ანაჰაიმი | 78 | 32 | 12 | 2 | 34 | 204:216 | 78 |
| კალგარი | 78 | 31 | 9 | 5 | 38 | 200:239 | 76 |
| ჩიკაგო | 79 | 30 | 10 | 2 | 39 | 230:239 | 72 |
| ნეშვილი | 79 | 28 | 7 | 7 | 44 | 195:229 | 70 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჩოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli